652/
1961/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6
1961

ლიტერატურული
ქართული

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

აჭარა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნ. ბიბ.

შინაარსი

კომუნიზმი ჩვენი ხვალინდელი დღეა . 3
ნ. მალაზონია — ლექსები 7
მ. გორგილაძე — ადამიანი (მოთხრობა) . . 9
გ. სალუქვაძე — ლექსები 27
გ. კაკიტაძე — ბებია (მოთხრობა) . . . 30
ლ. გელაძე — ლექსები 33
შ. შუბლაძე — ლექსები 36
გ. სანადირაძე — თუ შენ გიყვარვარ (მოთხრობა) 38
ა. ჩხაიძე — ლექსები 46
რ. ართილაყვა — ლექსები 48
ლ. ნუცუბიძე — დილა (ლექსი) 49
ახალგაზრდა პოეტების ლექსები . . . 50
ჰ. მკრტჩიანი — უკვდავების ბალი (მოთხრობა, სომხურიდან თარგმნა გ. სარქისიანმა) 52
ი. სმელიაკოვი — ჩვენი ღერბი (ლექსი, თარგმნა შ. როყვამ) 56

დღეები და ადამიანები

რ. ჩაჩუა — დღეს ყრილობის დელეგატის ბრიგადაში 58

ლიტერატურული კალენდარი

კ. ბოლქვაძე — გენიალური მოაზროვნე და შემოქმედი 63
კ. დონაძე — დიდი ქართველი პროზაიკოსი 65
ვლ. მგელაძე — ზაქარია ჭიჭინაძე აჭარაში 67

6
1961
ნოემბერი
დეკემბერი

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

პ. ჯორბენაძე—საზღვარგარეთული მწერლობა ომისა და მშვიდობის შესახებ 70

ფოლკლორი

ჯ. ნოლაიდელი--ფოლკლორული შენიშვნები 75

ხელოვნება

ვ. კიკნაძე--ზოგი რამ ბათუმის თეატრზე 78

ტურისტის ჩანაწერები

ძ. კომისაროვა—მოგზაურის შთაბეჭდილებანი 82

აჭარის წარსულიდან

ი. სიხარულიძე—მირიან კეკელიძე—მუსტაფა ხაზინადარი; სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი 84

წიგნის თარო

რ. შამელაშვილი—საყურადღებო მონოგრაფია ზემოაჭარული დიალექტის შესახებ 86
ა. ხუნდაძე – განდეგილი—ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე . . 88
კ. კვეიძე—სიცოცხლისა და სიხარულის სტრიქონები 89

სატირა და იუმორი

გრ. ჩხაიძე— ძალად ნოვატორი (მოთხრობა) 91

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელეფონები—14-06, 13-35.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომუნიზმი ჩვენი ცვალინდელი დღეა

უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ნათელი მოვლენა კაცობრიობის ცხოვრებაში—ასე უწოდა მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრიობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას, რომელიც მოსკოვს გაიმართა მიმდინარე წლის ოქტომბერში. ეს იმიტომ, რომ ყრილობამ განიხილა თანამედროვეობის ყველა ძირითადი აქტუალური საკითხი და მიიღო ჭეშმარიტად ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომლებიც კომუნიზმის შუქით ანათებენ ჩვენს მომავალს და ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანებენ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებს, ხოლო კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებს განუმტკიცებენ ნათელი და ბედნიერი მერმისის რწმენას, კაპიტალიზმზე გამარჯვების რწმენას.

საბჭოთა ხალხთან ერთად განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდა მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა ყრილობის ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს — პარტიის ახალ, რიგით მესამე პროგრამას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებულ კონკრეტულ გეგმას. ჯერ კიდევ პროგრამის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათობით მილიონმა მშრომელმა, საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად განაცხადა, რომ იგი მთლიანად და სავსებით იწონებს მას და მზად არის ყველაფერი გააკეთოს კომუნიზმის აშენებისათვის, პარტიის მიზანდასახულობათა, მისი მითითებების განუხრელად შესრულებისათვის. საბჭოთა ხალხის სიტყვა არასოდეს დასცილებია საქმეს და ამჯერადაც იგი ცხადყოფს თავისი დაპირებისადმი ერთგულებას. ყველგან—სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში ახალი ძალით აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრება, გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა იმ ამოცანების პირნათლად განხორციელებისათვის, რომლებიც გენიალური სიცხადითაა ჩამოყალიბებული ყრილობის მიერ დამტკიცებულ პარტიის პროგრამაში.

ხალხის ამ თავდადებულ შრომაში, მის უსაზღვრო ენთუზიაზმში ყველაზე მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად დროული და აუცილებელი იყო ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის დაგმობა და მისი მავნე შედეგების ლიკვიდაციისათვის გაწეული უდიდესი მუშაობა. იდეურად და ორგანიზაციულად გაანადგურა რა ‹ მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის და სხვ. ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა პარტიის XX ყრილობის კურსს, პარტიამ, პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის

მეთაურობით მთლიანად აღადგინა პიროვნების კულტის ვითარებაში უხეშად დარღვეული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, პარტიული ცხოვრების ნორმები და უზრუნველყო საბჭოთა ხალხის უდიდესი შემოქმედებითი ენერგიის მაქსიმალური გამოვლინება, მისი სწორად წარმართვა კომუნიზმის მშენებლობის მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტისათვის. მთელ თავის ტიტანურ საქმიანობაში პარტია მტკიცედ ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის იმ ურყევი დებულებით, რომ ხალხი — ეს არის ისტორიის შემოქმედი, რომ კომუნიზმის აშენება — ეს მილიონთა ცოცხალი საქმეა, მათი მარჯვენის, ენერგიისა და გონების საქმეა.

„**კომუნიზმი,** — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში, — **არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდებიან მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიადი პრინციპი „თვითეულისაგან— უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. კომუნიზმი თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოების საკეთილდღეო შრომა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითეულის უნარი გამოყენებულ იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის“.**

აი ასეთი იქნება კომუნიზმი, რომელიც განახორციელებს და რეალობად აქცევს მშრომელი კაცობრიობის საუკუნეობრივ ოცნებას — შეექმნა ისეთი საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანი უხვად ისარგებლებს მატერიალური და სულიერი სიკეთით, იქნება ბედნიერი და სოციალურად თანასწორი, სადაც თვითეულს ექნება თავისი ნიჭისა და უნარის მაქსიმალურად გამოვლინების ყველა საჭირო პირობა. საბჭოთა ადამიანებს სრული უფლება აქვთ იამაყონ, რომ მათ პირველად გაკაფეს კომუნიზმის გზა და პირველნი შეუდგნენ კომუნისტური საზოგადოების აშენების პრაქტიკულად განხორციელებას.

საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში კომუნიზმის აშენებისათვის უაღრესად დიდია ლიტერატურისა და ხელოვნების როლი. კომუნიზმი რომ დავამკვიდროთ, ამისათვის საკმარისი როდია შევქმნათ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამასთან ერთად აუცილებელია კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბება, ხოლო ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. „ახალი ადამიანის ფორმირებაში, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე თავის მოხსენებაში სკკპ პროგრამის შესახებ, — დიდ როლს ასრულებენ **ლიტერატურა და ხელოვნება.** ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც ამკვიდრებენ კომუნისტურ იდეურობასა და ნამდვილ ჰუმანიზმს, საბჭოთა ადამიანს უნერგავენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს, ემსახურებიან ადამიანთა მხატვრული და ზნეობრივი განვითარების საქმეს“.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ხაზგასმითაა აღნიშნული პარტიის ახალ პროგრამაშიც, სადაც ნათქვამია, რომ „ისინი მოწოდებული არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუა-

„ლება“. ეს მეტად საპატიო და პასუხსაგები მოწოდება რომ პირნათლად შეასრულონ, ლიტერატურა და ხელოვნება მომავალშიც უნდა განვითარდნენ იმ ერთადერთ სწორი გზით, რომელზეც პარტია მიგვითითებს — ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლასთან კავშირის განუწყვეტელი განმტკიცების გზით. თვითეული მწერალი, თვითეული ხელოვნების მუშაკი მოვალეა ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლოს ხალხის ცხოვრება, ჩვენი მრავალფეროვანი სოციალისტური სინამდვილე და შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი დიადი თანამედროვის—კომუნიზმის მშენებლის სულიერი სამყაროს მთელ სიმდიდრესა და სილამაზეს, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან ცხოვრების დამკვიდრების პათოსით, კომუნისტური შრომის რომანტიკით, მაღალი ჰუმანისტური იდეებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვეობა, ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, მშრომელი მასებია თავდადებული ბრძოლა კომუნიზმის აშენებისათვის — აი რა უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი თემა განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა ასახონ ხალხის გმირული შრომა ისე, რომ გვიჩვენონ არა მარტო შრომითი მამაცობა მილიონობით ადამიანისა, არამედ თვით ამ მამაცობის მასაზრდოებელი იდეური წყარო — კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული. საბჭოთა ადამიანი ღრმად იდეური ადამიანია და მთელი მისი ცხოვრება გაცისკროვნებულია დიადი მარქსისტულ-ლენინური იდეებით. სავსებით ბუნებრივია, რომ ამის გამო მისი მორალური სახეც ყოველმხრივ სპეტაკი და ნამდვილად ჰუმანური, ნამდვილად კეთილშობილურია. ძველი, ექსპლოატატორულ საზოგადოებაში გაბატონებული ჯუნგლის პრინციპის — „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ ნაცვლად, იგი აღიარებს ახალ, სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ დიად და ერთადერთ ჰუმანისტურ პრინციპს — „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა“. და რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო საპატიო და საამაყო, თუ არა ასახო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და შრომა, მისი სულიერი სიწმინდე და სიმდიდრე?

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ძალა მუდამ იყო და არის სინამდვილის მთავარი და გადამწყვეტი მოვლენების მართალი ასახვა. ჩვენს ეპოქაში, საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნის ეპოქაში კი მთავარი და გადამწყვეტია ახლის, განვითარებადის, დადებითის დამკვიდრებისა და გამარჯვების პროცესი, ხოლო ახლისა და განვითარებადის დამამკვიდრებელი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დადებითი გმირი. აი ამიტომ აუცილებელია მომავალში კიდევ მეტი ყურადღება დავუთმოთ დადებითი გმირების შექმნას, ისეთი მხატვრული სახეების გამოძერწვას, რომლებსაც მისაბაძად მიიჩნევს მილიონობით მკითხველი. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გაბედულად არ ვამხილოთ ყოველივე ძველი და დრომოჭმული, ყველაფერი ის, რაც ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ, მაგრამ ლიტერატურა და ხელოვნება მოწოდებული არიან ადამიანები აღზარდონ უპირველეს ყოვლისა ცხოვრების დადებით მაგალითებზე.

დიადი და საპატიო ამოცანები, რომლებიც ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა შეასრულონ განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში, თვითეული მწერლისა თუ ხელოვნების მუშაკის წინაშე სახავს პირადი შემოქმედებითი ინიციატივისა და მაღალი ოსტატობის გამოვლინების ფართო ასპარეზს. ახლა ჯერი ჩვენზეა, რამდენად უნარიანად და სრულყოფილად გამოვიყენებთ ამ ასპარეზს, ყველა იმ აუცილებელ პირობას, რომლებიც

პარტიამ და მთავრობამ შეგვიქმნეს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის. თვითეულ მწერალსა და ხელოვნების მუშაკს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს ხელოვნებას მხოლოდ მაშინ შეუძლიათ აამაღლონ [illegible] იდეურ-აღმზრდელობითი როლი, თუ ისინი შექმნიან არა მარტო იდეურ-ძნელად-[illegible] ... ისინი მხატვრული ოსტატობითაც პირველ ადგილს დაიკავებენ მსოფლიოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ამოცანები გარკვეულია, მიზანი — ნათელი. ახლა მთავარია ვიმუშაოთ და ვიმუშაოთ, დღითიდღე, განუწყვეტლივ ვზარდოთ ჩვენი წვლილი კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის — „ჩვენი დროის ამ კომუნისტური მანიფესტის“ განხორციელების უდიდეს და უკეთილშობილეს საქმეში. საბჭოთა მწერლები და ხელოვნების მუშაკები მუდამ ხალხთან იყვნენ, მუდამ პარტიასთან იყვნენ. ისინი ამჟამადაც პარტიასთან და ხალხთან არიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა პირნათლად მოიხადონ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე — ხელი შეუწყონ ადამიანთა კომუნისტურ აღზრდას, მათ მობილიზაციას კომუნიზმის მშენებლობაში.

პარტია ჩვენგან მოითხოვს ვიყოთ კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში. ჩვენ ვეუბნებით პარტიას: მუდამ და ყველგან შენთან ვიქნებით, შენი ბრძნული ხელმძღვანელობით ვივლით, რათა უახლოეს დროში აშენდეს ის დიდებული, ნათელი შენობა, რომელსაც კომუნიზმი ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნესტორ მაღაზონია

თვითონ ლენინი

დადის ნოემბრის ქარი სისინით,
მაგრამ
ყვავილზე ნამი არ შრება,
ცის სამხრეთული,
ღია სიცილი
მღიმარ სახეებს ეთამაშება.
ქუჩებს მოედო ცეცხლის დინება —
დროშებია თუ ყაყაჩოები!
არის
სამშობლოს აღორძინება
და კომუნიზმის ხარაჩოები!
არის
სინათლე ბედნიერ დღეთა,
აყვავებული ბაღი და ველი,
არის
სიუხვე ხმათა და ფერთა,
ქვეყნის ლილეო დაულეველი!
არის
პარტია ფოლადის რწმენით,
მისი ყრილობის აზრი და ნება,
და ხალხს
მესამე პროგრამის ენით
თვითონ ლენინი ესაუბრება!

თანატოლი

ქუჩის ერთ მხარეს ერთი სახლია,
პირდაპირ — ჩემი პატარა ბინა.
იმ სახლში მრავალს უმოსახლია,
რაც მე მახსოვს და იმაზე წინაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვით ნაშენია.
ქვისვე ჭერი აქვს,
ქუჩიდან შედის ქვის კიბე გრძელი.
ჭიშკრის თუნუქზე წლები წერია —
892 წელი.
თანატოლი ვართ, ასე გამოდის,
მაგრამ სხვადასხვა ცხოვრების არსით:
გული მშვიდია იმ ნაგებობის,
მე კი სავსე მაქვს მღელვარე განცდით.
იგი ათას წელს ასე იქნება —
ვერ ნახავ მტირალს,
ვერ ნახავ მღიმარს,
ქვეყნის ავ-კარგი არ ეფიქრება...
რა დააბერებს, რა დაღლის იმას!
ო, მეჯავრება ქვების კარკასი,
წელთა და დროთა გულცივი მომსწრე.
ჩემი ცხოვრების წამში არ გავცვლი,
ასი უგულო წელიც რომ მომცე!

ქვიშხეთი

(ყიფიანისეული სახლი)

ძველქართული სახლ-კარი,
ძველი კერა ჩამქრალი,
ცხელი გულის ფანცქალი
ცხელი ტყვიით დამცხრალი,
წყაროს წყალის წანწკარი
მოჩურჩულე ცაცხვნარი.
კაცი ამასოფლელი,
უკუნ დროში მყოფელი,
ბნელის უარმყოფელი...
მწარე ფიქრის მომფენი
იფნიანი სოფელი
და
ყიფიანის სოფელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ გორგილაძე

ადამიანი

ჩვენ გასული წლის თებერვალში გავიცანით ერთმანეთი. საამქროში ქარხნის მთავარ ინჟინერს მოჰყვა.

— სერგეი ტროფიმოვი! — ხელი შინაურულად გამომიწოდა. ურალის სუსხიან ზამთარს მიჩვეული ისე ღრმად სუნთქავდა, თითქოს ჰაერი მაცოცხლებელი სურნელებით იყო გაჟღენთილი. მას შილიფად ეცვა. გადაღეღილი პერანგის შიგნით მოჩანდა კუნთმაგარი ვაჟკაცის ბრინჯაოსფერი მკერდი. ქერა თმები გვერდზე გადაევარცხნა. ფართო შუბლსა და სახის მტკიცე, მწყობრ ნაკვთებს თბილი, მაამებელი ღიმილი არ სცილდებოდა.

მთავარი ინჟინერი წავიდა.

სერგეი ჩვენთან დარჩა. იგი ურალიდან საკონსულტაციოდ ორი წლით მოავლინეს. რატომღაც ველოდით ჭაღარით დაფერცხლილ, თვითკმაყოფილ ძიას. ნასიამოვნები დავრჩით, რომ ვარაუდი არ გაგვიმართლდა. პირველი შეხვედრიდანვე მოგვეწონა.

საამქრო დაათვალიერა, უფრო სწორად, ის უზარმაზარი დარბაზი ვანახე, სადაც მომავალი ფურცელსაგლინავი საამქრო უნდა დაგვემონტაჟებინა. სერგეი მხიარულად ეცნობოდა ყველას. აქა-იქ მიმოფანტულ, ჯერ კიდევ აუკრეფავ უახლეს სამამულო ტექნიკას დაკვირვებით ათვალიერებდა.

— გაიგლის დრო და ამ ცივ ლითონს გავაცოცხლებთ, მხეცებივით ავაღრიალებთ, დაგვაცადოს! — მანქანებს საჩვენებელი თითით დაემუქრა. შემდეგ მე მომიახლოვდა, მხარზე მეგობრულად მომხვია ხელი და ყველას გასაგონად თქვა: — ბიჭებო, მინდა რომ ძმად მიმიღოთ, მინდა, რომ ამ მტკიცე ოჯახის საძირკველზე მეც ჩემი წილი აგური კეთილსინდისიერად დავაწყო.

თებერვალი ნაადრევი გაზაფხულით სუნთქავდა.

ეზოში ჩემი ავტომანქანა იდგა.

ქალაქში ცენტრალური ქუჩით გავედით.

მე მასპინძელი ვიყავი, ქართველი მასპინძელი. სტუმარი არ იცნობდა ჩვენს მხარეს, არ იცნობდა ჩვენს ტრადიციულ პურ-ღვინოს. არავინ ჰყავდა მახლობელი, რომელსაც ფიქრსა და სურვილს გაუზიარებდა. მინდოდა, თავი გამომედო, მაგრამ როგორ? მარტოხელა კაცი ოჯახში რით გავმასპინძლებოდი? ასეთი ფიქრებით შეპყრობილი ხიდს გავცილდი, ქალაქი ჩამოვიტოვე. „თბილისი!“ — ჩამძახა ვიღაცამ. „თბილისი!“ —

გავიმეორე ჩემთვის და სიჩქარეს ვუმატე.

გავედით მთავარ გზაზე. შორს გამოჩნდა თოვლით დაბურული კავკასიონი. სერგეიმ უცქირა უსასრულოდ გადაჭიმულ კავკასიონს და გაიღიმა. იგი წინათ გატაცებული ყოფილა ალპინიზმით და ბევრი მთაც დაულაშქრავს.

— მუხლი მაგარი მაქვს. თანახმა ვარ, ქვეყანა ფეხით შემოვიაროთ. რა ჯობს სუფთა ჰაერზე განავარდებას, მდუმარებით ჩამძიმებულ ათასწლოვან ტყეებში ღამის გათევას, მთიდან მთაზე ომახიან გადაძახილს, გაცოფებულ მდინარეებზე თოკით გადასვლას, ყინულებთან ბრძოლას, ბუნების საიდუმლოებათა ჩაწვდომას!

ვუსმენდი ჩემს თანამგზავრს და ვფიქრობდი: „დახე, ამ ფოლადაურ ვაჟკაცს თავისებური გატაცებებიც ჰქონია“.

ოცნებით შეპყრობილი კვლავ შორს გასცქეროდა სივრცეს და თავისთვის იღიმოდა.

დედაქალაქში ბევრი რამ არის მიმზიდველი, უცხოსათვის საყურადღებო. ავტომანქანა მთავარ ქუჩებზე ნელა გავატარე.

ქართულმა სუფრამ, ტკბილმა მელოდიებმა და „ნაფარეულმა“ ჩემი სტუმარი საკმაოდ ენამჭევრი გახადა. მან მკერდი გადაიხსნა და გული გადამიშალა.

შეზარხოშებულნი დავბრუნდით. ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა, უფრო ხალისიანი მეჩვენა. მთელი გზა დაბალი ხმით ღიღინებდა. დრო და დრო თბილად გადმომხედავდა და ხელს გადამხვევდა.

— დღეს 23 თებერვალია, მე არასოდეს დავივიწყებ ამ დღეს.

ავტომანქანა სასტუმროსთან გავაჩერე. მთხოვა, მისი ოჯახი გამეცნო. მესამე სართულზე ავედით. კარებში ხუთი წლის ბიჭუნა შემოგვეგება.

— ვალოდია! — ბიჭუნამ მორცხვად გამომიწოდა ხელი და მამას მიუბრუნდა ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია. იგი ფერმიხდილი და [illegible] იყო.

რბილ სავარძელში ახალგაზრდა ქალი იჯდა. მე გვიან შემნიშნა. ალბათ, არც ელოდა უცხო კაცს. შემკრთალი აჩქარებით წამოდგა. ნატიფი სახე ვარდისფრად წამოენთო, მსუბუქი მოძრაობით ჩამოშლილი დალალები უკან კოხტად აიკრიფა.

— ესეც ჩემი ემა!

პირველი დაბნეულობა უმალვე გაიფანტა. ქალმა ახლა უფრო გაბედულად მომანათა ზღვისფერი თვალები. „გამარჯობათო“, ხმადაბლა წაიმღერა, გაიღიმა, ჯერ ხელი გამომიწოდა, შემდეგ სკამი შემთავაზა. როცა მას განმეორებით დავაკვირდი, რატომღაც მომაგონდა რუსული ზღაპარი „ზოლუშკა“.

პატარა სუფრა სახელდახელოდ გააწყვეს. სერგეიმ „დედაქალაქური“ ჩამოდგა. ჩვენ გადავკარით და საუბარი განვაგრძეთ. სერგეის სასმელი უფრო მოეკიდა, ბავშვური თავდავიწყებით გამხიარულდა, მხარზე ხელი გადამდო და ძმაბიჭურად შემოვძახეთ.

— სერგეი, ეს რასა ჰგავს, ასე ხომ დაახრჩობ უცხო კაცს? — უსაყვედურა დიასახლისმა.

— ემა, ემოჩკა, — სერგეი იქით გადაიხარა და მეუღლეს დაუტკბა. — შოთა უცხო არ არის. ჩვენ ძმები ვართ. ნუ ეჭვიანობ, შენ ქვეყანას მირჩევნიხარ, შემდეგ კი აი ამას ვენაცვალე.

წამოვედი და თან გამომყვა მათზე ფიქრი. რა იყო იქ ისეთი, რომ განშორება გამიძნელდა? თითქოს არაფერი. გავიცანი ადამიანები, ჩვეულებრივი, უბრალო, კეთილი ადამიანები, რომელთა ოჯახურ ურთიერთობაში ცხოვრების დიდი შინაარსია. მათ დამოკიდებულებაში, არ ვიცი, ეს როდის ამოვიკითხე. ხან სრულიად უმნიშვნელო დეტალსაც შეუძლია თურმე გადმოსცეს ისე ბევრი, რომ

სხვა შემთხვევაში მთელი მოვლენა დაჩრდილოს.

განვლილმა დღეებმა ჩვენ უფრო დაგვაახლოვა. მე და პატარა ვალოდია დიდი მეგობრები გავხდით, შეიძლება იმიტომაც, რომ მას ჩემი „ვოლგა" ძალიან შეუყვარდა.

ადრიანი გაზაფხული ტკბილ სიმღერასავით ედებოდა სივრცეებს. ფერი იცვალა ველებმა, ხეივნებმა, ზეცამაც. თავისუფალ დროს ყველანი ავტომანქანაში ვსხდებოდით და ჰაიდა, საითაც გული გაგვიწევდა.

ერთი კვირის შემდეგ სერგეიმ ბინა მიიღო ქალაქის მეორე მხარეს, ქარხანასთან ახლოს.

სამონტაჟო სამუშაოები შეუჩერებლად მიმდინარეობდა. სახელმწიფო გეგმით პირველი პროდუქცია მომავალი წლის მაისში უნდა გამოგვეშვა. მთელმა კოლექტივმა ერთსულოვნად იკისრა მონტაჟი საქართველოს საიუბილეო დღისათვის დაგვემთავრებინა.

ზაფხულში ემას გოგონა შეეძინა. ზღვისფერთვალება და ოქროსთმიანი. რატომღაც ჩვილი მაგონებდა ნატიფ აისს, ნაზსა და მიმზიდველს, ისეთს, მზის ამოსვლამდე აღმოსავლეთის ცაზე რომ მოიხატება.

ტროფიმოვებმა მთხოვეს ნათლიობა მეკისრა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ეკლესიაში არ წავსულვართ. მორწმუნე არც ერთი არ ვიყავით. გვინდოდა, ჩვენი დაახლოების გამომხატველი რაღაც სიტყვა გამოგვენახა, მაგრამ რაკი ვერაფერი მოვიფიქრეთ, ისევ მამაპაპეული სიტყვით ვისარგებლეთ.

გავიდა ზაფხული.

ბარაქიანი შემოდგომა დააჩნდა საქართველოს მინდორ-ველებს, ბაზარსა და ჩვენს სუფრას.

— იცი, შოთა, — ერთხელ გამიმხილა სერგეიმ. — აქაური ჰავა ძალიან უხდება ჩემს ბავშვებს. თუ კი მიმიღებთ, მე აქ სამუდამოდ დავრჩები.

სერგეის ასეთ გადაწყვეტილებას უკვე ველოდი. ჩვენი ბიჭები მას ისე შეეთვისნენ, რომ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. საამქრო უმეტესობა წარმოგვედგინა.

რამდენიმე დღის შემდეგ სერგეი ქარხნის ძირითად შტატში ჩარიცხეს და ფურცელსაგლინავი საამქროს უფროსის, ე. ი. ჩემს მოადგილედ დანიშნეს.

უზარმაზარმა დარბაზმა, სადაც უთავბოლოდ ეყარა ახალი ტექნიკა, თანდათან საამქროს ფორმა მიიღო. ზემძლავრი ძრავების საძირკვლები ჩემი კონსტრუქციით დავამონტაჟეთ (ჩვენს ქარხანაში უკვე ჩემი რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, მათ საკავშირო კატეგორია მიენიჭათ), ავკრიფეთ კონვეიერები და მაგნიტური ამწეები, მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი საქმე გველოდა.

და, აი, სუსხიან ზამთარს ვალდებულების გადამეტებით კიდევ ორი დღე გამოვტაცეთ. ღამის ცვლამ 23 თებერვლის დილის 8 საათზე დაამთავრა უკანასკნელი სამუშაო, ხოლო 12 საათზე საამქროს საზეიმო გაშვება დავნიშნეთ.

დილიდანვე გაჩნდნენ კორესპონდენტები, რეპორტიორები, დადგეს კინო და ტელეგადაღების პროექტორები. ჩვენი ახალი მანქანები მძლავრ შუქზე საოცრად ლაპლაპებდნენ. საკმარისი იყო ელექტროპულტს ოდნავ შეეხებოდი და, სერგეის სიტყვებით რომ ვთქვა, „ნებივრად გართხმული ეს დაბმული მხეცები საშინელ ღრიალს მორთავდნენ".

თორმეტი საათისათვის საზეიმო ნაწილი მზად იყო. საამქრო ხალხით აივსო.

დაიწყო სიტყვები. ბეჯითი მოსწავლის მსგავსად სერგეისთან ერთად შედგენილი ფრაზები ხუთ წუთში ჩავაბულბულე. მთელი საამქროს სახელით ყველას აღვუთქვი, რომ ახალ მანქანებს თვალისჩინივით გავუფრთხილდებოდით, რომ ვიბრძოლებდით გარდამავალი დროშა უახლოეს დროში მოგვეპოვებინა და შემდეგ არავისთვის აღარ დაგვეთმო.

დადგა მანქანების საცდელი გაშვების ჯერი. გავარვარებული ფოლადის ზოდი კონვეიერზე გაცურდა. ქანჩებით შებოჭილი, მორჩილად მინებდა ზემძლავრ წნეხებს. მაგნიტურმა ამწემ თორმეტი მეტრი სიგრძის პირველი ნაგლინი ფურცელი დარბაზის ერთ მხარეს ისე თავისუფლად გადაიტანა, თითქოს ბუმბულიაო.

საამქროს გაშვება ცხოვრების ერთგვარ მიჯნად მიმაჩნდა. უფრო სწორად, ჩემი წარმოდგენით, ის ხელოვნურ არხს ემსგავსებოდა, რომელშიც დაუსრულებლად იდენდა ფოლადის ნაკადი. მთავარი იყო არხის გაჭრა, თორემ დინებას რა შეაჩერებდა! შარშან შვებულებით არ მისარგებლია, სად მეცალა დასასვენებლად! გადაწყვეტილი მქონდა, წელს ძველი და ახალი შვებულება საამქროს გაშვების შემდეგ ერთად ამეღო. მე, ოცდარვა წლის მამაკაცს, ხანდაზმული არ მეთქმის, მაგრამ დრო იყო, როგორც ჩვენში იტყვიან, ბალიშის მოზიარეზე მეფიქრა. მქონდა რამდენიმე თავდავიწყება, მაგრამ რატომღაც ვერ გავუგეთ ერთმანეთს. მოკლედ, ამ სფეროში ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო.

მაგრამ ჩვენ ადამიანები ვართ და ადამიანურ ამბებს სად გავექცევით?! მთავარი ის არის, რომ ჩემი საამქროს პროდუქცია მიდიოდა ყველგან — ლენინგრადში, ჩინეთში, ერაყში, ბულგარეთში და, ვინ იცის, კიდევ სად! ქვეყანა მოითხოვდა ბევრ, რაც შეიძლება ბევრ ნაგლინს... ესეც არ იყოს, ადმინისტრაციული სახლის წინ მაჩვენებელთა დაფა რომ არის, უცნაური ძალა ჰქონდა და ყველას იპყრობდა. გულგრილად ვერც მე შევყურებდი. ის ემსგავსებოდა ესტაფეტას თუ რაღაც თავაწყვეტილ სრბოლას, სადაც თვითეული ცდილობს სხვები უკან ჩამოიტოვოს. გარდამავალი დროშა, მარტენის საამქროში თვალსაჩინო ადგილას რომ გამოეფინათ, ბავშვური თავდავიწყებით მიპყრობდა და ვგრძნობდი, მანამ ვერ მოვისვენებდი, ვიდრე მას საიმედოდ არ ჩავჭიდებდი ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ჩემზე უფრო გამძლე აღმოჩნდა. მას შეეძლო ორი ცვლა შეუსვენებლად ემუშავა და დაღლილობა არ ეგრძნო. იგი თითქმის საამქროში ცხოვრობდა.

— ბიჭები კარგად ითვისებენ და შემდეგ ჩვენც მოვისვენებთ. — ჩემს შენიშვნაზე მუდამ მზად ჰქონდა პასუხი.

ბიჭებმა ითვისეს, მაგრამ მაინც მოხდა რაღაც საშინელი, ყველასათვის მოულოდნელი. და ეს მოხდა საამქროს გაშვების მეათე დღეს.

დილის ოთხი საათი იყო. ტელეფონის ჯიუტმა წკრიალმა გამომაღვიძა. ბურანს ძლივს დავაღწიე თავი. მორიგე ინჟინრის საგანგაშო ხმამ მაშინვე მაიძულა ქარხანაში სირბილით გავქცეულიყავი.

ქალაქში მარტის გამჭვალავი სუსხი თარეშობდა. მავთულებზე ასხლეტილი ქარი ავის მომასწავებლად ქვითინებდა და წიოდა.

ავტომანქანა არ გამომიყვანია, უკაცრიელ პროსპექტს მივყევი. ახლა ვიგრძენი, რომ ყელსახვევი და ქუდი დამვიწყებოდა.

ქარი არ ცხრებოდა, პროსპექტს ბოლო არ უჩანდა.

რა კარგად დავიწყეთ, რა უნდა მომხდარიყო?

თითქოს მხრებში ქარი შემიდგა, მსუბუქად ამიტაცა და წინ გამაქანა.

მთვარის ვერცხლისფერ შუქზე გამოჩნდა აკვამლებული მილები, ქარხანას ზემოდან დარაჯებივით რომ დასცქეროდნენ.

ალაყაფთან არავის არ შევუჩერებივარ.

სკვერი გადავჭერი.

საამქროში მდუმარე ადამიანებმა გზა მომცეს.

ფოლადის ფურცელი კონვეიერზე იდო. ნახევრად დაწნეხილ ლითონს სითბო ჯერ კიდევ შერჩენოდა.

უსიცოცხლოდ გართხმული ვეება მანქანები პულტს აღარ ემორჩილებოდა.

ყველანი უაზროდ. შინაგანი გაბოროტებით ჩასცქეროდნენ ჩამკვდარ მექანიზმებს, ადამიანებს ძალ-ღონე აღარ ჰყოფნიდათ სიცოცხლე დაებრუნებინათ მათთვის, ისევ ხმაურით აევსოთ დარბაზი.

მე უკვე ვხედავდი ჩვენი ბარომეტრი როგორ გაიყინა მაჩვენებელთა დაფაზე, ვხედავდი ქარხნის დირექტორის მაგიდაზე შექუჩებულ ელვადეპეშებს. „ნაგლინი! ნაგლინი!“ — იწერებოდნენ ყოველი მხრიდან.

კონვეიერქვეშა გვირაბიდან მამაკაცი კიბეს მძიმედ ამოჰყვა. მას ოქროსფერი თმები მაღალ შუბლზე ჩამოშლოდა და თვალებზე ებლანდებოდა. სახე ისე ჰქონდა შავი ზეთით შეთხუპნული, რომ ძლივს ვიცანი.

— ჰა, რას იტყვი, სერგეი?

— გორგოლაჭების სისტემა გადაიწვა.

— ესე იგი მთელი მექანიზმი უნდა დაიშალოს?

მან მშვიდად გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— სხვა გზა არ არის; სამოცი საათი გვეყოფა.

„სამოცმა საათმა“ ყველანი ისე შეგვაშფოთა, რომ მთელ დარბაზში ერთი გაბმული კვნესა გაისმა. ორდღენახევარი საამქრო უმოქმედოდ იდგეს? ეს საშინელებაა.

წარმოებას თავისი ფორმალური წესები აქვს. ყოველი ოპერაცია, თუ კი ის საამქროს სამ საათზე მეტს მოაცდენს, ქარხნის დირექციის ნებადაურთველად აკრძალულია. ბრძანების დამრღვევს კანონი არ იცავს და, თუ ხელმძღვანელს არ მოსწონხარ, შეუძლია შემთხვევით ისარგებლოს და მუშაობის ხალისი სამუდამოდ დაგიკარგოს. ქარხნის დირექტორი უცხოეთში იყო. მთავარი ინჟინერი ტელეფონზე არ პასუხობდა.

არ მინდოდა არცერთი წუთის დაკარგვა. პატივმოყვარე მთავარი ინჟინერი ალმაცერად მიყურებდა. მას ჰქონდა ამის მიზეზი. ვიცოდი, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, მაგრამ დაყოვნება მეტ ბოროტებად მიმაჩნდა.

— როგორ მოვიქცეთ? — ვკითხეთ ერთმანეთს ვუბრუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან თვალი გამისწორა, გაიღიმა და მტკიცედ მითხრა:

— დავიწყოთ!

მაშინ უცნაური, ბავშვურად გულუბრყვილო კითხვა დამებადა: „რატომ არა აქვს ყველას ისეთი კეთილი, გამამხნევებელი თვალები, ისეთი მოყვასი გული, როგორც სერგეის?“

და ჩვენ დავიწყეთ.

ვიღაც ჩემს გვერდით მუშაობდა, მივიხედე.

— სერგეი, შენა ხარ?

— დავუშვათ, რომ ასეა, შემდეგ?

— ფიქრები გამიზიარე.

— დაგვთარსეს.

— არა უშავს, წელში ჩქარა გავსწორდებით.

— თუ კი ახალი ცვლა ტემპს არ შეანელებს, ხუთ საათს მოვიგებთ.

— ვეცადოთ ათი საათი მოვიგოთ, უნდა მოვიგოთ!

ხანმოკლე დუმილი.

— სერგეი, ჩემზე მხოლოდ ოთხი წლით უფროსი ხარ და ისე გიყურებ, როგორც ჭკუადამჯდარ პაპას. მშურს შენი.

შავი ზეთით შეთხუპნულ სახეზე თეთრმა კბილებმა გამოანათა.

— უცნაური კაცი ხარ. ჰო, ცოტათი შენზე მეტი გამოცდილი ვარ, მაგრამ ეს რა სათქმელია. მე შენი მშურს.

— მაინც რა?

— როგორ თუ რა, მაგ პატარა თავში კონსტრუქტორთა ბიურო გიზის.

— ხა-ხა-ხა, რა გულიანად გამაცინე! დარდი მომეშვა.

საამქროს ფანჯრებში განთიადის შუქმა შემოაღწია.

— საცაა მთავარი ინჟინერი გამოჩნდება და ჭექა-ქუხილი დაიწყება.

— ერთი შენც... მთავარი ინჟინერი ცუდი კაცი არ არის, უმიზეზოდ ვერ იტანს.

— ასე ფიქრობ?

— რა თქმა უნდა. უნაკლო ვინ არის! თვითონ შენ რამდენი ნაკლი გაქვს, შეგიძულოთ?

— მაინც რა?

— ის რომ გულჩახვეულიცა ხარ, ნერვულიცა და ჭირვეულიც. სხვა რაღა გინდა!

სერგეისგან ეს სიტყვები პირველად არ მესმოდა. ამიტომ მათთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. ისევ მთავარ ინჟინერზე ვფიქრობდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი, მქონდა თუ არა უფლება მას გავმიჯნოდი? პასუხს ვეძებდი და ვერ მეპოვნა. რა დამიშავა? პირადად მე — არაფერი. რატომღაც მოდად იქცა, რომ თანამდებობის პირს სამეცნიერო ხარისხი ჰქონდეს. რაც ზოგიერთს კვარცხლბეკად თუ რაღაც მის მსგავს საშუალებად მიაჩნია, სხვებს ზემოდან გადახედონ. მთავარი ინჟინერი ცუდი სპეციალისტი არ არის, რამდენიმე კარგი ჩანაფიქრი აქვს... და აი, როცა მე საპროექტო ბიუროში ვმუშაობდი, წინადადება მომცა დავხმარებოდი, საზღაურად ყოველგვარი წყალობა შემპირდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, დაწინაურებაც. ასეთი სულმდაბლური ვაჭრული გარიგების ცდამ მძულვარებით აღმავსო. აქვს სხვა ნაკლიც. იგი ეფექტების კაცია, არ შეუძლია უბრალოდ დაგელაპარაკოს, შენიშვნა და რჩევა-დარიგება მოგცეს, უკეთეს გზაზე დაგაყენოს. არა, აუცილებლად სხდომებზე, კრებებზე, თათბირებზე იქუხებს და ისეთ ალიაქოთს ასტეხს, თითქოს ქარხანა დანგრევისაგან იხსნა. მთავარი ინჟინერი მარტო არ არის, მას ძია ჰყავს, ყოვლისშემძლე ძია. და ეს მოჩანს მის თვითკმაყოფილ სახეზე, თავდაჯერებულ მიხვრა-მოხვრაში, საპარადო ნაბიჯებში, ყოველ ჟესტსა თუ სიტყვაში.

— ჩემს ადგილას შენ რას იზამდი? — ისე მივუბრუნდი სერგეის, თითქოს ის ჩემი ფიქრების თანამოზიარე ყოფილიყო.

— ხელს არ ვკრავდი, რაკი დახმარება გთხოვა, კეთილსინდისიერად დავეხმარებოდი, მაგრამ ამავე დროს ვეცადებინებდი, რომ მოწყალებას არ ეფიქრებინებ, რომ შენ ამ წვრილმანებზე მაღლა დგახარ.

— ზედმეტი სიკეთე ხომ ზოგჯერ სიბრიყვემდე მიგიყვანს?

— მთავარ ინჟინერს ისეთი სენი სჭირს, რომელთანაც მარტო ვერაფერს გახდები, საერთო ლაშქრობაა საჭირო.

არ ვიცი, იქნებ, სერგეი მართალი იყო, იქნებ, მთავარ ინჟინერს ისეთი ჩანაფიქრი ჰქონდა, რომ ჩემი გულგრილობით სახელმწიფოებრივ დანაშაულს ჩავდიოდი, მაგრამ როგორც კი მისი თვითკმაყოფილი ფიზიონომია მომაგონდებოდა, თანაგრძნობის ყოველგვარი ხალისი მეკარგებოდა.

— მესხიძე! — არც თუ ხმამაღლა, მაგრამ მკვეთრად გაისმა ჩემი გვარი. ჯერ კიდევ ჩემი ფიქრებით გამოწვეული ბურანი კარგად ვერ გამეფანტა და, აი, ის თავზე წამომადგა.

— მთავარი ინჟინერია. — შემახსენა სერგეიმ.

რაღაც უჩინარმა ძალამ ისე მომადუნა, გვირაბის კიბეზე ასვლა გამიძნელდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა!

პულტთან საშუალო ტანის ორმოცდახუთიოდე წლის მამაკაცი იდგა. უპეებში ღრმად ჩამჯდარი ჭროღა თვალები მტრულად შემომცქეროდნენ. თხელი, ცივი ტუჩები ისე მოეკუმა, რომ სახის კუნთები უცნაურად დასძაბოდა, ალბათ, იმ ღვარძლის ამონთხევა, რაც გულში ედო, ან თუნდ ერთი დაყვირება შვებას მოგვრიდა, მაგრამ იძულებული იყო თავი დაეჭირა. ასე თუ ისე, ჩემს მდგომარეობას ანგარიშს უწევდა, ჩემს გამოგონებებს საკავშირო კატეგორია ჰქონდა, ქარხანაშიც კარგი რეპუტაციით ვსარგებლობდი.

— ამხანაგო მესხიძე! — მომმართა მკვახედ. — სად არის სასწაულები, ტრიბუნიდან რომ უხვად გვპირდებოდით?

ცუდად დაიწყეთ, ძალიან ცუდად. უახლესი ტექნიკის საუკეთესო მანქანები დააზიანეთ, მაგრამ, იცოდეთ, თუ ასე გაგრძელდა... — ფრაზა არ დაამთავრა, სწრაფად შეტრიალდა და ამალასთან ერთად აგრეგატებს მიეფარა. მას არ უკითხავს, რა მოუვიდა მანქანებს, რამდენი ხანი მოგვიხდებოდა დგომა, დახმარება თუ გვესაჭიროებოდა, სამაგიეროდ მაგრძნობინა, რომ გული ბოღმით ჰქონდა სავსე, მაგრძნობინა, რომ ჩემი უფროსია და მე მის კლანჭებში ვარ. ეს იყო და ეს. ვერ მოვასწარი მეთქვა, რომ ის, რაც საამქროში მოხდა, ჩემთვის მთელი ტრაგედიაა და, არა მგონია, სხვას ჩემზე მეტად განეცადა იგი. ვერ მოვასწარი მეთქვა, რომ მე ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებ, ხოლო თვითონ უღირსად იქცევა, როცა ქარხნის საქმეს რაღაც პირად გრძნობებსა და მოსაზრებებს უკავშირებს.

— შენ ცდები, შოთა.

მოვიხედე, სერგეი იყო.

— ვცდები? მაინც რატომ?

— პრინციპში. ადამიანებთან დამოკიდებულების პრინციპში. მთავარი ინჟინერი მოქმედებს ისე, როგორც ესმის, როგორც სწამს და, საერთოდ, ის ცუდი კაცი არ არის. ცუდი მხოლოდ შენ გეჩვენება, რადგან შენ მას ვერ იტან.

— ოჰო, აღმოჩენაც ეგ არის.

— კიდევ ორი თვე და სიტყვას გაძლევ, თქვენ მეგობრები გახდებით, მეგობრები თუ არა, კეთილისმსურველნი მაინც.

არ ვიცი, ორ თვეში სერგეი რა ცვლილებას ელოდა. თავის ჰუმანურ მოსაზრებებს იგი მუდამ ყველას ახვევდა თავს და ცდილობდა შედეგისთვისაც მიეღწია, მაგრამ მაშინ, როცა ჩემსა და მთავარ ინჟინერს შორის ნაპრალი უფრო და უფრო ღრმავდებოდა, რაიმე კომპრომისი მოსალოდნელი არ იყო.

და, საერთოდ, კამათი არ გამიგრძელებია. აღარ მინდოდა მომხდარ ამბებზე, მთავარი ინჟინრის სუსხიან თვალებსა და გესლიან გამოხედვაზე მეფიქრა. გვერ-რაბს დავუბრუნდით.

ორმოცდათერთმეტი საათი მეგობრულად ერგეი საამქროდან თითქმის არ გამოსულა. სულვართ. ქანცმილეულნი მორიგეობით კაბინეტში თუ ავიდოდით და ხანმოკლედ დივანზე მივწვებოდით. სახსრები გვტკიოდა, დაღლილობას მაინც არ ვნებდებოდით. სერგეი მუშებთან ერთად მღეროდა, ოხუნჯობდა, შემაქცევარ ამბებს ჰყვებოდი, ყოველმხრივ ცდილობდა მათთვის შრომა შეემსუბუქებინა.

მოსვენებას განსაკუთრებით ქარხნის მაჩვენებელთა დაფა მიკარგავდა. ნათლად ვხედავდი უვარგისი ბარომეტრის მსგავსად ერთ ადგილას გაყინულ ფურცელსაგლინავი საამქროს პროცენტულ მონაცემებს.

პულტი მესამე დღის განთიადზე ჩავრთეთ. გაცოცხლდა მექანიზმები. კონვეიერზე ზანტად გაწოლილი ნახევრად გათელილი ფოლადი მძლავრმა ქანჩებმა წნეხით გასრისა. ყველაფერი ამოძრავდა. დარბაზსა და ჩვენს სულში დათბა.

სერგეიმ გასუფთავებული გორგოლაჭი მოიტანა.

— ყველა შევამოწმეთ. დიდი უმრავლესობა მწყობრიდან გამოსულა.

— მაგითი რა გინდა თქვა?

— იგივე თუ განმეორდა, ამ მანქანას უჭირს რაღაც.

— ღმერთმა ნუ ქნას! მაშინ მთავარი ინჟინერი თავის მუქარას შეასრულებს!

სამუშაო ტანსაცმელი გამოვიცვალეთ, საამქროდან გამოვედით.

თბილი სასიამოვნო დილა იდგა. ქარხნის დაცვარული ეზო მზის შუქზე ვერცხლისფრად ბრწყინავდა. დამფრთხალმა ბეღურამ საკენკი მიატოვა და თეთრად გადაპენტილ ტყემლის ტოტებს შეეფარა.

გაზაფხულდა!

— აქ, თქვენთან ისე ერთბაშად იგრძნობა გაზაფხულის სურნელება, თითქოს ზამთრისაგან ერთი დღე ჰყოფდეს. კარ-

გია საქართველო, განსაკუთრებით ეს მრავალფეროვანი ბუნება. აქ მინდვრები, იქ გადარეული მდინარე, იქით ტიტველი მთები, უფრო შორს — ყინულებით ნაძერწი კავკასიონი. დონბასში მთა შეიძლება მხოლოდ მაღაროდან ამოღებული ქვანახშირისა იყოს.

— ჰო, სპორტსმენს ის მოსწონს, რაც სიძნელესთან არის დაკავშირებული.

— ზაფხულში შვებულებას ავიღებ და ემასთან ერთად ყველაზე მაღალი მწვერვალების დასაპყრობად გავემართები.

რვას თხუთმეტი წუთი აკლდა. ქარხნის თაღოვან ჭიშკარში ახალი ცვლა უწყვეტ ნაკადად შემოდიოდა, ეზოში იფანტებოდა და კორპუსებში ქრებოდა.

ქარხანა გოლიათური ძალით სუნთქავდა. მარტენისა და თბოელექტროცენტრალის ცადაწვდილი მილებიდან ამოჭრილ რძისფერ კვამლს ხეობიდან მონაბერი ქარი უკაცრიელი მთებისაკენ მიერეკებოდა.

ქარხნის მაჩვენებელთა დაფასთან შევჩერდით.

— ხედავ როგორ გავიყინეთ? მარტენი ოთხი პროცენტით ჩამოგვრჩებოდა, მილსაგლინავი—შვიდით, ახლა ორივე გვისწრებს.

— არა უშავს. ჩვენი ბიჭები ძალას ისევ მოიკრებენ.

— სერგეი, წადი, შენს მეგობარს მოახსენე, რომ საამქრო ამუშავდა, თან ემას დაურეკე აბაზანა მოგვიმზადოს. მე აქ დაგელოდები.

მთავარ ინჟინერთან სერგეის მარტო წასვლა არ უნდოდა, თავისი ჰუმანური პოლიტიკის მუდამ ერთგული იყო, მაგრამ აჯერად წინააღმდეგობა არ გაუწევია. ღიმილი ტუჩებზე შერჩა, თავი უხერხულად გააქნია.

* * *

სერგეი ბოლო დროს ხშირად მეუბნებოდა, რომ მექანიზაციის დარგში მას რაღაც მოსაზრებები და ჩანაფიქრები აქვს, მაგრამ რატომღაც საქმეს თავი ვერ მოაბა, სადღაც ცდება, ხოლო სად ცდება, ვერ მიუგნია. მთხოვა გავცნობოდი მის ჩანაწერებს.

დატვირთვისაგან რომ გავეთავისუფლებინე, ქარხანაში ჩემს მაგივრად მან დაიწყო მორიგეობა. მე კი მის „რეფერატს“ ჩავუჯექი.

მაგრამ ეს „რეფერატი“ კი არა, კაპიტალური შრომა აღმოჩნდა. იგი მექანიზაციის ბოლო დროის მიღწევებს ახალ შუქს ფენდა, რამდენიმე პრაქტიკულ წინადადებას აყენებდა ზემძლავრი აგრეგატების მერხევი მაგიდების სრულყოფის დარგში. წინადადებები სერგეის უნაკლოდ წამოუყენებია, ოღონდ პრაქტიკულად ვერ ახერხებდა მათ გადაწყვეტას. აქ უკვე იფეთქა ჩემმა სტიქიამ, ჩემმა ფანტაზიამ. ეს ხომ ჩემი ნაცნობი და ღვიძლი საქმე იყო!

ვეღარ მოვითმინე და მაშინვე საამქროში დავურეკე. კი არ ველაპარაკებოდი, ვყვიროდი, ვყიჟინებდი, სიხარულისაგან თვალი ცრემლით მევსებოდა, ყელში რაღაც მეჩხირებოდა. ჩემთან ახლოს რომ ყოფილიყო, ისე ვიყავი აღფრთოვანებული, შეიძლება დამეხრჩო. სიტყვა მივეცი, ერთ თვეში კონკრეტულ წინადადებებსა და მონახაზებს ჩავბარებდი.

ვიცოდი, სერგეი ბევრს კითხულობდა, დაკვირვებული და პრაქტიკული ადამიანი იყო, მაგრამ უაღრესად ჰუმანური ბუნების კაცი სხვის აღმოჩენებს ასე უკიდურესი კრიტიკული თვალით თუ განქექავდა და უკეთეს, გადამწყვეტ დასკვნებს გამოიტანდა, არ მეგონა.

მან ჩემი გულისხმიერებით ისარგებლა და მეორე წინადადებაც შემომთავაზა: ქალაქის ნაკრებთან ბრძოლაში დავხმარებოდი ჩვენს ფეხბურთელთა გუნდს. აქაც პირობა მომცა, თამაშის დროს თავს ორმაგად დაიტვირთავდა, მხოლოდ უარს ნუ ვიტყოდი.

ქალაქისა და ქარხნის ნაკრები გუნდების მეტოქეობა მათი ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე დაიწყო და, უნ-

და ვაღიარო, რომ ქალაქი მუდამ გვჩაგრავდა. ფეხბურთი ვის არ იტაცებს. ინსტიტუტში ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ვითვლებოდი, მაგრამ შემდეგ არ ვიცი რა მიზეზით, ასაკის გამო თუ ფილტვების ანთების შედეგად ფეხბურთი მივატოვე, თუმცა სპორტს თავს მაინც არ ვანებებდი. ხშირად ვვარჯიშობდი. სერგეის ჩამოსვლის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. იგი საუკეთესო „მეცხრე ნომერი" აღმოჩნდა, ისეთი დარტყმა ჰქონდა, მაყურებელმა „ქაჯური" შეარქვა. ჩვენ მშვენიერი ანსამბლური თამაში გამოგვივიდა და მოწინააღმდეგე ორჯერ სასტიკად დავამარცხეთ. წელს აღარ ვფიქრობდი მოედანზე კვლავ გამოსვლას. მაგრამ სერგეის უარი ვერ ვუთხარი. იქნებ, იმიტომაც, რომ მეტისმეტად ვნერვიულობდი. გულს ვერაფერს ვუდებდი. საამქროს მეორედ გაშვებიდან ათი დღე იწურებოდა. არ ვიცოდი, გორგოლაჭები გაუძლებდა თუ გვიმუხთლებდა.

მინდორზე ვიყავით, ვისვენებდით. სერგეი ხშირად დასცქეროდა საათს. ისიც არანაკლებ ნერვიულობდა. ჩვენ უკვე გვქონდა აგრეგატების მუშაობის საათობრივი და ნაგლინის გამოშვების ზუსტი გრაფიკი. თუ კი მექანიზმს რაიმე დეფექტი გამოჰყვა, საღამოს ექვს საათამდე იგივე უნდა განმეორებულიყო. ვარაუდს ჯერჯერობით არავის ვუმხელდით. არ გვინდოდა ეჭვებს ავყოლოდით, ან მუშებისათვის გული გაგვეტეხა.

— მოდის! — წამოიძახა სერგეიმ, თან უწმაწურად შეიგინა.

ადგილიდან ინსტინქტურად წამოვიჭერი. საამქროს მორიგე ბრიგადირი ჩვენკენ მორბოდა. ყველაფერი გასაგები იყო.

მთავარი ინჟინერი დიდი ამალით გამოცხადდა. აქვე იყო ქარხნის ყველა სპეციალისტი და მთელი საპროექტო ბიუროს აპარატი. რატომღაც გადამწყვეტი სიტყვის თქმას ვერავინ ბედავდა.

მთავარი ინჟინერი დასცქეროდა მის ფერხთით უმოძრაოდ გაწოლილ აგრეგატებს. ძნელი იყო მისი ფიქრების გამოცნობა. ეტყობოდა, რომ მერყეობდა. იქნებ, ებრძოდა თავისთავს, ამჯერად გამსწორებოდა თუ ისევ მოეთმინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმილს კი ბოლო არ უჩანდა. მაგრამ განკარგულება - გავეცი მექანიზმების დაშლა დაეწყოთ ისე, რომ თანხმობა არავისთვის მითხოვნია.

მთავარი ინჟინრის გაფითრებულ სახეს ვარდისფერი გადაეფინა. ეტყობოდა, ჩემმა ქცევამ გააღიზიანა. შეიძლება დამნაშავე ვიყავი, რომ უფროსთან დამოკიდებულების ყველა ეთიკური ნორმა ვერ დავიცავი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ პირფერობა არ შემეძლო და იმიტომაც, რომ მომხდარ შემთხვევას ყველაზე მეტად მე განვიცდიდი.

— აქ მანქანები კი არა, ადამიანები არიან დამნაშავენი. მათ ბარბაროსულად ხმარობთ. — ავტორიტეტულად, თანაც მკაცრი ტონით ყველას გასაგონად განაცხადა მთავარმა ინჟინერმა და დარბაზიდან მოღუშული გავიდა.

აშკარა იყო, არც ჩვენ ვიყავით დამნაშავენი, არც მუშები. მიზეზი მექანიზმში უნდა გვეძებნა, მაგრამ როგორ? ექსპერიმენტებისათვის ვის ეცალა, სახელმწიფო გეგმა უნდა შეგვესრულებინა.

ვაცნობეთ მოსკოვს, რომ კონსტრუქტორები გამოეგზავნათ. კონსტრუქტორები ურალში აღმოჩნდნენ.

დეპეშა გავგზავნეთ ურალში. პასუხი არ ჩანდა.

საამქროს გაშვებას ამჯერად სამოცი საათი დასჭირდა.

მთავარმა ინჟინერმა თავისთან დაგვიბარა.

იგი კაბინეტში იყო, ხალიჩის ერთი თავიდან მეორემდე ბოლთასა სცემდა. შესვლის უმალ ჩვენკენ გამოქანდა და რაღაც ქაღალდი გაცხარებით ცხვირწინ აგვიფრიალა.

— აკი გეუბნებოდით, მანქანებს ბარბაროსულად ექცევით-მეთქი! ახლა ხომ დარწმუნდით?

სერგეიმ მშვიდად ჩამოართვა ქაღალდი. იგი დეპეშა აღმოჩნდა. მე ძალა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეყო მთავარი ინჟინრისათვის გულგრილად მეცქირა. გადავწყვიტე უკანვე გავბრუნებულიყავ, მაგრამ სერგეიმ შემაჩერა.

„მექანიზმებს, ალბათ, უხეშად ხმარობთ. გაუფრთხილდით. ჩამოვალთ ორმოცი დღის შემდეგ“; იწერებოდნენ კონსტრუქტორები ურალიდან. ორმოცი დღე, ორმოცი დღე, ვიმეორებდი ჩემთვის, ე. ი. მექანიზმების ოთხჯერ დაშლა და აკრეფა? ეს ხომ საშინელებაა! მთელი დრო და ძალღონე ძირითადად მას უნდა შევალიოთ. მერე სახელმწიფო გეგმა? მუშების განწყობილება?

— ახლა რაღას იტყვი? — მთავარი ინჟინერი ნიშნის მოგებით მომიბრუნდა.

— ხომ შეიძლება ისინიც ცდებოდნენ? — პასუხის ნაცვლად კითხვით მივმართე.

ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა და სახეში ჩამხედა.

— ბი-ჭუ-კე-ლა! — დამარცვლით მესროლა. მას თვალები ამღვრეოდა და საფეთქელთან რომელიღაც ძარღვი ისე არაბუნებრივად უცემდა, თითქოს კანქვეშიდან ამოხტომას ლამობდა.

ამჯერად იგი თავისი მდგომარეობით სარგებლობდა და ცდილობდა დავემცირებინე. როგორც ჩანს, არა მარტო ვალდებულად თვლიდა დავხმარებოდი, არამედ შეურაცხყოფადაც კი მიიჩნია, რომ მის სურვილს ანგარიში არ გავუწიე.

საქმე რომ არ გამწვავებულიყო, საუბარში სერგეი ჩაერია. მან მთავარ ინჟინერს ურჩია, ჩვენი სპეციალისტების დახმარებით აღმოგვეჩინა დეფექტი.

— ამხანაგი მესხიძე თავისი ოცნებებით ჰაერში დაფრინავს! — კბილებში გამოსცრა ისე, რომ ჩემთვის გამჭოლავი მზერა არ მოუშორებია.

ვერ გამეგო, ამ კაცს რად სიამოვნებდა სხვისი ნერვების წეწვა. მისი ჭირვეულობის ატანა მხოლოდ სერგეის თუ შეეძლო. მე კაბინეტიდან გავედი.

ჩემს ადგილას, შეიძლება, სხვას ყველაფერზე ჩაექნია ხელი, მაგრამ ამჯერად მთავარი ინჟინრის მოქმედებას ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევდი. მთავარი ის იყო, რომ იქ, საამქროში, ბევრად ამბებზე უფრო მნიშვნელოვანი რამ, დიდი სახელმწიფოებრივი საქმე ბოდა. ფოლადის ნაგლინი უხვად სჭირდებოდა სამშობლოს. ჩვენი საამქროს ყოველი ტონა დამზადებული და დასამზადებელი ნაგლინი დაგეგმილი იყო.

სერგეი კიბეზე დამეწია.

— ბავშვი ხარ, რა ასანთივით იფეთქებ ხოლმე! უფროსი ვალდებულია იყვიროს. მაშ რა, თავზე ხელი გადაგისვას?

— თუ ძმა ხარ, მოდი, კინოში ან თეატრში წავიდეთ, გული გადავატანოთ. ხვალ დამშვიდებული გონებით უნდა დავუკვირდე აგრეგატებს.

— რა თქმა უნდა, ასე სჯობს. — სერგეი ხალისიანად დამეთანხმა.

შემდგომ დღეებში საამქროს რამდენიმე საათით ხშირად ვაჩერებდით. ყველა პროცესს აკვირდებოდნენ საპროექტო განყოფილების სპეციალისტები. ვაკვირდებოდით ჩვენც. გავსინჯეთ მერხევი მაგიდები, საყრდენები, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინეთ, არც ბურთოვანი გორგოლაჭების შემოწმებამ მოგვცა სასურველი შედეგი.

შემდგომი აკრეფისას საამქრო სამოცდახუთი საათი იდგა. ახლა ქარხნის ყველა საამქროს უკან მიეჩანჩალებდით. ტექნიკა ავითვისეთ, მაგრამ მანქანა გვღალატობდა. მუშებს ხალისი დაეკარგათ. ბევრი მათგანი სხვა საამქროში გადაყვანას მოითხოვდა. მთავარი ინჟინერი აღარ გვიხირდებოდა, დარწმუნდა, რომ შეფერხებაში ბრალი არ გვედო, მაგრამ მე თავს მაინც არ მანებებდა. ყველა თათბირზე ცდილობდა მიწასთან გავესწორებინე. „ეს კაცი თავისი ილუზიების ბურუსში გვახვევს, ამხანაგებო. სანამ მთელ საამქროს უფსკრულში გადასჩეხდეს, ერთადერთი გამოსავალია წავართვათ ამის შესაძლებლობა“. მოკლედ, ჩემს გადაყენებას მოითხოვდა. მე ველარ მოვითმინე და შევნიშნე, რომ ზოგიერთის მსგავსად თანამდებობა არ

მიტაცებდა. ეტყობოდა, ნათქვამი მიზანს მოხვდა. იგი ადგილიდან წამოიჭრა და მთელი ხმით დამიყვირა:

„Молчать, мальчишка!"

ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. გაჩუმების მეტი რაღა დამრჩენოდა. სიმშვიდე ჩემთვის ყველაფერი იყო. აღელვებულ ადამიანს საღად აზროვნებაც კი არ შეუძლია. სერგეი ყოველმხრივ ცდილობდა სიდინჯის, თავდაჭერილობის მაგალითი მოეცა, მაგრამ მე სხვა ყაიდის ვიყავი, სხვა მასალისაგან შექმნილი. სერგეი იმის დამტკიცებასაც ცდილობდა, თითქოს მე მთავარი ინჟინრის ყოველი მოქმედება ტენდენციური მეჩვენებოდა, რომ საერთოდ, ზოგიერთ ხელმძღვანელს აქვს ხელქვეითებთან დამოკიდებულების ასეთი სტილი. ხშირად დირექტორები, მთავარი ინჟინრები, საამქროს უფროსები და სხვები და სხვები ისე გვანან ერთმანეთს, როგორც ტყუპები, და ასე შემდეგ... მაგრამ მთელ ამ რიტორიკულ ორომტრიალს არაფერი შედეგი მოჰქონდა. ჩემთვის აუცილებელი იყო სიმშვიდე და მოვლენების შეუცდომლად შეფასება. მე და სერგეი შეეთანხმდით— როცა მთავარი ინჟინერი საამქროში მოვიდოდა, სერგეის სიტყვებით რომ ვთქვა, „ჰალუცინაციები რომ არ მომსვლოდა", არ შეეხვედროდი, ხოლო თათბირებზე სერგეი წავიდოდა. ასეც მოვიქეცით და, შეიძლება ითქვას, შედეგსაც მივაღწიეთ.

სერგეისთან ერთად დღედაღამ ჩავკირკიტებდი წიგნებსა და მექანიზმებს. გადავიკითხეთ უამრავი ლიტერატურა, გავეცანით ტიპიურ პროექტებს. ძველი და ახალი მანქანების კონსტრუქცია პრინციპში ერთნაირი აღმოჩნდა, განსხვავებას გაბარიტი და ავტომატიზაცია ქმნიდა. ავარიული მდგომარეობის ერთადერთი მიზეზი მხოლოდ გაბარიტი შეიძლებოდა ყოფილიყო, წნეხვის დროს დეტალები ვეღარ უძლებდნენ ადრინდელთან შედარებით ორჯერ განიერ მერხევ ბაგიდებზე დაწოლას. ეს იყო საქმის მხოლოდ მესამედი. ჩვენ ახალი ამოცანის წინაშე აღმოვჩნდით: კონკრეტულად უნდა გაგვეგო, წნეხვას რომელი დეტალი ვერ უძლებდა და, ბოლოს, შეიძლებოდა თუ არა სუსტი დეტალის [illegible] სხვა დეტალით.

ამავე დროს მთელ ჩვენს ძიებებს ეჭვის ქვეშ აყენებდა კონსტრუქტორების დეპეშა, რომლითაც ბრალს გვდებდნენ მანქანების უხეშ ექსპლოატაციაში. ნუთუ სხვა ქარხნებში ეს დანადგარები უნაკლოდ მუშაობენ და მართლაც ჩვენ დავუშვით რაღაც შეცდომა? მოუთმენლად ველოდით კონსტრუქტორების ჩამოსვლას, მაგრამ ამავე დროს შინაგანი ხმა გვეუბნებოდა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით.

დადგა მორიგი მეათე დღე, მანქანებს დაეტყოთ სასიკვდილო ცახცახი. ჩვენ ზუსტად ვიცოდით, რომელ საათზე შეწყვეტდა იგი სუნთქვას. ცვლის მუშები დაღლილი იყვნენ და აგრეგატებია დაშლაზე უარი თქვეს. დაველოდეთ ახალ ცვლას. მათ ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს საკუთარი საფლავის გათხრა უხდებოდათ. იქნებ, მთავარი ინჟინერი კმაყოფილიც დარჩენილიყო, თუ კი ყველანი მუშაობაზე უარს იტყოდნენ. მაშინ შესაძლებლობა ექნებოდა მკაცრად დავესაჯე (თუ კი ასეთი სურვილი ჰქონდა!), მაგრამ ეგ არ მოხდებოდა. ეგ არ მოხდებოდა, რადგან მუშების უდიდეს უმრავლესობას ჩემი სწამდა, ისინი შუა ხიდზე არ მიმატოვებდნენ. მუშები დავარწმუნეთ, რომ დეფექტი აღმოვაჩინეთ და იგი ისევ ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ.

ჩქარობდა საქმე, ვჩქარობდით ჩვენც, ჩქარობდნენ მუშებიც, მაგრამ მათ უკვე აღარ ჰქონდათ ადრინდელი ენთუზიაზმი.

აკრეფილი მანქანები ახალმა ცვლამ ჩაიბარა. მეტისმეტად დაქანცული, კაბინეტში ავედი და დივანზე მივწექი. მაშინვე ჩამთვლიმა. ბურანისგან მანქანების გაშვების პირველმა გამაფრთხილებელმა ზარმა გამომიყვანა. მას უნდა მოჰყოლოდა მეორე და მესამე, მაგრამ რატომღაც არ ისმოდა. ნუთუ ერთ წუთ-

ში ისე ჩამეძინა, რომ პირველი ორი ზარი ვერ გავიგონე? წამოვდექი, ღია ფანჯრიდან საამქროს გადავხედე. ჯერ პულტის ჩართვით მოკლე სირენამ დაიწრიპინა, მას ბანი მთელმა საამქრომ მისცა, ყველაფერი ერთბაშად გაცოცხლდა და მძლავრი გუგუნით უზარმაზარი დარბაზი აავსო. მოულოდნელად მანქანების განუწყვეტელი ხმაური რაღაც ზებუნებრივი ძალით დაჰფარა განწირული ადამიანის შემზარავმა ყვირილმა. იმავე წამს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. საშინელების მოლოდინში სუნთქვა შეიკრეს ადამიანებმა და აგრეგატებმა. არავინ იცოდა საიდან ამოიჭრა ან სად ჩაწყდა ის ხმა.

აშკარა იყო, უბედურება გვირაბში დატრიალდა. ყველანი იქითკენ გაქანდნენ. მეც გვირაბში შევიჭერი. იატაკზე ვიღაც უძრავად ეგდო. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ზეთით დასვრილი, ჩამოძენძილი ხალათის შეგნით მოჩანდა სისხლის ლაქებით შეფერადებული თეთრი პერანგი.

ფიქრის დრო არ იყო. ცალკეული ერთი აზრი მიტრიალებდა, როგორმე დამეფრთხო სიკვდილის აჩრდილი, გადამერჩინა სიცოცხლე, გადამერჩინა ადამიანი.

მივუახლოვდი. იგი პირქვე იწვა. ვიღაც მომეშველა, წამოვწიეთ.

— სერგეი?! — გაკვირვებით აღმომხდა.

— სერგეი! — ჯერ ხმადაბლა წავჩურჩულე: — სერგეი! — შემდეგ უაზროდ წამოვიყვირე. იგი დუმდა, სამარესავით დუმდა.

ძალღონე არ მეყო ავმდგარიყავი. საიდანღაც თეთრხალათიანი ექიმები გაჩნდნენ, საკაცე მოიტანეს, ფრთხილად დაასვენეს და წაიღეს.

* * *

ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოში მეორედ მივედი. სერგეი უკვე გონზე იყო. ექიმებმა ლაპარაკის ნება მისცეს.

მას მარჯვენა ფეხი მოკვეთეს.

ოცნებობდა მთელი ქვეყანა ფეხით მოევლო. მთები და მყინვარები დაელაშქრა.

ადრინდელი ოცნებები მთიდან მოწყვეტილი ზვავის მსგავსად ხმაურით უფსკრულში ჩაიქცა. ჩაიქცა და ყველაფერი მიწყნარდა. მიწყნარდა ისე, როგორც აი, ის, ტირიფებით ჩამძიმებული ხეივანი, სერგეის ოთახის ღია ფანჯრიდან რომ მოჩანდა.

როგორც კი შემნიშნა, ისე შემომღიმა, თითქოს თანაგრძნობა მე მჭიროდა, მაგრამ ამავე დროს იმ ღიმილში ღრმა სევდა გამოკრთა.

ტახტზე ჩამოვჯექი. სიტყვები ვერ მეპოვნა მეთქვა რაიმე.

ფიზიკური ტკივილებისა და სულიერი განცდების კვალი მძიმედ აღბეჭდოდა ჩამუქებულ უპეებსა და დაქანცულ, ფერმიხდილ სახეზე.

გამომძიებელი მოვიდა, სერგეის მოუსმინა.

პირველი გამაფრთხილებელი სიგნალის დროს სერგეი მერხევი მაგიდების ქვედა ტრანსპორტიორზე მდგარა. უნდოდა ხუფი მოეხსნა და საკისრების მუშაობას დაკვირვებოდა. მას საკმაო დრო ჰქონდა, ვიდრე გამაფრთხილებელი ზარი ორჯერ განმეორდებოდა. მაგრამ ზარის ნაცვლად პულტი ჩაირთო და მანქანები ამუშავდა. მარცხი მექანიკოსის გაუფრთხილებლობამ გამოიწვია. მექანიკოსი ღამენათევი და ნასვამი აღმოჩნდა.

ჩვენ ისევ მარტო დავრჩით.

— დილით ემამ მნახა, — მშვიდად მითხრა სერგეიმ. — მოტეხილობა ჭკონია. არ იცის, რომ ხეიბარი გავხდი. დამშვიდებული გავუშვი.

იგი დარწმუნებული იყო, რომ მეუღლეს ამჯერად ააცილა უფრო მძიმე ამბის გაგებით გამოწვეული მწუხარება, მაგრამ ემამ ყველაფერი იცოდა. საოპერაციო ოთახს წუთითაც არ მოსცილე-

ბია. ახლა იძულებული იყო თავისთავზე კი არა, სერგეის სულიერ განწყობილებაზე ეფიქრა.

მან ცოტა შეისვენა, შემდეგ ისევ განაგრძო:

— ცუდ დროს წავიქეცი! — შინაგანი ბოღმითა და ტკივილით წარმოთქვა. — გადამწყვეტი ბრძოლის დროს წავიქეცი, მაგრამ რა გაეწყობა! მარტო უნდა გასწიო ჭაპანი, შოთა. მოდი, დავასწროთ კონსტრუქტორებს.

— როგორ?

— ჩვენ არ ვცდებით. გადახურების გამო ზიანდება საკისრები და მწყობრიდან გამოდის გორგოლაჭები. მოიფიქრე რამე. მანამ არ მოხვიდე, ვიდრე არ მოიფიქრებ.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ეს ერთი დღის საქმე იყოს.

— თუნდაც მთელ კვირას ნუ მოხვალ. მხოლოდ შემდეგი აკრეფის დროს დეტალი მზად გქონდეს. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი თანაგრძნობა იქნება.

სერგეის განწყობილება ჩემთვის ნათელი იყო. მას უნდოდა დაემარცხებინა ბრმა მექანიზმები, სიცოცხლე აღედგინა მთელ საამქროში, მტკიცედ გაესწორებინა თვალი მათთვის, ვინც ალმაცერად გვიყურებდა.

დრო აღარ დამიკარგავს. ქარხნის ბიბლიოთეკიდან გამოვიწერე საჭირო ტექნიკური ლიტერატურა და კაბინეტში ჩავიკეტე. ახლა მხოლოდ საკისრები და გორგოლაჭები მაინტერესებდა.

მეორე დღეს ტელეფონით მთავარმა ინჟინერმა თავისთან დამიბარა. ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და ვთხოვე ნება მოეცა რამდენიმე დღე რ გამოვსულიყავი საამქროდან.

„თავხედო! ახლავე გამოცხადდი!“ მთელი ხმით დამიყვირა და უმალვე ყურმილიც დასდო.

კაბინეტში მარტოდ იყო. ქაღალდებს თავი მიანება და გაკვირვებული შემომხედა. მის უსიცოცხლო ტუჩებზე თითქოს ღიმილმაც გაიელვა.

მანიშნა დავმჯდარიყავი.

დავემორჩილე.

მისი ლექცია ერთსაათიანი აღმოჩნდა. მორალით დაიწყო. ლაპარაკობდა ფრთხილადად და დალაგებით. მისაყვედურა, რომ ჩემში კიდევ ბევრი იყო ჭაბუკური თავქარიანობა, რომ მე ჯერ ცუდად ვიცნობ ცხოვრებას და ყველაფერს ზევიდან დავყურებ, გამათავხედა რამდენიმე კარგმა ჩანაფიქრმა, მაგრამ გაივლის დრო, ცხოვრებას ღრმად დავუკვირდები და შევიგნებ ჩემს შეცდომას. შემდეგ მომაგონა შინაგანაწესი, საამქროს გამგის მოვალეობანი და პირადი პასუხისმგებლობა. გადამიშალა ჩემს საამქროში მომხდარი ამბები და დამარწმუნა, რომ არა თუ მოხსნის, პასუხისგებაში მიცემის ღირსიც ვიყავი, მაგრამ იქვე დაუმატა, რომ ჰუმანურ მოსაზრებათა გამო არც ერთს გააკეთებს და არც მეორეს. მხოლოდ მირჩია, დავწერო განცხადება, რომ ფურცელსაგლინავ საამქროს თავი ვერ გავართვი და ვითხოვო სხვა, შესაფერ სამუშაოზე გადაყვანა.

მე მოველოდი ასეთ ფინალს, სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. საამქრო გეგმებს ვერ ასრულებს. საამქროში მარცხი მოხდა. ვიღაცას პასუხი ხომ უნდა მოეთხოვოს? დამნაშავე იქნება თუ უდანაშაულო, ვიღაც ხომ უნდა დაისაჯოს? წინათ ასე მოიქცა ქარხნის დირექტორი. რკინიგზის საამქროში მანევრირების დროს ვიღაც მთვრალი მატარებელმა გაიტანა. მემანქანეც დასაჯეს და საამქროს უფროსიც. თურმე საამქროს უფროსს უნდა სცოდნოდა, რომ იმ დროს ის კაცი იქ აღმოჩნდებოდა ნასვამი და უბედურება თავიდან აეცილებინა. მთავარი ინჟინერიც იძულებულია ასევე მოიქცეს. ალბათ, ასევე იქცევიან სხვებიც. არის რაღაც ერთიანი დოგმა, რომელიც შეიძლება არავის მოსწონდეს, მაგრამ მაინც ასრულებენ. მე ყველაფერი ეს პარადოქსად მეჩვენება, მაგრამ ასე არ მსჯელობდა მთავარი ინჟინერი. მას აუცილებლად ჰკითხავდნენ, თუ რა ღონისძიება მიიღო ამ შემთხვევის გამო და აი, ინებეთ, ზომები მიღებულია, სა-

ამქროს უფროსი განთავისუფლებულია, ან მოხსნილია.

და მე ვკითხე ჩემს თავს: ღირს კი ისეთ წარმოებაში დარჩენა, სადაც ხელმძღვანელები ასე ცალმხრივად მოქმედებენ? დარჩე იქ, სადაც არ უნდათ დაინახონ შენი შესაძლებლობები, შენი სულიერი მდგომარეობა, შენი სიმართლე?

ამ დროს თითქოს მომელანდა: სერგეი ლოგინიდან წამოიწია და მოთმინებადაკარგულმა დამიყვირა: შენ მართლაც ბიჭუკელავ, მართლაც თავგასულო ბავშვო, ისევ ჯიუტობ? ისევ არ გინდა აღიარო ის, რაც მოხდა? მერწმუნე, ახლა ისღა დაგრჩენია, მოთმინებით აიტანო ყოველივე და, როცა მტკიცედ დარწმუნდები შენს სიმართლეში, ქვეყნის გასაგონად მაშინ აღიმაღლე ხმა.

მე დავემორჩილე სერგეის. მშვიდად წამოვდექი. მთავარმა ინჟინერმა გაკვირვებით შემომხედა.

— კარიერისტი არა ვარ, არც პატივმოყვარე. არ მინდა საამქროს უფროსობა. დამტოვეთ იმავე საამქროში თუნდაც რიგით მუშად. ჯერ იქ უნდა წამოვდგე, სადაც წავიქეცი. შემდეგ როგორმე მოვნახავ გზას. რაც შეეხება განცხადებას, თქვენ რომ მირჩიეთ, მე ისეთ განცხადებას არ დავწერ, ეს სიყალბე იქნება.

კაბინეტიდან გავედი, ვისადილე და ჩემს სამუშაოს დავუბრუნდი.

მესამე დღეს, შესვენების შემდეგ, საქმეთა მმართველმა რაღაც ქაღალდი გამომიწოდა. იგი ფერმიხდილი იყო და ხელი უცახცახებდა.

ქაღალდს დავხედე. ბრძანება იყო. მე მომხსნეს და ჩემს ადგილას დროებით დანიშნეს ცვლის ინჟინერი მეტრეველი.

ღიმილი მომერია. ქაღალდი გვერდზე გადავდე.

საქმეთა მმართველს ვთხოვე ინჟინერ მეტრეველისათვის დაეძახა.

იგი გაუბედავად შემოვიდა და კარებთან აიტუზა.

— ამხანაგო შოთა, მე არაფერ შუაში ვარ, დედას გეფიცები, წინააღმდეგი ვიყავი. სად მე და სად თქვენ, [illegible] ნებოდა სულმოუთქმელად. [illegible] არ შემეწყვეტინებინა. — [illegible] გარკვევით წერია, დროებითო, ე. ი. როგორც კი დირექტორი ჩამოვა, ყველაფერი ძველებურად იქნება... ჩემზე ცუდად არ იფიქროთ, მთავარმა ინჟინერმა მიბრძანა, მე რა უნდა მექნა?

— დაწყნარდი, ბიჭო! — მხარზე გადავდე ხელი. — ახლავე შეუდექი მოვალეობის შესრულებას. თუ კი დაგჭირდები, აქვე ვიქნები. ჰო, ერთსა გთხოვნება მომეცი საამქროში დავრჩე, იქნებ, ვუმკურნალო ამ ბნედიან მექანიზმს.

ალბათ, იფიქრა ვეხუმრებოდი, უხერხულად გაიღიმა.

ჩემი ნახაზები, წიგნები, ჩანაწერები ავკრიფე და სერგეის კაბინეტში გავედი.

ღამით პარტიული კომიტეტის მდივანი მოვიდა. არ გამკვირვებია. ჩვენ ხომ ინსტიტუტიდანაც ვიცნობდით ერთმანეთს. ჩემს სულში ჩამოიხედა, გახალისდა, მომიწონა, რომ ფარ-ხმალს არ ვყრიდი.

— ყოჩაღ, ასეც უნდა მოქცეულიყავ!..

რა თბილი იყო ეს უბრალოდ, მეგობრულად ნათქვამი სიტყვები! ზოგჯერ თურმე ადამიანს სიტყვაც კი დაედება მალამოდ.

ქარხნის დირექტორი დაბრუნდა უცხოეთში მივლინებიდან.

ჩემთვის ამინდი არ შეცვლილა, გულგრილად შემხვდა. მივხვდი, როგორც იყო ინფორმირებული. ჩემს თავს კვლავ შევახსენე, სიმშვიდე არ დამეკარგა. დამავალა განმარტებითი ბარათი დამეწერა. გადაჭრით ვუთხარი, რომ ათ დღეზე ადრე განმარტებით ბარათს არ წარვუდგენდი.

ძალაუნებურად განტვირთული აღმოვჩნდი საამქროს ათასგვარი აუცილებელი საქმისაგან. მთელი ჩემი არსება ერთ მიზანს დავუქვემდებარე — უმოკლეს დროში შემექნა ახალი დეტალის კონსტრუქცია. რაკი დეფექტის მთავარ მიზეზს (ჩვენი აზრით) მივაგენით, კონსტრუქციის მოფიქრება რთულ-

პრობლემას არ წარმოადგენდა. ტექნიკაში საკისრების უთვალავი სახე არსებობდა, საჭირო იყო ისეთი ტიპიური დეტალი შემექმნა, რომელიც ჩვენს ახალ მექანიზმს მოადგებოდა.

მე გავაკეთე სამი ჩანახაზი, რომელთაგან განსაკუთრებით მომწონდა კომპლექსური დეტალის კონსტრუქცია. ის ტექნიკურად უფრო სრულყოფილი და ეფექტური ჩანდა.

უკვე უფლება მქონდა სერგეისთან მივსულიყავი. მთელი ღამე მოუსვენრად გავატარე. საშინლად ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, სერგეი რას იტყოდა.

ჩემი მღელვარება ამაო აღმოჩნდა. მას ძლიერ მოეწონა სწორედ ის კონსტრუქცია, რომელიც მე მომწონდა.

მან არ იცოდა, რომ სამუშაოდან მომხსნეს. მთხოვა, საამქროს გეგმებთან ერთად ახლა მის „რეფერატზეც" მეფიქრა.

შემდგომში საქმე უფრო სწრაფად წარიმართა. კონსტრუქტორთა ბიურომ კონსტრუქცია ერთხმად მოიწონა და მალე დეტალის დამზადებაც დაიწყო.

ბიჭები გახალისდნენ. მექანიზმების აკრეფაზე სამი ცვლა ერთდროულად გამოვიდა და ოცი საათი მხოლოდ ერთსაათიანი შესვენებით იმუშავეს. ქარხნის დირექციამ ხალხი სხვა საამქროებიდანაც დაგვახმარა. საამქრო სარეკორდო დროში ავამუშავეთ.

მე მაშინვე სერგეისთან გავქანდი. იგი გაცოფებული დამხვდა, უშვერი სიტყვებით იგინებოდა.

— ეს რასა ჰგავს?! უსინდისოები, მხეცები! როგორც იქნა მივაღწიე, რომ ტელეფონი აქ დამიდგეს. გუშინ საამქროში დავრეკე, ვეუბნები, მესხიძე მინდა-თქო. ვიღაც ბრიყვმა მიპასუხა, აქ აღარ მუშაობს, ათი დღის წინათ მოხსნესო. მთავარ ინჟინერს დავურეკე, იმ ცხელ გულზე არ შემხვდა, თორემ... არა, ღირსი არ არიან. მაგათთვის თავი არ უნდა შეიწუხო. თუმცა, კარგი ქენი, რომ ღმერთივით დეტალი მოიფიქრე. შენ საქვეყნო საქმე გააკეთე და არა მაგათი. დაგვაცადონ, თუ კი ჰაერზე გამოსვლა მეღირსა... არამზადები, მაშ მოგხსნეს? მორები სჭირდებათ? მეტრეველები სჭირდებათ? მოიცა, სანთლით მოგძებნიან, მე ეფიქრობ, რომ არც იმ „რეფერატზეა" ლაპარაკობა ღირს. გაერთე, იხეტიალე, სანამ აქა ვარ, საცოლე მონახე, თორემ, მე რომ ავდგები, შემდეგ აღარ მოგაცლი...

მოკლედ, სერგეი ქადაგად გადაიქცა. ხან ყვიროდა, ხან იგინებოდა, ხან გულიანად იცინოდა. გვიან ღამემდე არ გამიშვა.

ჩემმა ახალმა დეტალმა გამოცდა ჩააბარა. აშკარა იყო, იგი ათ დღეს კი არა, დიდხანს, ძალიან დიდხანს გაძლებდა. ბიჭები მომცვივდნენ და ჰაერში ბურთივით ამათამაშეს. დირექტორმა მამაშვილურად შუბლზე მაკოცა, მთავარმა ინჟინერმა კი ცივად, მედიდურად, დაფარული სიამაყით მომილოცა. პარტკომის მდივანი გადამეხვია, გადამკოცნა და მთავარი ინჟინრის გასაგონად რაღაც გესლიანი ქარაგმა თქვა.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა? არა, ჯერ კიდევ გრძელდებოდა მოუსვენარი დღეები.

დირექტორმა შემომთავაზა საპროექტო განყოფილების უფროსის თანამდებობა, ე. ი. უკეთესი ადგილი, უკეთესი მდგომარეობა და დიდი ხელფასი. ეტყობოდა, დირექტორი მთავარი ინჟინრის დაჟინებას ანგარიშს უწევდა. მათ არ უნდოდათ ჩემს საამქროს დავბრუნებოდი.

შემოთავაზებულ ადგილზე უარი ვთქვი და, საერთოდ, ისე გამაღიზიანა მომხდარმა ამბებმა, რომ გადავწყვიტე ქარხნიდან წასვლა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს არ შემეძლო. ქარხანა იყო მთელი ჩემი შთაგონება, ჩემი გატაცება. მიყვარდა მისი მძლავრი მაჯისცემა, ზარიანი, სიცოცხლით სავსე გუგუნი. ადამიანთა ეს უზარმაზარი, შემოქმედი არმია უსაზღვრო რწმენით მავსებდა. მე მარტო კი არ ვიყავი, უდიდეს უმრავლესობას ვეკუთვნოდი, მათ რიგებს ვავსებდი. არა, არ შემეძლო ამ თბილი და

ფოლადივით მტკიცე ოჯახის მიტოვება.

ურალში კონსტრუქტორებს აცნობეს, რომ მექანიზმში არსებული დეფექტი აღმოფხვრილია და მათი ჩამოსვლა საჭირო აღარ არის, მაგრამ მოხდა პირიქით. ისინი მეორე დღესვე ჩამოფრინდნენ. გამოირკვა, რომ ტიპიური ფურცელსაგლინავი მექანიზმი ურალშიც დაემონტაჟებინათ, მაგრამ მოცდენა ჯერაც ვერ აღმოეფხვრათ.

— რა მარტივი და პრაქტიკულია! — დიდხანს ხარბად აკვირდებოდნენ ჩემს დეტალს. მათვე მირჩიეს, როგორც ორიგინალური ნამუშევარი, მოსკოვში გამეგზავნა დასამტკიცებლად, უფრო სწორად, ჩანახაზები და დეტალი თვითონ წაიღეს და აღმითქვეს, პასუხსაც ჩქარა გადმოვგზავნითო.

ერთადერთი საზრუნავი ახლა დამრჩა. სერგეისათვის დარდი შევეწუხებინა. თუ კი მას განვტვირთავდი მომხდარი შემთხვევით გამოწვეული განცდებისაგან, ეს ყველაზე დიდი დახმარება იქნებოდა. შრომა ადამიანს დიდ მწუხარებასაც კი უმსუბუქებს, და, აი, მე ვცდილობდი მას მხოლოდ თავის „რეფერატზე" ეფიქრა. ეს ისეთი შრომა იყო, რომელიც ჩქარა უნდა მიეღოთ ჩვენს კოლეგებს. ვცდილობდი, უმოკლეს ვადაში დამემთავრებინა ჩემი შენიშვნები, წინადადებები და ჩანახაზები.

* * *

ქარიშხალი ჩადგა. აურზაური მიწყდა. მე მართალი აღმოვჩნდი, გამარჯვება მოვიპოვე. მაგრამ რატომღაც მაინც მძლევდა მოუსვენრობა, უჩინარი ძალა მაინც მიწურავდა გულს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს დამნაშავე არავინ იყო, თითქოს ნიჭმა, შთაგონებამ მიხსნა და არა სიმართლემ. რომ თითქოს ჩემს ადგილას საამქროს სხვა უფროსი ისე წაიქცეოდა, რომ ადგომა გაუძნელდებოდა. ნუთუ ყველაფერი ეს მართალი იყო? უმიზეზოდ არაფერი ხდება! ამ შემთხვევაშიც იყო კონკრეტული დამნაშავე. ერთი შეხედვით, მას აშკარა ბოროტმოქმედება არ ჩაუდენია, მაგრამ დანაშაული არ არის ის, რომ ეგოიზმს, პატივმოყვარეობას თავი ვერ დააღწია და მთელი შესაძლებლობით ეცადა ჩემთვის „სამაგიერო" მოეზღო?

მომხდარი შემთხვევა საერთო მსჯელობის საგნად არ გამიხდია, ბოლმასაც მოვერიე, რადგან ჩემი სიმართლე ყველასათვის აშკარა გახდა. შეიძლება იმიტომაც დავთმე, რომ მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც სხვები, ე. ი. სანამ ვღელავდი, არავის არაფერს ვაპატიებდი, ხოლო როცა სულიერად დავმშვიდდი, დამნაშავეს ბევრი რაიმე დავუთმე. საქმე ის არის, რომ ერთხელ, როცა სერგეისთან ვიყავი, ოთახში ღიმმორეული მთავარი ინჟინერი შემოვიდა. ის ოცი წლით გაახალგაზრდავებულიყო, სახიდან გაჭქრობოდა ზვიადი, თვითკმაყოფილების იერი, ადამიანური სითბო დაბრუნებოდა. იგი ჩემთან მოვიდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და მთხოვა წარსული უსიამოვნება დაგვევიწყნა, თან გადმომცა ბრძანება, რომლის ძალითაც უქმდებოდა საამქროს უფროსის თანამდებობიდან ჩემი მოხსნის წინა ბრძანება.

* * *

გავიდა რამდენიმე თვე. შუა ზაფხული იდგა, სამხრეთული სითბოთი და სიხარულით აღსავსე ზაფხული.

ქალაქის მოედანთან სერგეიმ ახალი ბინა მიიღო, რა თქმა უნდა, პირველ სართულზე. სერგეიმ ეს არ იცოდა, ჩვენ სიურპრიზს ვუმზადებდით.

საავადმყოფოში დილით წავედი, უკვე ბაღში მელოდა. გრძელ სკამზე იჯდა, მარჯვენა ხელი ჯოხის მოხრილ ტარზე ედო. ჯოხი ძვირფასი იყო, მოვერცხლილი და ლამაზი ჩუქურთმებით მოხატული, იგი მთავარმა ინჟინერმა აჩუქა.

როგორც კი შემნიშნა, გაიღიმა, ხელის

აწევით მომესალმა. მეეზოვემ რკინის კარები გააღო. სერგეი კვლავ ილიმოდა, მთელი არსებით ილიმოდა. საავადმყოფოს ღია კარების იქეთ იწყებოდა თავისუფლება!

იგი წამოდგა და რწევით გამოემართა, ჯოხს ეყრდნობოდა. ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა პროთეზს.

ქალაქის ქუჩებით გავატარე. ერთბაშად მოიწყინა. ნელა მივდიოდი. ნაცნობები ესალმებოდნენ. სერგეი უხალისოდ უპასუხებდა. იგი ეგოისტი არ იყო, მაგრამ მაინც შურდა იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც ამ ხალმხრავალ ქუჩებში აჩქარებით და გაბედულად მიაბიჯებდნენ.

ავტომანქანა გავაჩერე და ვუთხარი, რომ მოვედით.

ერთბაშად ვერ გამოერკვა. გაკვირვებული შემომხედა, მაგრამ როგორც კი ახალშეფეთქილ კაპიტალურ სახლს შეხედა, ყველაფერს მიხვდა.

დერეფანში შევედით, კარები შევაღეთ.

ბინა სხვა იყო, ოთახები უფრო განიერი და ზაფხულის მზით ავსებული, სითბო კი ადრინდელი, მშობლიური და მაცოცხლებელი.

— არა უშავს, სერგეი, ჩვენ აქ ბანკეტს გავმართავთ და შენ ისევ პირველი კავალერი იქნები. — დავარღვიე დუმილი.

— რა თქმა უნდა, — რატომღაც მოწყვეტილ მთასავით დაიქუხა. მისი ხმა ოთახებში ვერ დაეტია, ქუჩაში, ხეივანში გაიჭრა.

სერგეი ღია ფანჯარასთან მივიდა, ხეივანს გახედა.

— აი, იქ, — ხელით მანიშნა, გარაჟს ჩავდგამ. შემდეგ, იცი, რას ვიზამ? მოტოციკლის ძრავს ვიშოვი და ისეთ თვითნაკეთ ავტომანქანას ავაწყობ... მე ერთ ადგილას ვერ მოვისვენებ. სული გარეთ შიიწევს, ქვეყანას ფეხით თუ ვერ შემოვივლი, თვალს მაინც გადავავლებ. ასე არ არის, ჩემო ვალოდია? — ბავშვს მიწვდა, უნდოდა მაღლა აეტაცა, მაგრამ წონასწორობის დაცვა გაუძნელდა.

მისაღებ ოთახს დავუბრუნდით. იქ უკვე მაგიდები ვაეშალათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დივანზე დავჯექით.

— როგორც ჩანს, საცაა აქ სტუმრები მოვლენ. — რაღაც გაბზარული ხმით დაიწყო. — სანამ მარტო ვართ, ერთი რამ უნდა გითხრა. უფრო სწორად შენს წინაშე დიდი დანაშაული ჩავიდინე და უნდა მაპატიო.

სერგეი არ ხუმრობდა. უცნაური, მართლაც დამნაშავის თვალებით მიყურებდა. ვერაფერს მიგხვდი, ალბათ, რაღაც უნებურად მოუვიდა, თორემ... რა უნდა ჩაედინა ისეთი?

წინასწარ აღვუთქვი, რომ ვაპატიებდი. დღეს მზად ვიყავი ყველაფერი დამეთმო.

— ჰოდა, — გააგრძელა ჩაწყვეტილი ხმით, — ეცადე სწორად გამიგო. ეცადე ჩქარა დაივიწყო ის, რაც მოხდა.

— ბოლოს და ბოლოს, აღარ იტყვი?

— გეტყვი, გეტყვი! — ნერვულად გაიმეორა. — „რეფერატი", რომელიც შენ ისე მოგეწონა. ჩემი კი არა, მთავარი ინჟინრისა იყო. შენ ყველაფერი მთავარი ინჟინრისათვის გააკეთე.

რაღაც გამოუცნობ ბურანში ჩავიძირე. ოთახი, ნივთები, მთელი შენობა ისე დაირწა, თითქოს ჰაერში იყო გამოკიდებული. მეც რაღაც ჰაეროვან არსებად გადავიქეცი და აღუქმელ სივრცეში მოვყევი, სადაც კი არ დადიან, კი არ ფიქრობენ და მოქმედებენ. არამედ მხოლოდ დაჰქრიან, ან ფარფატებენ. მაგრამ ყველაფერი ეს, ალბათ, ერთ წუთს გაგრძელდა. ბურუსი თანდათან გაიფანტა, საგნებმა ჯერ ბუნდოვანი, შემდეგ აშკარა გამოსახულება მიიღეს. რწევაც შეწყდა. იმავე დივანზე აღმოვჩნდი, მაგრამ სულ სხვაგვარი, ძალადაცლილი, ხალისწართმეული, რაღაცათი მოწამლული.

— გახსოვს? გკითხე, მტრის რომ იყოს ეს შრომა, თუ დაეხმარებოდი-მეთქი. შენ მიპასუხე, დანაშაული იქნებოდა ამ

ნაშრომის გამოუქვეყნებლობაო. შენმა პასუხმა განსაზღვრა ჩემი შემდგომი მოქმედება. ჯერ ერთი, შენ დაეხმარე არა მხოლოდ მთავარ ინჟინერს, არამედ ყველას, ვისთვისაც საჭიროა ეს შრომა. მეორეც, დარწმუნებული ვარ, ასეთი კეთილშობილური მოქმედებით ჩვენ გავლენას მოვახდენთ მთავარი ინჟინრის ხასიათზე, ჩვენ მას გარდავქმნით.

ჩემთვის გასაგები იყო, რომ სერგეის მხოლოდ დიდსულოვნება ამოძრავებდა, მას ოდნავადაც არ უცდია მთავარი ინჟინრის გული მოეგო. სერგეის ყაიდის ადამიანებს არ შეუძლიათ მლიქვნელობა. მაგრამ მე? მე, რომელსაც მთავარი ინჟინრის ტენდენციური მოქმედებით ჩემი ცხოვრების უმძიმესი დღეები განვიცადე, ხელი უნდა შემეწყო მისი ყველაზე დიდი ოცნების შესრულებაში?

კამათი არ გაგვიგრძელებია. დერეფანში ხმაური გაისმა. ეტყობოდა, სტუმრები უკვე იკრიბებოდნენ. ესეც არ იყოს, მე აღარ შემეძლო მომხდარი შემთხვევის საღად განსჯა და შეფასება.

ლხინის დროს ღვინომ ისე დამჯაბნა, სუფრასთან კიდევ რომ დავრჩენილიყავი, ჩემს თავს ვეღარ მოვერეოდი.

სანაპირო პარკში გავედი, ტირიფების ჩრდილში სასიამოვნო სიგრილე ვიგრძენი, დასაკეც სავარძელში ჩავჯექი.

სახლში გვიან დავბრუნდი. უმაღლეს საფოსტო ყუთი გავხსენი და ა. რ. გორც იქნა, დამხვდა მოსკოვიდან დაამტკიცეს ჩემი ახალი კონსტრუქცია. ისეთ დიდ თანხას მიგზავნიდნენ, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მაშინ გადავწყვიტე სერგეისათვის ახალი სიურპრიზი მომეწყო. უახლოეს დროში ის სამკურნალოდ უნდა წავიდეს. მე ვეცდები მთელი ოჯახით გაემგზავროს. ერთი თვე სწრაფად გაივლის. დაბრუნდება მთლიანად გაჯანსაღებული, პროთეზს შეჩვეული, უფრო ენერგიული და ხალისიანი. ოთახში შემოსული თავისებურად, მხიარულად დაიქუხებს, მდუმარებას გაფანტავს, ფანჯრებს გააღებს, ეზოში გადაიხედავს და უმალვე შენიშნავს ცისფრად შეღებილ გარაჟს. ფასადზე ჩვენი კომპლექსური გორგოლაჭი იქნება ჩახატული. თბილად შემომღიმებს, შეიძლება გადამეხვიოს და გადამკოცნოს კიდევაც. მოუთმენლობა დაძლევს, იქვე, მაგიდაზე დაკბილულ გასაღებს ხელს დააკლებს, ეზოში გავა, გარაჟს ერთხელ კიდევ შეათვალიერებს, შემდეგ საკეტს გადაატრიალებს, კარებს ფართოდ გამოაღებს და... ცისფერი „მოსკვიჩი“ გარაჟში შესასვლელ გზას ჩაუკეტავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სალუქვაძე

ომის ღრუბლები, ჩემი გოგონა და ალუბლები

ის უკრავს მოცარტს,
ის უკრავს შოპენს,
ის უკრავს, როცა
ქარში ფოთლები
შარიშურობენ და თამაშობენ,
როდესაც ღვივის
ალუბალის მწიფე კუნწულა,
როცა დარია და მოცვივა ცას ოქროს მტვერი,
როდესაც გული ხალისით მღერის,
როდესაც მინდა ვიოცნებო თვალდახუჭულმა.
მაგრამ ვით მზეში მეხის გავარდნა
მომელანდება ომის ღრუბლები,
თითქოს გრიგალმა ჩემს სახლ-კართან გაინავარდა.
მოვიდა ცეცხლი შემმუსვრელი და დამღუპველი,
ზღვაზე ავარდა საზარელი ატომის სოკო —
ქვასა და რკინას მილიონი გრადუსით ადნობს.
მე შეშლილივით მივაშურე კუდრაჭა გოგოს,
ვერ გავძლებ მარტო.
ის უკრავს მოცარტს,
ის უკრავს შოპენს
და მის თვალებში ციცნათელები დათამაშობენ.
იგი იცინის,
დაღონებულს როდესაც მხედავს,
იგი იცინის,
მეც სიცილი გადამედება.
გარეთ ანათებს ცხრათვალა მზე და
გულში მაისის დილა თენდება.

. . . . . .

ჩემს წითელქუდას,
ჩემს კუდრაჭას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ტკბილად ძინავს,
ალუბლისფერად უელავს ლოყა,
ტუჩი უღიმის. —
რამ გააცინა?
სიზმრის ვარდები უგია ნოხად.
იგი არ ნახავს საზარელ სოკოს
და გაიღვიძებს რიჟრაჟზე როცა,
ჩემი პატარა ეშმაკი გოგო
ისევ დაუკრავს შოპენს და მოცარტს.

საბავშვო ეტლი, მზიანი დღე და ტროტუარი

იმ დროს საბავშვო ეტლი არ იყო,
ცხენიან ეტლზე ვსკუპდებოდით უკან და ჰერი!
წაიყრუებდა ჯერ ძია ნიკო,
მერე კი ზურგებს გვიჭრელებდა მათრახის წვერით.

* * *

საბავშვო ეტლი მისრიალებს.
მზიანი დღეა.
ფართო ტროტუარს
გაზაფხულის მზე მოჰფენია.
პატარა დედას უხარია
და კიდეც ღელავს.
პატარა ბიჭო!
ეს ცხოვრება ახლა შენია.
შენია ახლა და შემდეგაც ცხოვრების ეტლი.
შენთვის შენდება და მშვენდება დედა-თბილისი,
მთლად საქართველო!
და ვინ იცის,
იქნება მეტიც,
ვარსკვლავეთშიაც ინავარდო იქნებ,
ვინ იცის?

* * *

საბავშვო ეტლი მისრიალებს...
მზიანი დღეა.

დიდი დღე

დიდი დღე — მზეჩაუვალი
ქართულმა მიწამ გვაღირსა.
სმენა მოგვცა და გვასმინა
ზათქი შავი ზღვის ტალღისა,
შრიალი დაუცხრომელი
ასიათასი ბაღისა;
თვალი მოგვცა და გვაჩვენა
კამკამი ლურჯი თაღისა.

მახარებს, ცამდე მამაღლებს
სიმხნევე ჩემი ხალხისა,
ქართველი დედის ღიმილი,
ტიტინი ჩვილი ბალღისა,
მახვილი ცეცხლში ნაწრთობი,
გამოკვერილი სახნისად,
ნეფე-დედოფლის დალოცვა
და კრიმანჭული მაყრისა.

დამაშვრალმყავი მიწაო,
არ მეშინია დაღლისა,
ოღონდ შენ იყავ დღეგრძელ
იმედად დიდი ხვალისა,
რა არი, კიდევ გიცქირო,
სინათლევ ორთავ თვალისა,
კაცად გამზარდე, კაცურად
გადახდა შევძლო ვალისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მოგაგონებ, — იქნებ გაგიხარდეს:
ბაღში ერთად ვიპარავდით ვარდებს...
მოგაგონებ — იქნებ გაგეცინოს:
მაძალებდნენ, — შენ მპარავდი
ღვინოს...

ვერ ვივიწყებ შენი თვალის ცქრიალს.
ახლა სად ხარ, ვისთანა გაქვს ბუდე?
ათ წელიწადს ხმა არ გაგიცია,
ასე მწარედ როგორ გამებუტე?

ერთხელ მაინც შენ წაგაწყდე ვინძლო,
ბაღში ისევ მოვიპარავ ვარდებს.
იქნებ მართლა მოხვიდე და მიცნო,
ჩემი ნახვა იქნებ გაგიხარდეს.

მოგაგონებ უმიზეზო წყენას,
აბეზრობას მაპატიებ შენაც.
ათ წელიწადს არ გაევლოს თითქო,
ოღონდ ახლა მაინც შეგირიგო.

* * *

შენს ოთახში რეკავს ტელეფონის ზარი.
მირბიხარ და ფიქრობ: „ისევ ის თუ არი!“
შემდეგ ზარის წკრიალს ნაცნობი ხმა მოჰყვა...
შენ კი არა, ვარდებს აელეწათ ლოყა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა კაკიჯაძე

გეგია

კვირას, დღის ერთსა და იმავე დროს, მე და ჩემი ბიჭი სასეირნოდ მივდივართ ზღვისპირა ბაღში და ჩირაღდნებით ანთებული შადრევნების პირდაპირ გრძელ ცისფერ სკამზე ვჯდებით. სანამ ჩვენი სკამი დაკავებულია, ვსეირნობთ, გათავისუფლდება და მისი ბატონ-პატრონი ეხდებით.

მოვიკალათებთ თუ არა, ბიჭი დაჟინებით მთხოვს, ვინ იცის მერამდენედ, მოვუყვე ზღაპარი „წითელქუდა". მეც ისევ თავიდან ვიწყებ.

ჩვენს გვერდით თმებდათოვლილი მოხუცი ქალი ჯდება. ყამთასვლას თავისი კვალი დაუჩნევია მისთვის. კუშტ გამოხედვაში ეტყობოდა, კარგ გუნებაზე ვერ იყო.

ნაადრევი გაზაფხულის ცივმა ქარმა ხეივანი ააჩურჩულა. ბავშვს ღილებს ვუკრავ, ყურებს ქუდში ვუმალავ და ქარის მიმართულებით ვჯდები. მოხუცმა შემომხედა და ამოიხვნეშა. ერთხანს იყუჩა, ბოლოს მრავალმნიშვნელოვნად მითხრა: — შვილო ჩემო, ყოველივე ფუჭია ამ ცხოვრებაში...—შევეცადე გავპასუხებოდი, მაგრამ ქალმა თვალი მომარიდა და მზერა გადაიტანა მისივე ასაკის მოხუცი ქალისაკენ, რომელსაც გულზე პატარა ბუთხუზა ბიჭუნა აეტაცა და ჩვენკენ მოემართებოდა.

ქალი მოგვიახლოვდა. ძველი ნაცნობივით მოგვესალმა და ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭუნა გაჭირვეულდა.

— ბებო გენაცვალოს, რა გატირებს, ჩემო მამუკა, ჩემო სიცოცხლევ? აი, აგერ, აი ამ წუთში. — ჩიფჩიფებდა მოხუცი და გულსაკინძს ფაცაფუცით იხსნიდა. მე ცნობისმოყვარეობამ წამძლია: უბეში რა უნდა ჰქონოდა ისეთი, რაც გაჭირვეულებულ მამუკას დააწყნარებდა?.. სახტად დავრჩი. მოხუცმა თეთრ მარლაში გახვეული მაწოვარა ამოიღო, სასწრაფოდ მარლა შემოხსნა და შვილიშვილს ტუჩთან მიუტანა. ბიჭი დაწყნარდა. ბებია სიყვარულით ეალერსებოდა შვილიშვილს: „ბებოს სიცოცხლევ, ბებოს ვაჟკაცო", ეუბნებოდა და თან გულში იკრავდა. როცა ლექსიც თქვა „ვენაცვალე ამასაო, ეს მიყიდის კაბასაო", ჩემს გვერდით მჯდომმა მოხუცმა ერთი ირონიულად გადმომხედა, ადგა და ჩვენგან კარგა მოშორებით ძელსკამზე დაჯდა. მისმა გამოხედვამ ბევრი რამ მითხრა, მაგრამ ბავშვებისადმი მისი გულაყრილობის მიზეზი ვერა და ვერ ამოვხსენი.

მამუკა კვლავ გაჭირვეულდა... ალბათ, რაიმე აწუხებსო, შემომჩივლა ბებიამისმა და სახლისაკენ გასწია. დიდხანს არ დაგვცალდა მე და ჩემს ბიჭს მარტო ყოფნა. მალე მესამე ბებია მოვიდა და

სკამზე ბურთივით შემოასკუპა პატარა გოგონა.

ჩემმა ბიჭმა გოგონას გაულიმა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, რა ეშმაკი იქნები!.. — დაიწყო მოხუცმა.

— არც თქვენი გოგონა იქნება ნაკლები, ხედავთ, როგორ ეღიმება? — გავეხუმრე მეც.

— უცნაური არიან, შვილო, ახლანდელი ბაღნები. ჩემი შვილიშვილი აგერ ოთხი წლისაა და იმდენი რამე იცის, მე თორმეტი წლისამ არ ვიცოდი. თუმცა საიდან მეცოდინებოდა, ვის ეცალა ჩემთვის. ახლა ბავშვები ბაგებსა და ბაღებში იზრდებიან. დღეს რომ კაცი ოჯახს არ გაიჩენს და მომავალზე არ იფიქრებს, ნამდვილად დასაძრახია. ნეტავი ღმერთს შეერჩინა, თორემ ხუთი შვილი გავზარდე სიობლეში. ამ პატარა გოგოს მეტი არ გვაჩუქა, ბატონო, რძალმა. ახლა ბავშვები მოდაში არ არისო. ბავშვების გაჩენის მოდაც რაღაა, შვილო? „რაც გააჩენს, ის დაარჩენსო“, უთქვამს ჩვენს ძველს და ასეც არის.

— სწორი ბრძანდებით, — დავუმოწმე და ბავშვს გავხედე.

ჩვენს საუბარში ხეივნის ბოლოს გაეღწიათ. მოსაყვანად გავეშურე.

— რა გქვია, გოგონი? — ვეკითხები ბუნთულა გოგოს და ჩაკეცილ ნიკაპზე ხელს ვუცაცუნებ.

— მზია ქართველიშვილი.

— ო, მზია ქალო, დედა უფრო გიყვარს თუ მამა?

— მამა.

— რატომ?

— დედა მცემს, მამა — არა.

— ბებო ხომ გიყვარს, მზია?

— კი, — დაასწრო ჩემმა ბიჭმა.

— ბებოსთან ხომ წვები, მზია, ხანდახან?..

— არა.

— რატომ?

— დედამ თქვა, ბებო ბინძურიაო.

მოულოდნელობისაგან ენა დამება. სკამს მივუახლოვდით. მზიას ბებოს საბელდახელო მაგიდა გაეშალა. ემუდარებოდა, ცოტა მაინც ეჭამა გოგონას. ჭირვეულობდა გოგო, წუხდა ბებია.

ბიჭი კვლავ სირბილით აჰყვა ხეივანს, ჩვენ დავედევნე. როცა დავბრუნდი, სკამზე ის უცნაური მოხუცი იჯდა. ... ხნის შემდეგ კვლავ გამესაუბრა.

— როგორაა, რას ამბობდა ის ქალი?

— რომელი, ქალბატონო?

— აი ის, რომ ლექსაობდა, „ვენაცვალე ამასაო, ეს მიყიდის კაბასაო“. მანამ ნუ ჩაიცვამს. კაბას უყიდის კი არა, რაც აქვს, იმასაც კარში გამოუყრის. აცალოს ცოტა. მეც ასე მეგონა, მე უბედურს, მაგრამ... — ენა დაება მოხუცს. ცხვირსახოცი ამოიღო და თვალი შეიმშრალა.— ჩემი და დედამისის ბრალია ყველაფერი. ვუმალეთ მამამისს მისი საქციელი და დღეს უკვე გვიანაა... გუშინ აღარ დაგვაყენა, ჩემი დღეობაა, ხომ იცით თხუთმეტი წელი მისრულდებაო. მთელი დღე ცეცხლში გამოგვწვა. მამამისი მიელინებაშია და დაგვიბრიყვა ქალები. დღეს განმიცხადა, აწი ამხანაგები მოვლენ და შენ აქ არაფერი გესაქმებაო. ჭკუაც დამარიგა, ბაღში წაბრძანდი და სუფთა ჰაერი გადაყლაპეო. რა იმედი უნდა მქონდეს მისი? პატარა რომ იყო, მეც იმ ქალივით დამყავდა ბაღში. ცივნიავს არ ვაკარებდი, მარა ზედმეტი არაფერი ვარგა. საწყალი ბაბუაჩემი იტყოდა, „შვილი აღზარდე მტრულად და მოყვარედ გამოგადგებაო“. მართალი ყოფილა. ჩემმა მამამთილმა ნაწნავებისათვის ამირჩია რძლად, თორემ საქმე სხვა რა მქონდა თექვსმეტი წლის გოგოს. ჩვენმა გოგომ თმები ძირზე წაიჭრა ერთი კვირის უკან. მისი სიყრმე მაშინ გამოვიტირეთ მე და დედამისმა. ტიფმოხდილივით დაბრძანდება. თმებს რა ჭკუა აქვსო, იტყვით. მეც ბევრი თმიანი ქალი მინახავს მსუბუქი და არსაცნობი. მაგრამ ძველი ქალი ვარ და მაინც ასე მწამს — ქალს თმები უნდა ამშვენებდეს და ვაჟკაცს ულვაში. თმები მოდიდან გადავარდაო, შენ კინოში არ დადიხარ და გაჩუმდიო. ეჰ!.. — მძიმედ ამოიხვნეშა მოხუცმა და დასძინა: — ჩემო დაკარგულო უძილო ღამეებო... რისთვის, რისთვის... — კვლავ ცრემლი

მოერია, მომიბოდიშა, შეგაწუხეთ ჩემი შვილიშვილის „ქებითო“ და გამშორდა.

თვალი გავაყოლე. გული დამეწვა. გაცრეცილი თალხი ფერის კაბა ეცვა მოხუცს. იქნებ უკეთესიც აქვს. მაგრამ არ ემეტება... მივუხვდი გულისტკივილის მიზეზს. ასეა, ასე, რაც უფრო შორსა ვართ სიბერისგან, ჩვენ, ახალგაზრდებს, მით უფრო გვიმძიმს მისი საიდუმლოების ამოხსნა. მოხუცს, ბავშვისა არ იყოს, ცოტა რამ გაახარებს და ცოტაც ააცრემლებს. საბრალო ბებიაჩემი მომაგონდა, ყოველ გამვლელს სასოებით რომ მისჩერებია და მე მამსგავსებს. იქნებ ბებიასაც ასევე გეცრიცა ის თალხი ფერის კაბა, იქნებ ბებიასაც წყდება გული ჩემზე. სასწრაფოდ ბიჭს ხელს ვავლებ და ბაღიდან გავდივარ მტკიცე გადაწყვეტილებით: ბებიას ვუყიდო თალხი ფერის საკაბე. მას ეს ფერი უყვარს ძლიერ... განსაკუთრებით ომის შემდეგ... ძუძუები მეწვისო, იტყვის ხშირად და გამხდარ მკერდში ისე ჩაიცემს მუჭს, რომ ქვასაც აატირებს. მაღაზიაში შევდივარ და საკაბეს ვარჩევ — რომელით უფრო გავახარებ ჩემს ბებოს?

გზაზე სკოლის მეგობარი შემხვდა და მისაყვედურა, ნუთუ მეგობრების გაჭირვება არ უნდა გაიზიაროო.

— რა იყო, რა დაგემართა? — შეშფოთებით ეკითხე. მას სიცილი წასკდა.

— კაცო, გაზეთს არ კითხულობ, თუ რა! გაუბედურებული გურამი ერთი კვირაა აცხადებს ბებიამისის ქელეხს.

— შოთა, ნუთუ მეტი სამასხრო ვერაფერი ნახე? რას ერჩი საცოდავ ელპიტეს, განა არ გებრალება?

— მე, ჩემო ძმაო, სამასხროდ არ მცალია. გინდა დაიჯერე, გინდა არა, გუშინ პანაშვიდზე ვიყავი და შინაურებში გავიგე, გურამის სიძეს ღვინო ჩამოუტანია ზესტაფონიდან. უკეთესს ვერ ინატრებ. თემომ თქვა, ელპიტემ დაიბარა, ჩემს ქელეხში თხუთმეტ-თხუთმეტი ჩაის ჭიქა დალიონო. შენი სმის ამბავი რომ ვიცი, ათს მაინც დალევ და მე და ... მო გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ, როგორც ყოველთვის.

— საცოდავი ელპიტე, რა ... გი მახსოვს მისგან, — ვამბობ სინანულით და მეგობარს ვშორდები.

— სამ საათზე, არ დაგავიწყდეს. — მომესმა შოთას ხმა.

—მოვალ, უსათუოდ მოვალ. — გავეპასუხე და თალხი ფერის საკაბე გულზე მივიკარ.

მე და ბიჭი მომდურავებივით მივადექით სახლს. კარები მეუღლემ გამიღო. სიხარულით მისწვდა შეხვეულს. გახსნა და წამოიძახა:—რა კარგია!.. წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ბებიაშენს კარვი არ სჭირს. მე კი ერთი სერიოზული ფერის კაბაც არ მაქვს. ზედგამოჭრილია. იცი როგორ შევიკერავ? ისე, ჩვენს ქეთოს რომ აქვს. წელში გამოყვანილი, დაყრილი, „სოლნცე კლოში“. გული ოდნავ მოხსნილი. მოკლე მკლავებით. ისე რა, შენ რომ გაგეხარდება. ნაჭერი ტანზე შემოიხვია, სარკის წინ გაჩნდა და ჯარასავით დატრიალდა. საშინლად გავბრაზდი. საკაბე უხეშად გულიდან ავაგლიჯე და კარადის უჯრაში ჩავკეტე. ხმა არ გამიღია. სახლიდან თოფნაკრავივით გამოვედი. გაბრაზებული ვიყავი და ვერავის ვამჩნევდი. საბრალო ბებია მედგა თვალწინ. ალბათ, ახლაც მის საყვარელ მსხლის ძირას ზის და წინდას ქსოვს ჩვენთვის, ჩვენი შვილებისათვის, ყოველი თვალის ამოყვანაზე ძველებურად გვლოცავს და გვლოცავს, თან ყოველ ფაჩუნზე ხელს იჩრდილავს და გზაზე დაგვეძებს.

მაგონდება ის უცნაური ბებია, ბაღში რომ შემთხვევით გავიცანი, მესმის შოთას აგდებული ლაპარაკი, სულს მიშფოთებს მეუღლის სიზმარი... ბრაზით ვივსები. საიდან გაჩნდა ამ ადამიანებში ჩვენთვის ასე უცხო გულარძნილობა, მოხუცი ადამიანის უპატივცემულობა? ვეკითხები მათ: განა თქვენ არ დაბერდებით?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

ძმობის სიმღერა

მე მინდა ზეცა მუდამ ციმციმა,
რომ დილით მტრედი ლაღად აფრინდეს,
ჯერ კიდევ ახსოვთ უღლის სიმძიმე:
კუბელს,
ინდოელს,
არაბს,
აფრიკელს.
ჯერ კიდევ რისხვით ბობოქრობს კონგო,
რამდენი მკერდში მალავს ნაღვერდალს,
ბომბი ვერ დაშლის მშვიდობის ქონგურს,
ზანგმა გაბედა ბრძოლა, დახვედრა.
მასაც სურს ზეცა უსაზღვროდ ლურჯი
და სიყვარული მზესავით ცხელი. —
ჩემი მამული, მშვიდობის ბურჯი,
დგას სამეგობროდ გაწვდილი ხელით,
დგას და დასაბამს აძლევს აისებს,
რომ მტრედი უფრო ლაღად აფრინდეს.
ეს მეგობრობის თასი ამივსეთ,
რომ დავულიო
ინდოს,
აფრიკელს,
რომ დავულოცო გზა უსასრულო,
რომ მეგობრულად დავკრა მარჯვენი.
ვყვირით — მშვიდობა!
მშვიდობა სულო!
ჯანდაბას ოქრო, ლალი, მარჯანი.
ქარმა გაფანტა ღრუბლები დენთის,
ძმურად ხელს მოვხვევ ზანგსა და ინდოს.
თითქოს ვარ შვილი არაბი დედის,
გულში ტრფიალი ღვივოდეს, ენთოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ზეცა მინდა მუდამ ლივლივა,
რომ დილით მტრედი ლაღად აფრინდეს.
ეს სითბო მკერდში არ დაილევა. —
მე ძმებს ვუწოდებ
ჩინელს,
აფრიკელს.

ხ ე

დამტანჯველია ხედ ყოფნა, ალბათ,
როცა ვერ გამჩნევს შენ კაცის თვალი.
არავინ გკითხავს ერთხელაც ამბავს,
არვის შეხვდება წინ შენი კვალი.
შენთან მოდიან, როცა სჭირდები.
ამბობენ, ეს ხე ვარგა ბურჯებად.
ვერ დაიკვნესებ,
ვერ ატირდები,
სხვას გული როგორ ამოუჯდება.
მოვა გულგრილად, დაგცემს მიწაზე
და მიგატოვებს ბედის ამარა,
დიდხანს ხან ფესვებს,
ხან ტანს გიწვავს მზე, —
რა გიჭირს, ბედმა თუ ეს გაკმარა!
დამტანჯველია ხედ ყოფნა, ვიცი,
და ტყესთან ახლოს ცოდვით ვერ
ვდგები.
არ ვინანებდი ხედ გაზრდას, ვფიცავ,
თუ ხალხს ხედ უკეთ გამოვადგები.

ნარიყალა

წამო, წამო სანავარდოდ,
დავიაროთ ნარიყალა,
წამო, ვარდი სანამ ვარდობს,
სანამ გრძნობა გარიყულა.
წამო, გვიხმობს გმირთა ფუძე,
გადავკოცნოთ ციხის ბჭენი,
ზამბახიან გაზაფხულზე,
შევსვათ ყანწი გადარჩენის.
ბილიკ-ბილიკ
ავიაროთ,
იქ რჩეულთა აქვთო ბჭობა,
მტერი ავზე ავი არის,
ჩალად აგდებს ჩვენს ბიჭობას.
მაგრამ მომხდურს, მოსულს ავად,
ავუტირეთ ბევრჯერ დედა,
ნარის მთაზე ისევ ავალთ,
თბილისს ხარბად გადავხედავთ.
გადავხედავთ მტკვარს და სიონს
ზამბახიან გაზაფხულზე...
ციხის წარსულს გვამცნობს სიო,
რაღაც მწარედ გამკრავს გულზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არტანუჯი

ვით იყუჩოს, ართქმა უჭირს,
ძმა ძმას ელის და შვილს დედა,
სადღაც მოთქვამს არტანუჯი,
სადღაც ობოლ ტაძრებს ვხედავ.
შოთას წიგნი დამრჩა სადღაც,
მომტირიან სტრიქონები,
სატრფო მიხმობს: „მიჭირს, სად ხარ?
იქნებ, რამეს იღონებდი?“
ცრემლი სცვივათ ვაზის ფესვებს,
წყურვილი ბნედს გამხმარ მარანს,
მღვრიე ჭოროხს ვუშვერ პეშვებს,
მაგრამ ვიცი, ეს არ კმარა.
მიაცურებს ნისლებს ქარი,
ვით ჭოროხში მძიმე ტივებს,
ვყვირი, რამე დაუკარით,
სულიც,
გულიც
ამიტირეთ.
სხვა რით ვარგებ, რით ვუშველი,
რა შორს დამრჩა არტანუჯი!
ჭკნება კვირტი გაუშლელი,
ვით იყუჩოს, ართქმა უჭირს.

ტყეში

ტყეში ოცნებით მივდევ ბილიკებს,
აქ-იქ ცხვრებივით ყრია გირჩები,
სევდიან ხმაზე წყარო ლიკლიკებს:
ეამთასვლავ, ვერც მე გადაგირჩები.
გამხმარ ფოთლებზე ფრთხილად
ვაბიჯებ,
რაღაც მაშინებს, რაღაცას ვუფრთხი.
ფიჭვებს შეუკრავთ წრე, ვით
ძმაბიჭებს,
თვალწინ ბუჩქიდან იელვებს შურთხი.
დავდივარ ტყეში, შევყურებ ხეებს,
ვეჩვევი დუმილს და გარინდებას,
დანგრეულ ტაძარს ჰგავს უწყლო
ხევი,
მინდა შორს წასვლა და განრიდება.
მზისკენ იწვდიან ხეები ტოტებს,
ხეები ღრუბლებს უდგას სვეტებად,
აქ ვერაფერი გამაბოროტებს,
იმდენი რამე გულში ეტევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაღვა შუბლაძე

ადამიანი და კოსმოსი

მთვარეზე შევნიშნე ნაკვალევი,
თუმც ჩემთვის ის სულაც არ კმაროდა.
მაშინ მას უმეცრის თვალებით
შევყურებდი ამ სამყაროდან.
რამდენი ღამე თვალმოსერით
ვტეხე, თან შიშით ვკანკალებდი,
მაინც ვერაფრით ამოვხსენი
ვერც მთვარე, ვერც მასზე ნაკვალევი.
მერე ის ღვთაებად ვიცანი,
მიმტყუნა აზრმაც და ღონემაც
და დიდხანს ვიწერე პირჯვარი,
დიდხანს არ გამეხსნა გონება.
დაბოლოს, ჩემთვისაც გათენდა, —
მიწას მზე ოქტომბრის ანათებს.
აი, ცას ვესროლე რაკეტა
და დროშა მთვარეზე აღვმართე.
რამდენი საუკუნე დამჭირდა,
რამდენი სიცოცხლე წაშლილი,
რომ დიდი ბრძოლით და გარჯითა
მთვარესთან გამება კავშირი.
ახლა იქ დროშა რომ ფრიალებს,
თავისკენ მეძახის ნიადაგ.
მეც ავალ, არ დავაგვიანებ,
კოსმოსის მემკვიდრედ, ბინადრად.

ენძელა

ვინაა ყინვის დამძლევი? —
მაგრამ ბორცვის ძირს ერთხელა
თოვლი გაეპო და ზევით
ცას უცინოდა ენძელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თმა შეეღება ენდროსფრად,
კაბაც ატლასის ემოსა
და ულოცავდნენ დედოფალს
ქვეყნად ადრიან შემოსვლას.
და სცემდა თოვლი სახეში
ქარის ღმუილით, ბღავილით, —
მაინც ამ კორიანტელში
წითლად ელავდა ყვავილი.

ცა იქუფროდა საოცრად,
გულს არ იტეხდა ჭირს ზრდილი
და იყო დიდი გამოცდა
სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილის.
კელაპტრად ენთო იმ ბორცვზე,
ყვავილი თვალად მცირედი,
ფეთქავდა დიდი სიცოცხლე,
შეუდრეკელი იმედი.

* * *

ენძელას ვკითხე:
— ვერ მივხვდი,
ო, ნეტავ გამაგებინა,
თოვლის ქვეშ ასე დიდი ხნით
რა ძალამ გაგაძლებინა?
არც განძრეულა ენძელა,
ცქერა მესროლა ქურდულად, —
პასუხი განა ეძნელა?
ხმადაბლა ჩაიდუდუნა:
— უღონო ნუ გეგულები,
თუმც თოვლის მხურავს ფარაჯა, —
ჩემს ფესვებს სითბოულევი
გაზაფხული ჰყავს დარაჯად.

გამარჯვების დღეთა ძეგლად

გამარჯვების დღეთა ძეგლად
დგას ქარხანა ნავთსახდელი,
ზღვის და მთების შუა შემდგარს,
გაუშლია მძლავრად ხელი.
იქ აშენდა მჯობნთა მჯობნად,
დაბა-ბაღად გადაიქცა,
სად ქვეყანას დარაჯობდა
ერთ დროს ციხე თამარისა.

ქართველ დედას

როს ცა გვაწვა მწარე სევდად
და სიკვდილის გვწეწდა ქარი,
ხელში ეპყრა ქართლის დედას
ერის წმინდა კელაპტარი.
დიდება მას, მაღალ აზრის
მადლით მოსილ ქართლის დედას,
ვინც დამზრალი ერის ვაზი
გაგვიცოცხლა, გაგვინედლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სანაძირაძე

თუ შენ გიყვარვარ

სარკმელი გავაღე და, როცა ქვევით გადავიხედე, თვალი მოვკარი სალაპარაკო სადგურის დამტარებელს, რომელმაც მშვიდად გაიარა ყვითელი ფოთლებით მოფენილი ხეივანი. ღამეულ თრთვილს დაეხაზა მინები. თრთვილი აბრწყინვებულიყო მუქ ყავისფერ ხეთა კატრებზე. „დამტარებელმა უწყება მოგიტანათ“,— თქვა მუხრანმა, როცა სამზარეულოში გავედი. მას გრძელი სახე ჰქონდა, გრძელი სახე და მკვრივი ხელები. „ასე ადრიანად იშვიათად თუ მოაქვთ უწყება. ალბათ, სახლიდანაა...“

— ჰო, — ვთქვი მე.

სამზარეულოში მუხრანის ცოლი შემოდის. ცნობისმოყვარედ მათვალიერებს. ცდილობს გაიგოს, რაზე ვლაპარაკობდით მისი არყოფნის დროს. თეთრი თმები აქვს, თვალები ჩავარდნია და ჭიოტა, ძალზე მომცრო კაკლები არც ჩანან ბუდეებიდან.

— თქვენს ადგილას უსათუოდ შევირთავდი ცოლს, — ამბობს მარინე.

— ჯერ ახალგაზრდაა, რა ეჩქარება, — ჩემს მაგივრად უპასუხებს მუხრანი.

მათ არ იციან სიმართლე, მათ არ იციან, რად ჩამოვედი ამ ქალაქში. მათ არ იციან, რადა ვარ აქ. კეთილი ხალხია. ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს. ესაა მხოლოდ, ბავშვი არ გაუჩნდათ. უბავშვობას საშინლად განიცდიან. თვე სრულდება, რაც მათთან ვცხოვრობ. კარგად მიყურებენ. ერთხანს, როცა სახლიდან არ გამოვდიოდი, მესმოდა როგორ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში: „იქნებ, რამე აწუხებს?“ „რა უნდა აწუხებდეს, განათლებული კაცია, ქვეყანა იცნობს“. მე, ალბათ, მართლაც საცოდავი შესახედავი ვიყავი. მას შემდეგ, რაც ის მოხდა, ჩამოვდნი, ვატყობ, ყველაფერზე ამიცრუვდა გული. თვალები ჩამიცვივდა. სარკეში ვხედავდი ფერმკრთალ სახეს. ვხედავდი ლურჯ რკალებს უპეებს ქვემოთ და ვფიქრობდი: როგორ მოხდა ეს? როგორ მოხდა, რომ მარტოდმარტო აღმოვჩნდი ამ უზარმაზარ ქალაქში?

დიახ, სულ მარტოდმარტო. ვიდრე ჯიბოს არ გადავეყარე, ჯიბო ნამდვილი აღმოჩენა იყო. ტანდაბალი, ჩასკვნილი, ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრა. იგი დიდი ხანია მიცნობდა თურმე, მე კი არ ვიცნობდი. ეცვა მოდაზე შეკერილი კოსტიუმი. იცოდა სიმპათიური გაღიმება. ჰქონდა ცეცხლიანი თვალები. აი რა იყო ჯიბო. ერთი შეხედვით, უცხოელს გავდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელთათმანებს წამოიცვამდა, მარჯვენა ხელს ჟილეტის ჯიბეში ჩაიცურებდა და ტროსტის წკარუნით გაიარ-გამოიარდა. იგი თამამად კავალრობდა ქალებს. მათ

ყოველთვის ნახევარი ნაბიჯით წინ უშვებდა, რითაც ხაზს უსვამდა თავის არისტოკრატიულ მანერას. მაგიდასთან, სადაც ჩვენ ერთად მოვხვდით, თავშეკავებულად იჯდა. იშვიათად თუ იტყოდა რასმე. იღიმოდა. მხოლოდ შუა სმაში თამადამ დიდი ყანწი შეავსო და ჩემი სადღეგრძელო შესვა. ჯიბოს მაშინვე მოვეწონე. მერე, როცა სამადლობელის მაგივრად ლექსები წამაკითხეს, მთლად დალბა. იმ ღამეს ჩვენ ერთად წავედით შინ. არ ვიცი რატომ, მთვრალი ვიყავი, იმის გამო, თუ სენტიმენტალობამ დამძლია, გული გადავუშალე. ჩუმად მისმენდა. მერე მხარზე დამკრა ხელი, „ეს არ დაგმართნია კარგიო“ და წავიდა. ტროსტის წკარუნით წავიდა.

ახლა სამზარეულოში ვზივარ. მუხრანს ველაპარაკები. მუხრანი ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცია. ცენტრალურ ქუჩაზე მუშაობს თამბაქოს ფაბრიკულში. იგი მეკითხება: „ეს მართალია, რომ დასავლეთ გერმანიის თვითმფრინავებმა შემთხვევით დაბომბეს იტალიის პლაჟი?“ მე თავს ვუქნევ. მას ყველაფერი აინტერესებს. აინტერესებს, ჭამდა თუ არა რაიმეს ტიტოვი, როცა კოსმოსური ხომალდით დაფრინავდა დედამიწის გარშემო, მაგრამ მთავარი, რაც მუხრანს აწვალებს, ეს ბავშვია. მუხრანი ამბობს: „მე რომ ბავშვი მყავდეს“... რას იზამდა ნეტავ, ბავშვი რომ ჰყავდეს?

ცისფერი მანქანა წრეს უვლის და ჭიშკართან ჩერდება. მერე მინა ჩაიწევს და გამოჩნდება მრგვალი თავი. „ჰელოუ“,— მეძახის მრგვალი თავი, — „რასა შვები?“

უკანასკნელად ვიხედები სარკეში, ყველაფერი რიგზეა. ვარცხნილობაც, თეთრი ცხვირსახოციც კოსტიუმის ზედა ჯიბეში. ფეხსაცმლები კრიალებენ.

— არ დაიგვიანოთ, — მეუბნება მუხრანი, — დღეს დიდი მხიარულება გვექნება. არ დაიგვიანოთ, იცოდეთ, მერე არაფერი მოგიწევთ.

მე გავრბივარ.

ჯიბოს ისევ საუცხოოდ აცვია. მის ახალ კოსტიუმს ისეთი ფერი აქვს, როგორი ფერიცა აქვს ბალახს, წვიმიან ღამეში ამოსულს. იგი სიგარეტს მაწვდის და მეუბნება: „დაჯექი“. მე სიგარეტს ვიღებ და ვეუბნები: „გმადლობთ“. დაბანგულივით ვარ. ეს კაცი ზრდილობის განსახიერებაა. მას არ უკითხავს, როგორ მიდის საქმე. მას არ უკითხავს, რას ვაკეთებდი მთელ დღეს, სადილობამდე. მხოლოდ ამინდზე ჩამომიგდო სიტყვა. როგორი ამინდი იქნება ღამით? წვიმა? ჯიბოს უყვარს წვიმა. ზიხარ გოგონასთან ერთად, ზიხარ თბილად, წვიმა კი შხუის. ჯიბო დაკვირვებით მართავს საჭეს. თეთრი ხელთათმანები ცილინდრში უდევს, იქ, უკანა სავარძელზე. იქვეა ტროსტი და ფორთოხლები. მე არ ვეკითხები, რად უნდა ფორთოხლები, საერთოდ მას ყველაფერი სჭირდება. ჯიბო ფრანტია.

რესტორანთან გადმოვდივართ. ჯიბო მიყურებს. ნახევარ საათში ორი გოგონა მოვა. ჯიბოს უხარია, რომ სწორედ მე ვარ მასთან. ჯიბოს უნდა „კაი ტკბილი“ პური ვჭამოთ. ნახევარ საათში ორი გოგონა მოვა, ორივე ლამაზი.

შევდივართ რესტორანში.

ვერც კი წარმოიდგენთ, რა სახელმოხვეჭილი კაცია ჯიბო. სუნამო, სიგარეტები, ჰალსტუხი, მოკასინები, მანერა,— ყველაფერ ამას ჯიბო ჰქვია.

— ჯიბო, — გესმის შესასვლელში. ეს მეკარე ესალმება მოწიწებით.

— ჯიბო, — გესმის მაგიდებზე.

მე გავისრისე. მასთან არავინ არ მხედავს. არის მხოლოდ პატარა კაცი, ფრანტი, ლამაზი. ერთი ციცქნა ულვაშებით. მე არაფერი არ ვჩანვარ მასთან. და ჩემში იღვიძებს შური. მე მშურს ამ კაცის. ჩვენ ვიჭერთ მრგვალ მაგიდას. მაგიდა სარკმელთანაა და იქიდან მანქანა მოჩანს. მე მრცხვენია ვკითხო, როდის იყიდა ჯიბომ მანქანა. იქნებ, მანამდე ჰყავდა, ვინ იცის. ჯიბო მატყვევებს: იგი ზის და აფრქვევს ღიმილს. ბოლოს, ვარღვევ დუმილს, ვეკითხები: გაგიგონია მაქს ლინდერი?

— ა? — თვალებს ჭუტავს ჯიბო.

— იცი ვინ არის პიკასო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვიინ? — განგებ აჭიანურებს, ვერ გაიგონა თითქოს, მერე ბრუნდება, ჩემს უკან ვიღაცას ესალმება, იგი არაფრად არ თვლის ჩემს ნათქვამს. იგი ისეთ გამომეტყველებას იღებს, თითქოს იცის. ვიშმუშნები. მართლა შეურაცხყავი ჯიბო? ან როგორ შევიტანე ეჭვი მის განვითარებაში? მაგრამ ჩემი შეჩერება შეუძლებელია. მოუსმენია ოდესმე მარიო ლანცა? იცის, რომ იტალიელები კარუზოზე ახალ ფილმს იღებენ? რა აზრისაა რემარკის „ტრიუმფალურ თაღზე?“ იგი დუმს, ვატყობ, შეეაწყინე თავი. მოვიკუნტე.

— იცი, — მეუბნება უცებ, — ამაებით რომ გამომეტენა ტვინი, მაშინ...

— ჯიბოს ვახლავართ!

— ჯიბოს სიცოცხლე! — ისმის აქეთიქიდან. მას ყველა იცნობს. მას არ წაუკითხავს ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. მაგრამ მაინც ყველა იცნობს. მას არასოდეს ეკითხებიან, სად მუშაობს.

ჯიბო სამი მიმართულებით სამ-სამ „წინანდალს“ გზავნის. ოფიციანტი ციბრუტივით ტრიალებს ჩვენს მაგიდასთან. მარტო მე რომ შემოვსულიყავი, ერთ საათს მომიხდებოდა მისი ძებნა ახლა იგი თვალებში შეგვციცინებს: „ვაახ, რა კაცი ყოფილა ჯიბო!“ მზე ჩადის. შემოდგომაა. ჩამავალ მზეს აუფერადებია ხეთა კენწეროები. ქარი იტაცებს ჭადრის ფოთლებს და სადღაც. მოედნის ბოლოს, ახუხულავებს. ჯიბო უყურებს, როგორ ვსვამ კონიაკს. უყურებს, როგორ ჩამოვტეხე შოკოლადის ფილას მოზრდილი ყური. მეჩვენება, იგი კმაყოფილია. ოცდაათი წლისაც არაა ჯერ. თუმცა საფეთქლები შეთეთრებია.

ცოტა ხანში ქალაქგარეთ მივქრით. მე უკან ვზივარ, მაღალ გოგონასთან ერთად. ისინი ზუსტად მოვიდნენ პაემანზე. მაღალ გოგონას მაყვლისფერი თვალები აქვს, ჩოლკა... მართლაც გადასარევია. ფორთოხლებით სავსე უზარმაზარ პარკუჭანას ახლა შამპანურის გროვა დაემატა.

საღამო შესანიშნავია. მზე წითელი კვახივით დაგორებულა ჰორიზონტზე.

— რა დაბალზეა მზე, — ამბობს ჯიბოს გოგონა, მას მზია ჰქვია.

— მართლაც რა დაბალზეა, — ამბობს მაღალი, მას თეა ჰქვია. როცა რესტორანიდან გამოვდიოდით, ისინი რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, მერე გაიცინეს.

მანქანაში თბილა.

— ეს ჩემი ძმაა, — ამბობს ჯიბო ჩემზე.

გზაზე ვერცხლისფერი ხეები გაიელვებენ. ღამდება.

ეეჰ, ჯიბოს ტყუილიც სცოდნია. — გამკრა გუნებაში. რად დასჭირდა ამის თქმა, ძმაო. თავი მოიწონა? რად გინდოდა ჯიბო ტყუილი. რად?!

მე ცირაზე ვფიქრობ. ჩემთვის სულერთია, რას ეუბნება ჯიბო გოგონებს. წინ შორი გზაა და ცირაზე ვფიქრობ. თვითონაც არ ვიცი, რატომ გავიხსენე იგი ახლა, ამ მიმწუხრზე, როცა ასფალტის სარკეს მთელი სისწრაფით კეცავს მანქანა. თავი სავარძლის ზურგს მივაყრდნე და თვალი დავხუჭე. რა ჯანდაბად ჩავედი იმ წელს ზღვაზე, რა ჯანდაბად, — ვფიქრობდი ჩემთვის, და მეხსიერებაში ცოცხლდება ზღვა, ორსართულიანი სახლი და კლდეები, რუხი კლდეები. იქ ლიანები და ფშალაა მოდებული. აქაც მაყვალიც გაბარდულა.

„...იქნებ, მცხეთისაკენ გავსწიოთ“, — თავს აბრუნებს უცებ ჯიბო. მანქანა ირწევა. მანქანა მისრიალებს ღამის ბინდბუნდში.

— ოო, — სიამოვნებისაგან იტრუნება ეზია. მხრებზე ნეილონის თავსაფარი წამოუსხამს. მაგრამ მცხეთის „ვარიანტი“ აღოვარდა. თეა თურმე გათხოვილია და ქმარი ეჭვიანობს. თეა არაუგვიანეს პირველი საათისა შინ უნდა იყოს. საერთოდ. იგი ამაღამ სულ არ აპირებდა წამოსვლას, ასე ამბობს იგი. იგი არაა დაჩვეული ასეთ შეხვედრებს, მაგრამ მზიას ხათრით... და ჯიბოს ხათრით...

მანქანა მიჰქროდა.

— თქვენ მართლა გასცილდით ცოლს? — მეკითხება მზია.

— კი. — ჩემს მაგივრად უპასუხებს ჯიბო. — აბა, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რომელი ჭკვიანი დაიდგამს უელელს? სანამ ოჯახს მოეკიდებოდა, კაცი იყო, მოეკიდა და მოტყდა. დაჩაჩანაკდა.

— ახლა ხომ გასცილდა?

— ო, ახლა სულ სხვაა. ახლა შეცდომა გამოსწორებულია, — ხმამაღლა ამბობს ჯიბო.

რომელიღაც ხიდთან მანქანა გადავაყენეთ, ორი ბოთლი შამპანური შევსვით სახელდახელოდ. ქალიშვილებს დიდი თავპატიჟი არ დასჭირვებიათ. კარგად სვეს. მერე ისევ დავიძარით. მოთენთილი ვარ, მოგონებას მოგონება ცვლის. რუხი სივრცე თითქოს დიდი ეკრანია და ამ ეკრანზე მოჩანს ცირას თვალები. რომელიღაც ხიდს გავცდით. ყანები დაიწყო. თეას თმები ჩამოშლოდა, თავი მუხლებზე დაეყრდნო და ისე იჯდა. ჩუმად. მე ვხედავდი ოდნავ გახსნილ ტუჩებს. მზემოკიდებულ სახეს. იგი გარინდული. უმოძრაოდ ისვენებდა სავარძელზე. მისკენ დავიხარე, მაგრამ მაშინვე შეეკავე თავი. მიხვდა. მძიმედ სუნთქავდა.

— რა დაგემართა. — მეკითხება ჯიბო, როცა მანქანა გავაჩერეთ და შამპანურის ახალ ბოთლს ბოლო მოვუღეთ.

— არაფერი. — ვეუბნები მე.

ფორთოხალი გავფცქვენი და ნახევარი თეას გავუწოდე. თეას ბავშვური სახე აქვს. იგი ცირაზე ლამაზია. პომადა სქლად წაუსვამს ტუჩებზე და მე გამახსენდა, რომ ასეთი წითელი ტუჩები ჰქონდათ იმ ქალებსაც, რომელთა სურათებს მეზობლის ბიჭი ლევანა იტალიელი მეზღვაურებიდან ყიდულობდა ხოლმე.

მზია წამოდგა. „ჩვენ ცოტას გავიცლით“, — მითხრა ჯიბომ და თვალი ჩამიკრა. „კარგი“, ვუთხარი მე.

მზია ნეილონის თავსაფარს ისწორებს. მას საუცხოო ტანი აქვს. როცა მანქანიდან გადადიოდა, გადაიხარა, ისედაც მოკლე კაბა აექაჩა. ასეთი კოხტა, ასეთი თეთრი ფეხები არასოდეს მენახა. თხელ წინდაზე, ერთ ადგილას, თვალი გარღვეულიყო. თეთრი ხაზი თითქმის მუხლთავამდე ჩასდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეა და მე ერთხანს ჩუმად ვიჯექით ქარი შხუის.

ჭიქა შევავსე. გავუწოდე.

— დალიე, — ვეუბნები თეას.

— არ მინდა. ისედაც მიბრუის თავი.

— მაშ რა გინდა?

— არაფერი. ჯიბო მართლა შენი ძმაა?

— საიდან მოიტანე?

— თვითონ არა თქვა?

— ალბათ, ასეა.

და ისევ გაგვითავდა სალაპარაკო. მან მუხლებზე დაიკრიფა ხელები. მკერდზე მივიკარი და ვეკოცე. არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. პირიქით, მოხერხებულად მომიშვირა ტუჩები, მაგრამ ეს არ იყო ის, რასაც ვეძებდი.

— რატომ ხარ ასეთი? — ვუთხარი ჩუმად.

— როგორი? — ჩუმადვე მიპასუხა მან.

— ასეთი... ცივი.

— შენს მეტს ეს არავის უთქვამს.

„ალბათ, ბევრი კოცნიდა ჩემამდე“, — გავიფიქრე მე. „არაუგვიანეს პირველი საათისა შინ უნდა ვიყვე“. გონება სამართებელივით დასერეს ამ სიტყვებმა. პირველ საათზე შინ მივა და ქმარს მიუალერსებს. ღმერთო, რატომ ჩნდებიან ასეთი ქალები, რატომ?

წამოვდექი. გარეთ გავვარდი. აქ სიგრილეა. თავი მიბრუის, საშინლად მიბრუის. სიგარეტს ვუკიდებ. ქარი კვლავინდებურად ქრის. რამდენიმე ნაბიჯზე თხმელებთან სიცილი ისმის. რატომ ვარ აქ, ან რა მინდა ამ ქალთან, რომელსაც ქმარი უცდის შინ, პირველ საათზე? გრძნობა? ალერსი? სიმშვიდე? სიმშვიდე ნამდვილად მწყუროდა. უცებ ცირა მოგონდა. მაშინ, იმ ზაფხულს ჩვენ დავქორწინდით. მერე ბავშვი გაჩნდა, ცოტ-ცოტა ყველაფერი მივიკლე, თეატრები, ფილმები, კაფე. მაგრამ ცირა ეჭვიანი იყო. ხშირად, როცა გვიან ვბრუნდებოდი შინ, გაქვავებული მიყურებდა. ეჭვით გულნატკენი დუმდა.

მოშორებით ისევ ისმოდა სიცილი.

ჯიბო და მისი გოგონა არ აპირებენ უკან დაბრუნებას. გავიქცე? გადავიკარგო? ვარსკვლავები აქა-იქ ციმციმებენ. დასავლეთი მუქ ღრუბლებს დაუფარავს, ცოტაც და ეს ვარსკვლავებიც დაიფარებიან ჩემს ზემოთ. თბილი ქარია, წვიმის წვეთებს გამოურევს ხანდახან. მე გავიგონე, როგორ გაიჩხაკუნა მანქანაში ანანთმა. მერე სინათლის მკრთალი ზოლიც დავინახე. მაგრამ არ მოვბრუნებულვარ. მე ვიცოდი, რასაც ფიქრობდა ჩემზე ეს ქალი. მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო.

ბოლოს, როგორც იყო, ისინი გამოჩნდნენ — ჯიბო და მზია.

გოგონა გაწეწილ თმას ისწორებდა.

ცოტა ხანს კიდევ ვდგავარ და ვეწევი სიგარეტს, მერე მეც ვჯდები მანქანაში. დავიძარით. მეტი აღარ დაგვილევია. როცა ხევი განვლეთ, შემხვედრმა მანქანამ მთლიანად გაანათა მზიას სახე. იგი შემობრუნდა, მოჭარბებულ შუქს აარიდა თავი.

— რატომ ზიხარ ასე ჩუმად, თეა, — თქვა მან.

რა კარგი სახელია თეა! ეს სახელი ნამდვილად არ უნდა ერქვას ამას. იგი პირველ საათზე შინ მივა, მივა და ქმარს მიუალერსებს. ღმერთო, რად იბადებიან ასეთი ქალები, რად?

მოსახვევთან ვგრძნობ, თეა მკლავზე მკიდებს ხელს. რაღაცის თქმა უნდა. მაგრამ ახლოს იწევს და დუმს, დუმს. მე მხოლოდ თვალებს ვხედავ. მერე პომადა ამოიღო. ბუნდად ვამჩნევდი, როგორ იღებავდა ტუჩებს. თითქოს საკმარისად არ იყო წითელი.

ვერაზე მე და ჯიბო მარტო ვრჩებით. ჩვენი თანამგზავრები ფეხით გაივლიან დანარჩენ გზას. ეშინიათ, ნაცნობებმა არ დაინახონ ჯიბოს მანქანაში. მე დავინახე, როგორ აიწია თეამ სვიტერის საყელო და როგორ გაემართა ხალხის ტალღისაკენ. სასტუმროსთან შევჩერდით.

ჯიბო თავის მოსკოველ ამხანაგს ეძებს. მეგობარი მთავარი ინჟინერია რომელიღაც ქარხანაში. შვეიცარი ამბობს, რომ მეგობარი ათი წუთიც არაა, ვიღაც ქალთან ერთად წავიდა.

— არაფერი დაუბარებია?

— არაფერი, ბატონო. — ამბობს შვეიცარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ჯიბო ისევ იღიმება. ყველას ურიგებს თავის მადლიან ღიმილს.

გაბრუებული მივყვები ჯიბოს.

— დათვერი?

— არა.

— იცი, მე რა შესანიშნავი იდეა მაქვს? გინდა. ჩემს თანაშემწედ აგიყვან. როცა კომბინატის დირექტორად დამნიშნავენ? ეს სულ რამდენიმე დღეში იქნება. შენ ხომ უნივერსიტეტი დაამთავრე. მე სწორედ ასეთი ადამიანი მჭირდება, მოხსენებებს შემიდგენ. სტატიებს დამიწერ გაზეთებისათვის. დროც თავზე ხელსაყრელი გექნება და ფულიც.

მე დავფიქრდი.

ჩემთვის სულერთია, გადაიყვანენ თუ არა ჯიბოს კომბინატის დირექტორად. მე ისიც არ ვიცი, სად მუშაობს იგი ახლა და მუშაობს თუ არა საერთოდ.

ჯიბო თავს აბრუნებს.

— შენ ხომ არ გწყინს, იმ გოგონებს რომ ვუთხარი. ძმაა-მეთქი. არა გწყინს? რა თქმა უნდა, ვიხუმრე. მაშინვე მიხვდი? მე და შენ მშვენივრად შევეწყობოდით ერთმანეთს.

ჰო, ამასთან არ დაიკარგები. მეუბნება ერთი გული, მაგრამ ფეხს ვითრევ. ჯიბო წინ იყურება. წვიმს. ფანრის შუქზე ჩანს, რა წვრილად. რა ხვავრიელად წვიმს. და ჯიბო მეკითხება. რად გავცილდი ცოლს, აჰ, ხასიათით ვერ შეეწყვეთ? კარგი გიქნია. რა ჯობს თავისუფლებას! აი, თვითონაც გასცილდა ცოლს. ალიმენტს იხდის. თავის დროზე ჩაკბიჩა, რაც იყო ოჯახი, და გასცილდა. ოჯახი არაა ჯიბოს სტიქია. ჯიბოს სტიქია დროსტარებაა. ჯიბო ამბობს: ქალი — ეს ყვავილია, რომელიც უსათუოდ უნდა მოწყვიტო და, ვინც მეტს მოწყვეტს, მით უფრო ტკბილი მოსაგონარი ექნება სიბერისას. სხვა რომ არა იყოს. მეტი რაღაა ჩვენი ცხოვრება?

ჰოდა, უყვარს ჯიბოს ყვავილების კრეფა.

აიღე და უთხარი ნახვამდის, უთხარი, რომ თავი გიბრუის.

მინდა ჩემს მოგონებებთან დავრჩე. მარტოობა მინდა.

— ხვალ მოგაკითხავ, — მეუბნება ჯიბო. — ხვალ ცხრა საათზე. პატარა ვარიანტია. პურმარილიც იქნება.

— კარგი, — ვამბობ მე.

ცისფერი მანქანა მოწყდა და მიიმალა მოსახვევში.

ქუჩა ცარიელია, უკაცური. შორს, ძალიან შორს, რომელიღაც ლანდი მოძრაობს. და მე მესმის, როგორ შრიალებს წვიმა. და ყველაფერს, რასაც მიწვდება თვალი, ვერცხლისფერი შუქი დასდებია. გრილმა შხეფებმა შუბლი გამიგრილეს. როცა წყნარი ღამეა, უსაზღვროდ წყნარი ღამე და ქალაქს ძინავს, მე მიყვარდა ქუჩებში ხეტიალი. მაშინ, როცა ცირასთან ვცხოვრობდი მეთევზეთა უბანში, მე გამოვდიოდი სანაპიროზე და ვუყურებდი, როგორ ბრუნდებოდნენ ადამიანები ზღვიდან. მათი ხეშეში ტანსაცმელი ბზინავდა მთვარის შუქზე და სიჩუმეში ისმოდა ჩექმების ბრახუნი. მე მიყვარდა მეთევზეების ცქერა ამ დროს, როცა ქალაქს ძინავს, როცა ძეხორციელი არა ჩანს ირგვლივ, და ისინი მოაბიჯებენ შუაღამეში დაღლილნი, მოაბიჯებენ და მოლაპარაკობენ.

მე გავიარე პატარა სკვერი, სკამზე ჩამოვჯექი. ჭადრის უზარმაზარი ქოლგა წვიმისაგან მიცავდა...

მე არ შემეძლო არ მეფიქრა ბავშვზე. მე მრცხვენოდა, რადგან მთელ თვეს, რაც სახლიდან წამოვედი, ერთხელაც არ მიფიქრია ბავშვზე, არც ცირაზე მიფიქრია. ყველაფერი კი უბრალო რამით დაიწყო. მგონია, ცოლმა იცის, რომ ქმარი, როგორი ანგელოზიც არ უნდა იყოს, მაინც ტყუის. სხვა ცოლი სიტყვასაც არ დაძრავდა ასეთ პატარა ოინზე. მაგრამ ცირა სხვა იყო.

მე სულაც არ მინანია, რომ ცირა შევირთე. იქნებ, მე მართლა არ ვიყავი საცოლო? მაშ, რატომ თქვა ცირამ, შენ რომ არ იყავ, უკეთესი იქნებოდაო. ქალებისას ვერაფერს გაიგებ. ქალს ყოველთვის უნდა გაუფრთხილდე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოცი წლისაა და იგრძნო ოჯახის სიმძიმე. და მე ვფიქრობდი ბავშვზე. და მე ავტირდი, ჩუმად ავტირდი. მე ვტიროდი ქალზე, რომელსაც ქმარი უცდიდა პირველ[illegible] [illegible] [illegible] [

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, რაღაც ინგრევა, თეფშები წკარუნებენ. ალბათ, სტუმრებია. გამწკბალა. ორი ნაბიჯიც არ გადამედგა, გაქვავებულივით ვჩერდები: მუხრანის ოთახიდან ტირილი ისმის, ბავშვის ტირილი. კარები ღრიჭეთაა დარჩენილი და სინათლე ირიბად ეცემა დერეფანში. მერე ვიღაც გამოდის ოთახიდან, ვიღაცამ წყლით სავსე ტაშტი გადააპირქვავა ონკანის ბაკანში. როცა შემობრუნდა, მარინე ვიცანი. წინსაფარი მთლად გალუმპოდა.

— რა ამბავია? — ვკითხე მე.

— ა? — გამოერკვა მარინე. — ეს თქვენა ხართ? ღამე მშვიდობისა. ბავშვს ტანს ვბანთ.

— ბავშვს?

— ჰო.

— ვის ბავშვს?

მარინე არაფერს ამბობს, მარინე მკლავზე მკიდებს ხელს და ოთახში შევყავარ. იგი საოცრად ამჩატებული და მხიარულია. მუხრანს ტიტლიკანა ბავშვი მუხლებზე დაუსვამს და თმებს უმშრალებს.

— მოგწონს? ნახე, რა გოგონაა. — ამბობს მუხრანი. — ნამდვილი ანგელოზია.

ჩუმად ვდგავარ. მერე ერთბაშად ყველაფერს ვხვდები.

— გახსოვს, ბავშვი უნდა ვიშვილოთქი, რომ გეუბნებოდი, ამაზე გეუბნებოდი, ამ ცულლუტზე. დახე, როგორ გავწუწა?

მერე ოთახში ვზივარ.

მეზობლად ისევ ანთია შუქი და მუსიკის ტკბილი ხმა ისმის, მერე მუსიკას უკანასკნელი ამბები ცვლის. დედამიწას ომი ემუქრება. ამაზე ლაპარაკობენ ყველგან. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. როცა არ გეძინება, ათასნაირი ფიქრი გიფათურებს თავში. ყველაფერი, რასაც გულგრილად უყურებ დღისით, ღამით სულს გითანაღრავს, გიმღვრევს. მე შემეშინდა, ოჯახიდან მოცილებულს შემეშინდა არ ატყდეს ომი... არა, არა, ჩემმა ცირამ და პატარა ბიჭმა უნდა იცოცხლონ, უნდა იცოცხლონ. მათ არ უნდა გამოსცადონ ომის საშინელება.

გარეთ წვიმამ იკლო.

მოულოდნელად ისევ დამიბრუნდა თავი. მე უკვე ვეღარ ვარჩევდი ქუჩაში გაწოლილ ხეთა ჩრდილებს, რომლებიც სარკმლიდან ჩანდა. ჩემი თვალები ახლა ვიწრო, განსაზღვრულ მონაკვეთს მოიცავდნენ — მე ვხედავდი მათ — ცირას და ჩემს ბიჭუნას და ახლა, როცა განსაზღვრულ სივრცეში მათი მკრთალი სახეები ჩანდნენ, მივხვდი იმას, რასაც დიდიხანია უნდა მიმხვდარიყავი: ყველაფერი ახალგაზრდობით მოგვვიდა.

ვერაფრით მომეხელებინა, რომ მთელი თვის მანძილზე ერთხელაც არ მომიკითხავს ოჯახის ამბავი, რომ ძია მუხრანსაც ვატყუილებდი — უცოლო ვარ-მეთქი. მე ჩემი ღვიძლი შვილი მოვიძულე, მან კი სხვისი მოძებნა და იშვილა.

დილით საღამპარაკო სადგურში წავალ, დაველაპარაკები, და ჩვენი საუბარი დაახლოებით ასეთი იქნება: მთელი საუკუნე არ მინახიხარ, ცირა. იქნებ, ბავშვი მართლა ცუდადაა და მე არაფერი ვიცი? რას ვაკეთებ მე? მე უშენოდ არაფერს არ ვაკეთებ. მე არ შემიძლია უშენოდ.

— არ ვიცი. — მეტყვის იგი. — მე ისე მიმძიმს. — და მას შემკრთალი, ნაღვლიანი ხმა ექნება...

სარკმელთან ჩამთვლემია. თვალს ვახელ და ვხედავ — ღამე იცრიცება. ქუჩაში გამოგორდნენ მუზმუზელა ფურგონები. ისინი რძეს დაატარებენ. მუხრანისას ისევ გაისმა ბავშვის ტირილი. ეს პატარა გოგონამ გაიღვიძა. მთელი სახლი დადგა ფეხზე. მარინეს შალი მოეხურა მხრებზე და რძით სავსე ქილით ამოდიოდა კიბეზე. მერე ძია მუხრანმა გაიარა დერეფანი. მე ვიცოდი, რომ იგი დაძიძახებდა. მე ვატყუილებდი, რომ ვმუშაობდი. ვატყუილებდი, რომ უცოლო ვიყავი.

პირზე წყალი შევისხი და სირბილით დავეშვი კიბეზე.

მუხრანი ჭიშკართან დგას. იმ წუთს იგი ლამაზია, მაღალია. ცოტა ხანში იგი გაიღებს თავის ფარდულს ცენტრალურ ქუჩაზე, ფარდულს აწერია „თამბაქო". მუხრანი ხეიბარია, ომამდე მშენებელი

იყო. მინდა ყველაფერი ვუთხრა, მაგრამ ძალა არ მყოფნის. იგი იცინის: „მშვენიერი ბავშვია, ჯანსაღი. ტირილზე ეტყობა, რომ ჯანსაღია“.

ჩვენ ნელა მივაბიჯებთ. მუხრანი ჩაფიქრებული მომყვება.

— წუხელ შენ ისევ ჯიბოსთან უნახიხარ მეზობლებს. კარგი ბიჭი ხარ, ეგ კი ვიღაც ჯიბოა, გაქანებული მამაძაღლია. ეგ, თურმე, ისეთ ამბებს ატრიალებს, მტრისას. ერთი ორი დღე და მაგასაც შეუყენებენ წყალს.

— ვის? ჯიბოს? — გავვოცდი მე. — მაგას კომბინატის მმართველობას პირდებიან.

— მოაძრობენ, ბაბა, პატიოსან სიტყვას გაძლევ. მოაძრობენ. ხალხს განა ასე ადვილად მოატყუებ? მაგისთანების ადგილი ციხეშია, ბაბა, ციხეში.

მე ვიცოდი ეს. მე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მაინც დავიცავი. ჯიბოს ყველგან იცნობენ, ჯიბო ყველას პატივს სცემს, იგი ქონდრის კაცია, ჟილეტითა და მრგვალი ცილინდრით დადის, ტროსტს აწკარუნებს. ეჰ...

— ადამიანი თუ ხარ, ადამიანივით უნდა იცხოვრო, — მეუბნება მუხრანი. — ჯიბო კი არაფერია. ლოთუნაა, უსირცხვილო. დასდევს სხვის ცოლებს და ქალიშვილებს ატყუებს. ყველაფერ ამას ბევრი ფული უნდა. როგორ ატყობ, საიდან შოულობს ჯიბო ამოდენა ფულს? თუ ადამიანი ხარ, ადამიანივით უნდა იცხოვრო. ერთ დღეს ფეხი რომ წაიტეხო სადმე, უკანმოსახედავი უნდა დაგრჩეს, თორემ ვინ მოგიგონებს. ცოლი? შვილი? მერე და სადა გყავს?

ტანში ამბურძგლა. მუხრანის ხმა მკაცრად ჟღერდა. იქნებ, ჩემზე გაიგო ხელმე მუხრანმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა. როგორც იქნა, მარტო დავრჩი. მუხრანმა ხელი დამიქნია, და ტაქსის გაჰყვა. როცა ტრამვაიში ჯდებოდა, მოიხედა და მის სახეზე, სიამაყის გარდა, იყო კიდევ რაღაც ისეთი, რომელიც კეთილშობილებას მატებდა. ვატმანმა სალაპარაკო სადგურის დამტარებელი გამახსენა. ნახევარ საათში სალაპარაკო სადგურში უნდა ვყოფილიყავი. მე ვიცოდი, რომ ტელეფონთან ცირა მოვიდოდა. ჰო, ცირა სამსახურში, ჩემი შემცვლელისაგან გაიგებდა მისამართს.

ზუსტად ნახევარ საათში უნდა გამოეკვლო ჯიბოსაც. ზუსტად იმ დროზე, როცა სალაპარაკო სადგურში უნდა ვიყო. ჯიბო ცისფერ მანქანას მოაყენებს ჭიშკართან, ჯიბო მინას ჩამოსწევს და თავს გადმოყოფს სარკმელში. იგი ისევ მეტყვის, რომ მმართველის ადგილს პირდებიან რომელიღაც კომბინატში, მაგრამ მე ვიცი, რომ მას საერთოდ არასოდეს არაფერს პირდებიან, რომ ჯიბო ილუზიებით და კიდევ რაღაცით ცხოვრობს...

საათზე ვიყურები.

ქარი ქრის.

როცა მილაკს ავიღებ, ვეტყვი:

— ალო... მე მთელი საუკუნე არ გამიგონია შენი ხმა. მე არ გთხოვ პატიებას. არც შერიგებაზე გეუბნები რამეს. საერთოდ ამაზე არაფერს გეუბნები. კარგი, გავჩუმდეთ... „ჰო“, — იტყვის და მას ექნება ნაღვლიანი მოლოდინით დაქექილი ხმა.

მზე ამოდის, წინ ფართო ქუჩაა და ჭადრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ჩხაიძე

ფოლადის ქალაქი

შევყურებ მკვდრეთით წამომდგარ ქალაქს
ოა მინათდება გული დილის მზით,
ჰაუ, ლითონის გამდნარ ნიაღვარს,
რარიგ შორს მიაქვს შენი ღიმილი...
რუსთავო, შენგან დაძრულ ნიავქარს
გულში იხუტებს დედა თბილისი!
ბორგავს საამქრო, ელავს მარტენი,
ღუმელში ვხედავ ფოლადის ციმციმს...
ქართველ ჭაბუკთა გამრჯე მარჯვენით,
ზეცა ფოლადის სხივებში იწვის...
დგანან ამაყად სასახლეები,
ვით გამართლება პირველი ფიცის!..
აქ მკერდდაოფლილ მუშის სახეზე
სხვარიგად ბრწყინავს შუქი დილისა.
მათი თვალების დანაკვესები
საწინდარია ხვალინდელ დღისა.
ხარაჩოების ულეველ ტევრში
ელავს შუქურა კომუნიზმისა!..
ქარხნების მილთა ულევი ბოლვაც,
დიდი ეპოქის ნათელი არი.
ახალ რუსთავზე ხალიბთა მოდგმას
ახლა სხვა ჰანგზე უმღერის მტკვარი!

რუსთავის დილა

გარემო მტრედისფრად დაფერა სინათლემ
და კვამლის ქულებმა ცის თაღი გაბურეს.
ვუღიმი მშობლიურ რუსთავის ბინადრებს,
თვითეულ ეზო-კარს სიამით გავყურებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იღვიძებს რუსთავი ფოლადის ჟღერითა,
ელვარებს მარტენი ახალ გზის მაშუქად...
ოცნებას მინათებს ლითონის ჩქერი და
ცხრათვალა მნათობი ამ დილის საჩუქრად.
შრომობთ და გულები ზღვასავით გიღელავთ.
ეს რა ნებისყოფა, რა ძალა გქონიათ,
ქარხნების ხმატკბილი გუგუნი მგონია,
მე თქვენი მკერდიდან დაძრული სიმღერა.
თქვენა ხართ რუსთავის შვილები, ალალი,
თქვენ ირგვლივ ფოლადის სიმტკიცე გარტყიათ.
ჩვენს დიად სამშობლოს სალამი, სალამი,
დიდება მშობლიურ პარტიას!

მადლობა დიდი!

რაც კი ოდესმე ფიქრი მქონია,
სულ შენზე სათქმელ სიმღერად ვზრდიდი;
ჰოი, იმ დღეებს
მზიანს, თოვლიანს
მადლობა დიდი!
მე შენთან ვგრძნობდი სისხლის მძლავრ ჩქეფას.
იაღლუჯამდე ფრთებს ლაღად ვშლიდი.
დღეს შენთან მერგო
ვარდების კრეფა, —
მადლობა დიდი!
რუსთავო, შენთან ჩამოვალ კიდევ,
მე აქ გავრანდე ცხოვრების ხიდი...
შენ ამაღელვე,
შენ დამამშვიდე, —
მადლობა დიდი!
შენკენ მომქროლავ ცისფერ ვაგონებს,
გუშინ რომ შენკენ მოვყავდი რიდით,
ყველაფერს,
რაც კი შენს თავს მაგონებს,
მადლობა დიდი!
აქ რომ ფოლადის შუქი ანთია,
და დაჰგუგუნებ კიდიდან კიდით,
შენს აღმშენებლებს,
ჩემს ხალხს, პარტიას
მადლობა დიდი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ართიღაყვა

სოფლის იდილია

საღამოხანს ორღობეში
იმ ეზოდან ამ ეზომდი
მოკრძალებით დადიოდა
ერთი ბიჭი ამ მეზობლის.
ის კი არა, უფრო სწორად
სიყვარული დადიოდა
და თვალებით ეზო-ბაღში
თუ სარკმელში ნადირობდა.
გზა ვარდებით ღაღანებდა
ამ ეზოდან იმ ეზომდი,
დღეს ფიქრებში აღამებდა
შავთვალწარბა იმ მეზობლის.
განუწყვეტლივ, დღეცისმარე,
იმ ღელიდან ამ ღელემდი
მე იმ ორის სიყვარულზე
ყველა ლერწამს ვამღერებდი.
ამ სიმღერით ცუგრუმელებს
კიდევ უფრო ვაღელვებდი.

და ჯავრობდნენ:
— გაგონილა
სითამამე ეგზომ ბევრი,
გამქღავნდება სიყვარული,
რას იტყვიან მეზობლები!
დრო გავიდა შეუმჩნევლად,
მე აქა ვარ, ის იქ არის,
ის ქალ-ვაჟის დედა არის,
ხოლო ბიჭი — მისი ქმარი.
გზა ვარდებით სავალია
ამ ეზოდან იმ ეზომდი,
აღარ მორცხვობს ვაჟის მამა,
აღარც გოგო იმ მეზობლის.
გზა ვარდებით სავალია
ამ ღელიდან იმ ღელემდე
და ლერწმებიც გატაცებით
სხვა წყვილებზე იმღერებენ.

* * *

დროს ცოდნია მერანივით
გაწევა და გაქანება,
თორემ როდის, თორემ როდის
მოასწარი დაქალება!
ირგვლივ ჭრელი გვირილები
და ლურჯთვალა იანია,

მიყვარხარ-თქო, გეუბნები,
შენ მპასუხობ — გვიანია.
დროს სცოდნია ჩანჩქერივით
უცაბედად დაქანება,
თორემ როგორ ვერ შევნიშნე
შენი ასე დაქალება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდი ნუცუბიძე

დ ი ლ ა

ცა მზის მარმაშით შემოიჭედა
და მოიშვილდა წელში სალამზე,
თვალებხატული, ჩემო ბიჭებო,
რა კარგ დროს გაჩნდით ამ ქვეყანაზე!

ფეხისწვერებზე შემოდის დილა,
მზემ ყვავილებში ჩახჩახს უმატა,
ჩემო კარგებო, იძინეთ მშვიდად,
რადგან მე ვდგავარ თქვენს სასთუმალთან.

ამ გაზაფხულზე წაგიყვანთ მთებში,
საჯიხვეებთან ღამეს გავათევთ,
დავეწაფებით წყაროს წყალს პეშვით,
ტყის პირას ფიჩხის კოცონს დავანთებთ.

გადავიწვიმებთ ბაღში ვარდებთან,
შემოგენთებათ ატმის ალმური
და ერთი ასად შეგიყვარდებათ
თქვენი მიწა და თქვენი მამული.

გელით ცხოვრება სიამით სავსე,
იყავით მუდამ მისი მოთავე,
მე თუ მიმტყუნა მუხლმა ამ გზაზე,
ამომიდექით მხარში ორთავე.

ო, რამდენ რამეს გვპირდება დილა,
მზემ ყვავილებში ჩახჩახს უმატა,
ჩემო კარგებო, იძინეთ მშვიდად,
რადგან მე ვდგავარ თქვენს სასთუმალთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა პოეტების ლექსები

ახმედ კვირიზიძე

ადამიანი

ადამიანი! —
როს ეს სიტყვა პირველად იშვა,
მაშინ დაიწყო სიყვარულზე დიდი თქმულება.
ადამიანი! —
მასზე უფრო ძვირფასი სიტყვა
მე კაცთა ენის საგანძურში არ მეგულება.
აუწერელი სილამაზით ამკობს ეპოქას
იმისი სიბრძნით ანთებული დილა მზიანი.
შემოქმედების,
შთაგონების,
აზრის სრულყოფა, —
აი რა არის ჩვენი დროის ადამიანი.
მწვერვალებისკენ არ არსებობს მზა ქვაფენილი.
პარტიის ნება სინათლეა დიად მიზნისა.
ადამიანი!
დიდებაა ცადაფრენილი,
შემოქმედია მზენათელი კომუნიზმისა.

ვლადიმერ აღუნიძე

ფადიმე

ბათუმის პარკში ფხიზლობს ფადიმე:
იქნებ, ცას ზვერავს მტერი ვერაგი.
— ადექ, — ჩურჩულებს ცაში, ფადიმე,
ღამით ვარსკვლავთა არქიპელაგი.

— აღსდექ, ფადიმე! — ღმერთქალს
გატოლებ,
ქალო, კვლავ იქეც ზეცის ტიტანად.
აღსდექ, ფადიმე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

-გერმან ტიტოვმა
ციდან ვარსკვლავი ჩამოგიტანა.
— აღსდექ, ფადიმე! გეძახის გზები.
ის დუმს.

ვარსკვლავებს ნატრობს მძიებებად.
ხელს დაუქნევენ კოსმონავტებ
და...

ბრინჯაოს ძეგლს გაეღიმება.

ᲓᲝᲓᲝ ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲫᲔ

ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ

ვინ გააცოცხლა ლეგენდა ქვაში?
საუკუნეებს სცოდნიათ განსჯა.
ძველი დიდება საქართველოსი
ტაძრის კედლებზე ჩუქურთმად დარჩა.
მარჯვენას კვეთენ, ღმერთი სად არის?
ვინ დაიწყეველა თავის გაჩენა?
იქნებ, მამული, მტრისგან ნაწამი,
ამ დიდ მარჯვენამ გადაარჩინა?
იქნებ, ამ ქვებმა გადაგვარჩინეს,
როცა გვიტევდნენ ცეცხლით, მახვილით,
მედროშედ იდგა სვეტიცხოველი,
დიდი ოსტატის ამოკვეთილი.
ვერ შეუღებეს სისხლით მარჯვენა, —
მამულს როგორი შვილი ჰყოლია!
ძმები დაეცნენ ფიცხელ ბრძოლაში,
მან ყველა მტერი მოიგერია.
ვინ გააცოცხლა ლეგენდა ქვაში?
ვინ დაიწყეველა თავის გაჩენა?
იქნებ, მამული, მტრისგან ნაწამი,
ამ დიდ მარჯვენამ გადაარჩინა!

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲩᲘᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

ო, ყვავილები იყვავილებს განმეორებით,
ეს მჯერა. მაგრამ...
ჩემს უძირო ცას,
ვერ შეეხედავ განმეორებით.
განმეორებით ვერ გავივლი შენს სახლის ახლო, —
ლექსებს ვერ გეტყვი განმეორებით.
განმეორებით ველარ გესვრი ღიმილს გულისას,
განმეორებით მზეს შესცინებს თუმცა წნორები,
თუმც ყვავილები იყვავილებს განმეორებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაიკ მკრტჩიანი

უკვდავების ბაღი

მრავალი წლის წინათ ერთ მთაგორიან მაზრაში ვმსახურობდი. ზაფხულის პაპანაქება სიცხე იდგა. ზემო სოფლებიდან ცხენით მივყვებოდი ბილიკს. ბილიკი სოფელ შუქურიხეს გვერდით უხვევდა და ღელეზე გადიოდა. იმ ღელიდან პატარა ბაღი კოპწიად გამოიყურებოდა. ბაღს რომ მივუახლოვდი, კარებთან ერთი შუახნის ჩასხმული გლეხკაცი დავინახე.

— ძმობილო, სიცხე შეგაწუხებდა, მობრძანდი, დაისვენე, ვაშლით პირი გაისველე, — მიმიპატიჟა მან.

მიწვევა სიამოვნებით მივიღე, ცხენიდან ჩამოვხტი, ლურჯას ლაგამი გამოვაცალე, იქვე საძოვრად მივუშვი, მებაღეს გავეცანი და მასთან ერთად ბაღში შევედი.

ხეხილი ისე დახუნძლულიყო, ტოტები იზნიქებოდნენ და, ბოძკინტები რომ არ შეეყენებინათ, უთუოდ ჩამოიმტვრეოდნენ. ბაღში რუ არ გადიოდა, არც მორწყვის ნაკვალევი ჩანდა.

— ძია აკოფ, ბაღს არა რწყავ? — შევეკითხე მებაღეს.

— წყალი არ არის, ბატონო ჩემო, მაგრამ ათიოდე ორმო ამოვთხარე, გაზაფხულზე წყლით ვავსებ, მიწურ სახურავს ვუკეთებ და სინესტე შემოდგომამდე ატანს, — მიპასუხა მან.

— აი, ეს მიირთვით, ეს ანტონურია, ესეც კარგია, პაპიროსის ქაღალდივით თხელი კანი აქვს, — მეუბნებოდა მებაღე და ვაშლებს მთავაზობდა.

ამ შეხვედრის შემდეგ ხშირად დავდიოდი ძია აკოფის ბაღში, სადაც მე, როგორც აგრონომს, შემეძლო ზოგიერამ მესწავლა. გამოცდილი მებაღე ხალისით მიამბობდა ყველაფერს, რაც ვაშლის მოვლა-პატრონობას შეეხებოდა, მე კი ვცდილობდი მისი გაშენებული ჯიშები გამევრცელებინა ჩვენს მაზრაში. იგი სიხარულით მაძლევდა ნერგებს და მეტყოდა ხოლმე:

— ვაშლი პირის ზიარებაა, წაიღე, გეთაყვა.

შუქურიხეში ძია აკოფს ვაშლის კაცს ეძახდნენ. ზამთარ-ზაფხულ ჯიბეები ვაშლით ჰქონდა გატენილი და ტანსაცმელზეც ვაშლის სუნი ასდიოდა. ნაღველით მოსილი მისი წარსული დაკავშირებული იყო ვაშლის ბაღთან, სადაც იგი დაბადებულა და გაზრდილა.

ძია აკოფი იმ მაზრის მკვიდრი არ იყო. თურქეთიდან გადმოხვეწილა, ვგონებ არტამეტიდან, სადაც ვაშლის ბაღი ჰქონდა.

მაგრამ იმ ბაღში სისხლი დაღვარეს.... ყელი გამოსჭრეს მის მამას, ძმებსა და უფროს ვაჟიშვილს. თავისი ცოლის —

ვარდუჰისა და პატარა შვილის — ვარდენის თანხლებით აკოფი გაექცა იმ წყეულ ქვეყანას, სადაც ადამიანებს თავებსა ჰკვეთდნენ საკუთარ სახლში ან ბაღში.

ცოლი და ნათესავები ურჩევდნენ: ქალაქში დარჩი და, ვიდრე ფეხს მოიკიდებდე, ხალხის მოწყალებით იცხოვრეო. აკოფი გადაჭრით უარზე იდგა და გაიძახოდა:

— მე რომ ჩემი მონაგარი პური არ ვჭამო, ვერ გავძღები.

ვაშლის კაცმა თავისი ავლა-დიდება სახედარს აჰკიდა, ზედ პატარა ვარდენიც დასვა, სახედარი წინ გაიგდო და ცოლთან ერთად თავშესაფრის საძებნელად ერთ თვეს სოფლიდან სოფელში იხეტიალა. შემოდგომის მიწურული იყო, როცა ისინი სოფელ შუქურიხეს მიადგნენ და ერთი გლეხის საბძელში შეიხიზნენ. ზამთარი იქ გაატარეს. იმ ზამთარს შუქურიხელებმა გაიცნეს ლტოლვილის მწარე ხვედრი, გამრჯე ბუნება და შეიყვარეს იგი.

გაზაფხულზე აკოფს მენახირეობა ურჩიეს, ზოგმა დღიურ მუშად მიიწვია, მაგრამ მან იუარა:

— მე მებაღე ვარ, სხვა სამუშაოზე არ გამოვდგები.

იგი ოხვრავდა, იგონებდა მიტოვებულ ვაშლის ბაღს, რომელზეც ათჯერ მაინც მოუთხრო შუქურიხელებს, და გაიძახოდა, ვაშლის ბაღი უნდა გავაშენოო.

— ძმობილო, თქვენებური მხარე სხვაა, აქ სულ სხვაა. ამ ხრიოკ მიწაზე ვაშლი არ იხარებს, — ეუბნებოდნენ მეზობლები, მაგრამ აკოფი იღიმებოდა და დაჯერებით ამბობდა, ხემ ყოველგვარ მიწაზე უნდა იხაროსო.

გაზაფხული რომ დადგა, აკოფი ღელეში ჩავიდა, წერაქვით მიწას თხრიდა, ცოლ-შვილს იშველიებდა და ამოყრილი ქვისაგან ყორეს აშენებდა.

— ვაითუ, საბრალო ლტოლვილი ჭკუაზე შეიშალა, — გაიძახდნენ მეზობლები.

აკოფმა ნაკვეთი ქვისა და ხრეშისაგან გაწმინდა, ნაკელით გაანოყიერა და მიწად აქცია. პეშვით მიწა აიღო, დააკვირდა. მის სახეზე ცრემლის ორი ნაკადული წვეთი ჩამოგორდა, მუჭაში მიწას დაეცა და დანამა. შრომას შედეგი მოჰყოლოდა, მიწა კარგი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის „მიწაზე“ აკოფმა ვაშლის ნერგები დარგა, ქერი დათესა, წყლის ორმოები გათხარა. ქერი აჯეჯილდა, ნერგებმაც იხარეს. მან ქერის კარგი მოსავალი მოიწია.

გონივრულად გაწეული შრომა არ დაიკარგებაო, — ეუბნებოდა იგი მეზობლებს, რომელნიც ვაშლის კაცს უკვე სხვა თვალით უმზერდნენ, პატივისცემით ეპყრობოდნენ.

განვლეს წლებმა. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას აკოფმა დაინახა, რომ ვაშლის ნარგავები თეთრი და ლამაზი ყვავილით დაფარულიყო. იგი გულის კანკალით ელოდა ამას და აი, ამ სანატრელ დღეს მან თავისი ღარიბი ბაღის პირველი აყვავილების სადღეგრძელო დალია.

პირველი მოსავალი არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო, მაგრამ აკოფი ჯიშებს ამყნობდა და თანდათან უკეთეს ბაღს აშენებდა. გაზაფხულზე, როდესაც შუქურიხის ეს ერთადერთი ბაღი აყვავილდებოდა ხოლმე, ღელე სასიამოვნო სურნელით ივსებოდა. შუადღის შემდეგ იმ ბაღში ფრინველები საამოდ ყღურტულებდნენ. ამბობენ, ფრინველს უყვარს ყვავილი და მასზე გალობაო.

ძია აკოფის ვაშლის ბაღი იზრდებოდა, ხოლო ამავე ბაღში მისი შვილი ვარდენი ჭაბუკდებოდა.

— ბაღს კარგი პირი უჩანს, ვნახოთ შენ როგორი კაცი დადგები, შვილო, — ეტყოდა ხოლმე მამა.

ყოველ შემოდგომაზე ძია აკოფი დატვირთულ სახედარს წინ გაიგდებდა, მახლობელ სოფლებში ვაშლს გადაცვლიდა ხორბალსა და სხვა პროდუქტებზე და ასე ცხოვრობდა. მაგრამ ოჯახს მაინც უჭირდა. მოსავლის ნაწილს იგი

ბზეში შეფუთულს ინახავდა, ზამთარში ან გაზაფხულზე სტუმრისათვის მისართმევად, ხოლო ავადმყოფობის შემთხვევაში — მეზობლის პატივსაცემად.

— კარგად ვერა ვცხოვრობთ, — ეტყოდა ხოლმე თავის ცოლ-შვილს ძია აკოფი და რაღაც დიდ ამბავს ელოდა. მალე ის დიდი ამბავიც დატრიალდა. სოფელ შუქურაციხეში კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს:

— მამაჩემო, რას იტყვი, კოლმეურნეობაში შევიდეთ თუ არა?

— რა შევიტანოთ კოლმეურნეობაში, შვილო?

— ვაშლის ბაღი, — უპასუხა შვილმა.

ძია აკოფი გაჩუმდა, სახლიდან გარეთ გავიდა, მთელი დღე ფიქრობდა. მეორე დილით შვილს უთხრა:

— თანახმა ვარ, ჩვენი ბაღიდან დავიწყოთ ახალი, დიდი ბაღის გაშენება.

კოლმეურნეობის დაარსების წელს არ დაუჯერეს, მაგრამ მომდევნო წელს აკოფს მთელი ღელე გადასცეს, სადაც საკუთარი ბაღის გასწვრივ ვაშლის ნერგები ჩაყარა. ორ წელიწადში ოც ჰექტარამდე ვაშლის ბაღი გაშენეს. ძია აკოფი თავისი „სახლ-კარით" ბაღში გადავიდა. ჭადრაკისებურად გაშენებული ბაღი თანდათან იზრდებოდა, მებაღის ხელი ყველა ხეს სწვდებოდა. მას დიდი ფანტაზია ჰქონდა, იყენებდა რა მზესა და ჩრდილს, ხეებს შუშის ან ქოლგის ფორმას აძლევდა.

განვლო დრომ. ერთ გაზაფხულზე მთელი ბაღი აყვავილდა. პატარა ვარდენი წამოიზარდა. მან დაამთავრა საშუალო სკოლა და ახლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობის ფაკულტეტზე სწავლობდა, ყოველ ზაფხულს არდადეგებზე სახლში ბრუნდებოდა, მამას ეხმარებოდა, საღამოობით კი მიჩურინულ მებაღეობაზე ესაუბრებოდა. მამაც უსმენდა და ვაშლის სხვადასხვა ჯიშს ერთად ამყნობდნენ.

სოფელ შუქურაციხის კოლმეურნეობამ ვაშლის პირველი მოსავალი აიღო. დიდი ბაღისა და გამოცდილი მგზავრის ამბავი ქვეყანას მოედო. პირველი [illegible] ვლიდანვე ვაშლი მოსკოვში წაიღეს. სოფლო-სამეურნეო გამოფენაზე [illegible] აკოფმა გაატანა ვაშლის დაუკრეფავი ხე, რომ არ ეფიქრათ, შერჩეული ვაშლი გამოუტანიათო. სომხეთის პავილიონის ღამთვალიერებელნი დიდხანს უყურებდნენ დახუნძლულ ხეს, რომლის ტოტები ძირს დახრილიყვნენ იმის გამო, რომ თითო ნაყოფი ნახევარ კილოგრამს იწონიდა.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ძია აკოფს გამოუცხადეს, მოსკოვში მიმავალი დელეგაციის წევრად აგირჩიესო. მან გადაწყვიტა მოეთხრო კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისათვის წყეული წარსულის ჭირვარამზე, როდესაც მისი ძველი პატარა ბაღი მისივე ნათესავების სასაფლაოდ გადაიქცა. ასე ჟლეტდნენ სომხებს, მაგრამ დიდი ლენინის პარტიამ იხსნა მისი ხალხი, ხოლო თვითონ მან ახალი დიდი ბაღი გააშენა საბჭოთა სამშობლოში.

ამის შემდეგ ძია აკოფს ძილი და მოსვენება დაეკარგა. დღე-ღამე მუშაობდა, რათა მოსკოვში წასვლამდე ყველაფერი მოეთავებინა. ერთ დღეს გაოფლიანდა, გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. მისი ამხანაგები მოსკოვს გაემგზავრნენ, ის კი ლოგინში ჩაწვა.

— სენმა რომ ვერაფერი დამაკლოს, დარდი მომკლავსო, — ამბობდა მოხუცი, რომელსაც თავის სიცოცხლეში არავითარი ავადმყოფობა არ გამოევლო. იგი იმდენად წამალს არ სვამდა, რამდენადაც ვაშლს შეექცეოდა და უკვირდა, რომ ეს უებარი წამალი — ვაშლი მას ვერ კურნავდა.

რამდენჯერმე ძია აკოფს სიცხეშ აუწია. ასეთ დროს იგი ბაღზე კანტიკუნტად რაღაცას ბოდავდა, ზოგჯერ კრემლს ახსენებდა, მაგრამ ძვალმაგარ კაცს ნელნელა მოკეთება ემჩნეოდა, ოღონდ თანდათან უხალისობა დასჩემდა.

— ოცნება რომ არ შემისრულდა, ახ-

ლა თუ გინდ მოვკვდე, — ამბობდა იგი.

ერთ საღამოს რადიო რაღაც სიებს აცხადებდა. ძია აკოფმა უეცრად გაიგონა თავისი გვარი, სახელი და ლოგინიდან საცვლებისამარა წამოხტა. მოსკოვი მასზე ლაპარაკობდა: სოფელ შუქურციხის კოლმეურნეობის მებაღე აკოფ ავაგიანი ურწყავ ნაკვეთზე ვაშლის ახალი ჯიშების გამოყვანისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენითო. გახარებულმა მოხუცმა დაიყვირა, ცოლ-შვილს დაუძახა. მათ ეგონათ უბედურება რამ მოხდაო და ოთახში შეცვივდნენ, მაგრამ გაკვირვებით შეხედეს რადიომიმღების წინ მდგომ ჩაუცმელ ავადმყოფს. ამის შემდეგ მოხუცი აღარ დაწოლილა, ისე გამოჯანმრთელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ამბავი ასე მოხდა, — დაამთავრა თხრობა ძია აკოფმა, — როდესაც სანახავად ვესტუმრე.

— მაშ შენი ბაღი უკვდავების ბაღი ყოფილა, ძია აკოფ, — შევესიტყვე მე.

— არა, შვილო, უკვდავების ბაღი ჩვენი ქვეყანაა, რომელსაც ჩვენი მთავრობა აშენებს და ჩვენც ამ უკვდავების ბაღში ვცხოვრობთ, — დაასკვნა მოხუცმა.

სომხურიდან თარგმნა **გრიგოლ სარჭისიანმა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაროსლავ სმელიაკოვი

ჩვენი ღერბი

ეს ამბავი მოხდა
იმ წელიწადს დიადს,
როცა ხალხი აღდგა
და მჩაგვრელებს ძლია.
იყო გაუთბობი
კაბინეტი კრემლის,
საქმის ბჭობად დასხდნენ
ქვეყნის ბელადები.
ისხდნენ მათთან ერთად,
იმათ მაგიდასთან,
მქსოველი — მომკალთან,
მჭედელი — მტვირთავთან.
კარებში კი მცველად
ჯარისკაცი იდგა,
კოხტა ულვაშებით,
ხელში შაშხანითა.
დაადგინა საბჭომ:
— ჩვენ მიწაზე ვსახლობთ
და ეს ჩვენი მიწა
ღერბად გამოვსახოთ!
დაე, ამ ჩვენს ღერბზე,
როგორც ცაზე ერთობ
მზეი ანათებდეს
და ვარსკვლავი ენთოს.
ხოლო დანარჩენი —
შრომის საფიდებლად,
დაე, მოიტანონ
თვით დელეგატებმა.
მოეტანა მჭედელს,
წვლილად საგანგებოდ,
თავისი სიმდიდრე —

ურო სანაქებო.
შორეულ სოფლიდან
ბასრი, როგორც დანა,
გლეხის ქალს ნამგალი
თვისი მოეტანა.
ჩექმების ბრახუნით,
გათოშილ თითებით,
მოიტანა მქსოველმა
ყუმაში წითელი.
ჩაქუჩი, მჭედელს რომ
სამსახურს უწევდა,
საბჭოს გადაწყვეტით
ნამგალს შეუერთდა.
ხოლო მძიმე ძნა,
სავსე მწიფე თავთავით,
მაგრად შეკრა საბჭომ
ყუმაშის ფართალით.
და ლოზუნგი ჩვენი,
ილიჩის თქმით, აგრე,
ყუმაშის ლენტებზე
კოხტად ამოქარგეს.
ჯარისკაცი ხედავდა
და აენთო ისიც,
რომ ღერბისთვის დაეთმო
მას შაშხანა თვისი.
მაგრამ მებრძოლს ბელადმა
ასე მიუთითა, —
არ შეუშვას ხელი
შაშხანას წუთითაც.
იმ დღის შემდეგ ჯარისკაცს
ბედი ახალისებს,
ჩვენი ღერბის გუშაგად
დგას ერთგულად, მტკიცედ.

თარგმნა უოთა როყვამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჟდენ ჩაჩუა

დღეს ყრილობის დელეგატის ბრიგადაში

ფანჯარაში იჭერიტება გარიჟრაჟი.

ვალენტინ ჯაშს უნებლიედ გაეღვიძა. ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია და ვალენტინიც შეეჩვია უთენია ადგომას, თითქოს უხილავი ძალა არ ასვენებს, ეძახის, აღვიძებს.

სასწრაფოდ ხელ-პირი დაიბანა, ისაუზმა და ქარხნისაკენ გასწია. გზად მიმავალი გონების თვალით ვერეტს დღევანდელ და ხვალინდელ დღეს. ფიქრობს, თავისი ბრიგადის თვითეულ წევრს რა დავალება მისცეს, რა გააკეთოს თვითონ, რომ ყოველი წუთი, როგორც იტყვიან, შრომის ნაყოფით დაიტენოს.

კომუნიზმის მშენებელთა ახალი ბრძნული პროგრამის განხორციელება, რომელიც კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ შეიმუშავა, თვითეული საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ თავდადებულ შრომას მოითხოვს.

და ვალენტინს უხარია, რომ თვითონ იყო ამ ყრილობის მონაწილე... იქ მოისმინა მან ყველაზე საამო და აღმაფრთოვანებელი სიტყვები: „კომუნიზმის თასი სიუხვის თასია. იგი ყოველთვის პირთამდე უნდა იყოს სავსე. ყველას უნდა შეეჭონდეს მასში თავისი წელილი და ყველა უნდა იღებდეს იქიდან“.

აქ ითქვა ისიც, რომ მთელი ხალხის, მთელი პარტიის უდიდესი ღონისძიება იქნება საჭირო, რათა განხორციელდეს ეს დიდებული პროგრამა.

დიახ, ასეც იქნება.

ვალენტინი და მისი მეგობრებიც შეერთებული ძალით თავიანთ ღირსეულ წელილს შეიტანენ ამ სანატრელი და დიდი ოცნების განხორციელებაში.

მხარს მისცემენ ერთმანეთს, პირობას სინამდვილედ გადააქცევენ.

ვალენტინი სიამაყით იგონებს: მისი ბრიგადის წევრებმა კრემლში გაგზავნეს წერილი თავიანთი დელეგატის სახელზე, შეუთვალეს, აქ საქმე კარგად მიდის, კვლავაც თავდადებით ვშრომობთო. ეს იყო მათი ერთგვარი ფიცი ახალგაზრდა ბრიგადირისადმი.

და ამ ფიცს ისინი არასოდეს გატეხენ.

რამდენი ისაუბრეს იური გაგარინმა და ვალენტინ ჯაშმა! იურის, ვალენტინის ბრიგადაში რომ ჩაურიცხავთ, არ გაკვირვებია, გახარებით კი ძალიან გეხარდა. ხოლო როცა ქართველმა ბრიგადირმა უთხრა, იმდენ მანქანას ვაწყობთ, რამდენიც თქვენი ჩათვლით უნდა აგვეწყოო, **გაეცინა და მხარზე დაკრა ხელი:** მაშ თქვენი ვალი მქონია. რა გაგწყობა, საქართველოში რომ ჩამოვალ, მამუშავეთ და ამანაზღაურებინეთო. მერე ხელი გაუწოდა ვალენტინ ჯაშს და სიყვარულით უთხრა:

— გადაეცით თქვენს ბიუებს ჩემი გულითადი სალამი!

ნიკოლოზ მამაიმ თუ იაროსლავ ჩიუმაც ასე დაუბარეს.

რა უბრალონი არიან, გულკეთილნი, ამხანაგურნი. თითქოს დიდი ხანია იცნობდნენ ვალენტინ ჯაშს, ან ქუთაისის ავტოქარხნის ნოვატორული ბრიგადის ხელმძღვანელს იოსებ ხაზარაძეს, თუ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირს ლევან კობახიძეს. ტკბილად ესაუბრებოდნენ მათ, მხიარულად, აინტერესებდათ თვითეულის ბიოგრაფია, შრომითი წარმატებები...

აბა, რა საინტერესო ბიოგრაფია აქვს ვალენტინს?

ვალენტინის მშობლიური სოფელი ზომლეთი

ჩოხატაურის რაიონშია. მაგრამ იგი თბილისში დაბადა 1934 წელს. იქ მუშაობდა მაშინ მამამისი. ძველი ბოლშევიკი სევერიან ჯაში. 1943 წელს ბათუმში გადმოვიდნენ. ერთი წლის შემდეგ კი დედამ, ვალენტინმა და ნინამ შაევი ჩაიცვეს.

ლუბამ მკერავად დაიწყო მუშაობა. შვილებმა სწავლა განაგრძეს კვლავინდებურად.

1953 წელს დედის გულმა უსაზღვროდ გაიხარა — ნინუმ ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო ვალენტინმა — საშუალო. მერე დედამ ვაკე არმიის რიგებში გააცილა, ქალიშვილი კი გაათხოვა...

ბაღშუბაში მოუსვენარი იყო ვალენტინი: სულ რაღაცას ჩაკირკიტებდა, სულ ჩხირკედელაობდა: გემებს თუ ნავებს აკეთებდა და თოკმობმული დაარბენინებდა გუბურებში; ქალალდის თვითმფრინავს გამოკრიდა და ჰაერში ასროდა. სახლში შეეიდოდა და დაუშველს არაფერს დატოვებდა. უკირკიტებდა და უკირკიტებდა. საკერავ მანქანას, უთოს თუ რადიოს, აწყობას დაიწყებდა და დილიდან საღამომდე წვალობდა — ხან ერთი ნაწილი დააკიწყდებოდა, ხან მეორე...

ავტობუსი უხვევს და ჩერდება. ვალენტინი ჩამოდის და მიემართება ქარხნის შესასვლელისაკენ...

გულის საწადელი აისრულა ვალენტინ ჯაშმა — სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში განაგრძო სწავლა...

სამი წელი იდგა სამშობლოს სადარაჯოზე.

მას რაღაც იდუმალი აღტაცება იპყრობდა, როცა საჰაერო ხომალდი ცის ლურჯ ტატნობს ერთიანად არწივივით გაეკვრებოდა და ქვევით ჩამოიტოვებდა თეთრ ღრუბელთა ქარავანს. უხაროდა. უხაროდა, რომ დიდი სამშობლოს საზღვრებს ფხიზლად იცავდა. მერე ის იყო, საბჭოთა მთავრობამ ორნახევარი მილიონით შეამცირა შეიარაღებული ძალები და სხვასთან ერთად შტურმან-ლეიტენანტი ვალენტინ ჯაშიც დემობილიზაციაში მოჰყვა. არმიაში ნაწრთობი ჭაბუკი კვლავ მშობლიურ ბათუმს ეწვია.

თმაშეეერცხლილმა დედამ გულში ჩაიკრა უკვე დავაჟკაცებული შვილი.

— მაშ ომი აღარ იქნებაო? მაშ მშვიდობიანად ვიშრომებთო? — მეათედ ეკითხებოდა შვილს.

რა საკვირველია! ასეთია დედის გული — შვილების სიცოცხლე და სიხარული უნდა...

მოხუცი კარისკაცი ხელაწევით მიესალმა ბრიგადირს.

არა, 1956 წელს ვალენტინს სულ სხვანაირი შეხვედრა ჰქონდა აქ.

იყო დეკემბრის სუსხიანი დილა. ზამთრის ცივი, გამთოშავი ქარი სულში უძვრებოდა ადამიანებს. პალტოების საყელოები ამოეწიათ, ხელთათმანიან ხელებს ჯიბეებში იწყობდნენ და გარბოდნენ...

მანქანათსაშენებელი ქარხნის შესასვლელში კარისკაცული ნაბიჯით მიუახლოვდა ვალენტინ ჯაში. მოხუცმა კარისკაცმა დაბეჯითებულ ლეიტენანტ-ფარაჯიანი, სასუალო ტანისა ბულეტების უცხო ვაჟკაცი. ქერა ჭაბუკმა პაპიროსის ნამწვი სანაგვე ყუთში ჩააგდო და კაღრების განყოფილება იკითხა.

მოხუცმა დასავლეთისაკენ გაიშვირა ხელი. იმ ორსართულიან შენობაში შედი და იქ არის, ძიგასწავლიანო.

ვალენტინმა ეზოში შესვლისთანავე თვალი შეავლო ციტრუსოვანთა შესანიშნავ ხეივნებს, ცაში აწვდილ ეკალიპტუსსა თუ ქოლგასავით მხრებგაშლილ ნაძვებს.

კაღრების განყოფილების უფროსი არტემ მარტიროსიანი ღიმილით შეხვდა ქერა ვაჟკაცს, წერას თავი მიანება... და კაბინეტიდან გამოვიდნენ.

ისინი საუბრით მოადგნენ ამ დიდ შესასვლელს, ახლა რომ უახლოვდება ვალენტინი.

მაშინაც ასე ისმოდა ორთქლის სასინი და ქშენა, ვეება დაზვების ბრდღვინვა და გრიალი, ჩაქუჩების მონოტონური ცემა და ელექტროაპარატთა ზუზუნი.

— ეს ჩამომსხმელი საამქროა, ეს — მექანიკური, ეს — საამწყობო.

ეს უკანასკნელი სწორედ ის საამქროა, ამ წუთში მისი ბრიგადის ბიჭებს სამუშაო რომ ვაუნაწილა ვალენტინმა და თვითონაც მათ გვერდით დადგა — სასწრაფო დაკვეთაა, ათი ხილის სახეხი ორსართულიანი მანქანა უნდა აიწყოს.

იმ ადგილას გაჩერდა არტემ მარტიროსიანი, ვიღაცას თვალგაფაციცებით ეძებდა.

— აჰა, დავიჭირეთ. — ეგერ ჩაცუცქულა, იმ მანქანასთან; ალბათ, რაიმე გაუჭირდათ ბიჭებს და ბრიგადირს მიმართეს. ე, სლავა! — მაგრამ სლავას არაფერი ესმის. მასთან მიდიან.

— აბა, სლავა, შეიღე ახალი მოწაფე: ავიაციის დემობილიზებული ლეიტენანტია. საიმედო! ახლოს მიდი, ვალენტინ, ნუ გეშინია. გაიცანი; ქართულად „დიდება“ ჰქვია, თუმცა საღიდებელი არაფერი აქვს, მაგრამ „პოვერ“, დაიჯერეთ ჩემიო, გვეუბნება. — პოვერინოვი. ჰა, ჰა, ჰა! ენახოთ...

— მოხსენი ხომ ლაპარაკის გუდას თავი?.. არ დაუჯერო, ჩემო კარგო! ჩვენ საქებარ-საღიდებელიც ბევრი გვაქვს და საამაყოც. აი, გახედეთ ჩემს ბიჭებს, — ლომებივით არიან, რკინას კვნეტენ...

არტემ მარტიროსიანი ხელს მაგრად ართმევს ვალენტინს და წარმატებებს უსურვებს. სლავა პოვერინოვი კი...

— აი ეს არის პანტელეიმონ სამარციდი, ზეინკალი. — აცნობს იგი ვალენტინს ოცდაათ-

ოცდათხუთმეტი წლის საშუალო ტანის კაცს. — პანტელეიმონი ბათუმის სახელოსნო სასწავლებლიდან მოვიდა აქ, დიდი ხნის წინათ. შრომაში ერთი ვერ გაუტოლდება. ეს ვახტანგ გუჯაბიძეა. ესეც იმავე სასწავლებლიდან „გადმოვიბრიეთ“.

მართლაც ლომებივით ტრიალებდნენ შრომის ოფლში გაღვრილი ვაჟკაცები: მანქანების ნაწილებს იღებდნენ, მთავარ ღერძს ანუ კვანძს აწყობდნენ, ძრავებს დგამდნენ...

— აი, ვალენტინ, დაკვირდი, როგორ მუშაობენ ესენი, გაიგე, რა ევალება ზეინკალს და მალე შენც დაეუფლები მანქანების აწყობას...

ბრიგადირმა ნახაზებიც აჩვენა და გულდასმით აუხსნა ყოველი მანქანა... სამუშაოს ღამთავრების შემდეგაც ხშირად ტოვებდა და ამეცადინებდა...

ვალენტინ ჯაში მშვენივრად კითხულობდა ნახაზებს — მას ხომ წლების მანძილზე ასწავლიდნენ ამას!.. სწორედ ამიტომ თერთმეტ დღეში ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა და ისიც მეორე თანრიგზე მაშინ, როცა ხხვები სამოთხი თვის განმავლობაში ვერ ახერხებენ პირველი თანრიგის მიღებასაც კი...

დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა.

ვალენტინი თავისუფლად აწყობდა ცომის გამანაწილებელ, ჩაის დამხარისხებელ თუ ხილის სახეხ მანქანებს...

ძალიან შეეჩვიენენ ამ დინჯ, დაკვირვებულ და საქმის მოყვარულ ახალგაზრდას. ისე შეეჩვიენენ, რომ არაფრით არ უშვებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მიხეილ დუნდუას ბრიგადაში. მაგრამ მიშამ თავისი გაიტანა...

მიხეილის ბრიგადა პირველი იყო მანქანათსაშენებელ ქარხანაში კი არა, აქარაშიც, რომელსაც კომუნისტური შრომის საპატიო სახელი მიენიჭა.

სულ რჩეულ-რჩეული ბიჭები იყვნენ აქ — შოთა ჩაგუნავა, სლავა იბრაგიმოვი, ანზორ ხინთიბიძე, ალექსი კუზმინოვი...

ვალენტინი მიხეილ დუნდუას ბრიგადაში გადაიყვანეს. მაგრამ განა საღმე შორს წაიყვანეს? აქეა, სლავა პოვერინოვის ბრიგადის გვერდით. მიხეილის ბიჭებს ყველას კარგად იცნობდა; ვალენტინსაც თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე იცნობდნენ. მიხეილ დუნდუას ხომ დეტალურად ჰყავდა შესწავლილი.

სრულებით არ უგრძნია ვალენტინ ჯაშს, რომ ის ახალ კოლექტივში გადავიდა.

ადგილი შეეცვალეო მხოლოდ, იცინის ვალენტინი...

— მიღალატე ხომ? შეგარცხვინოს ღმერთმა!

— ღიმილით ეუბნება სლავა პოვერინოვი.

— სულით მაინც თქვენთან ვარ, ძია სლავა. ჩემს პირველ მასწავლებელს როგორ დავივიწყებ?! — მიუგებს ვალენტინი და მანქანების ნაწილებს სწრაფად აწყობს...

— არა, არა, ჩემო კარგო, მაგით ვერ მომქონავ თავს. — ცხარობს სლავა, — თავზე კიდევ შემოჯდება მწერი...

— შემოჯდა, ნამდვილად შემოჯდა. ძია სლავა! — სიცილით ეუბნება ვალენტინი.

— რა შემოჯდა, ბიჭო? — გულუბრყვილოდ ეკითხება ბრიგადირი.

— პარტიაში შევდიეარ, ძია სლავა და... — სიტყვას განგებ არ ამთავრებს ვალენტინი.

— ააა! ხომ გითხარი!? უკაცრავად, ახლა უკაცრავად! — ეშმაკური ღიმილით ხელებს ასავსავებს სლავა.

ვალენტინს სახე ებადრება და დუმს, ხელში უმიზნოდ ატრიალებს მანქანის რომელიღაც ნაწილს.

— შენ არ იფიქრო, რომ დავიყოლიეო. მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ. ვერავითარ რეკომენდაციას ჩემგან ვერ მიიღებ. ვთქვი და გათავდა. მაგრამ ისე კი... ისე კი მაინტერესებს, კიდევ ვინ არის...

— კიდევ... კიდევ ჩვენი საამქროს უფროსი...

— ააა! სწორედ მაგის ოინები იყო შენი გადაყვანა. ჰოდა, მეორეც იმ გვი ჭეიშვილმა მოგინახოს...

— არა, ძია სლავა, თუ არ...

— კარგი, კარგი, ჯანდაბას შენი თავი! ხვალ მოგიტან, ოღონდ სირცხვილი არ...

— ვეცდები, ვეცდები, ძია სლავა!..

— არიქა, სლავა, მიშა მოდის, თავს უშველე! — წამოიძახა ვიღაცამ.

თვალუწვდენ საამქროში ღიმილით მოაბიჯებს მიხეილ დუნდუა. მან იცის, რაშიცაა საქმე, მაგრამ არაფერს იმჩნევს. სლავა პოვერინოვს გულღიად ესალმება და ვალენტინთან მიდის.

ვალენტინ ჯაში ყველაფერს უთქმელად უხვდება ბრიგადირს.

— სესიაზე მიბრძანდებით. პატივცემულო მიხეილ. საქვეყნო საქმეზე ღა რა უფლება მაქვს. უარი გითხრათ...

წესად იყო შემოღებული: როცა მიხეილი მოსკოვში — სესიაზე თუ თბილისში — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მორიგი გამოცდის ჩასაბარებლად მიდიოდა, ბრიგადას ვალენტინ ჯაშს ანდობდა და მისი იმედი ყოველთვის ჰქონდა. არც ვალენტინს შეურცხვენია თავი...

და როცა მიხეილ დუნდუა სხვა, უფრო პასუხსაგებ უბანზე გადაიყვანეს, ორი აზრი არ არსებობდა ხელმძღვანელზე — ბრიგადა ვალენტინ ჯაშს ჩააბარეს.

კვლავ თავდადებით შრომობდნენ ბიჭები.

ბრიგადას კი ემატებოდა ახალ-ახალი წევრები — ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები, აი, ავერ რომ დგანან ვალენტინის გვერდით და ხილის სახეხ ორსართულიან მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანებს აწყობენ: ბიჭიკო მგალობლიშვილი, ნოდარ გოგოლიშვილი, საშუალო სკოლადამთავრებული გოგი ანდღულაძე, არმიიდან დემობილიზებული გივი გეგეჭკორი და ვერცხლის მედალოსანი ვლადიმერ სახელაშვილი.

ვლადიმერი მართლაც სახელაშვილია, თანაც ყველაზე ახალგაზრდა — 1945 წელს დაბადებული. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში უნდოდა შესვლა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს, ჯერ პატარა ხარ, გაიზარდეო. გასაოცარი ნიჭის პატრონია: ხუთ წუთში კაცს დახატავს, ფოტოსურათი გეგონებათ. ამწყობის პროფესია ხომ მშვენივრად შეეთვისა! იმედს არ კარგავს ვლადიმერ სახელაშვილი — გაზრდასაც უცდის და გამოცდისათვისაც ემზადება.

ვალენტინი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ვლადიმერს — ხშირად მიდის მასთან. ეკითხება, ხომ არ უქირს რაიმე, ნახაზს წააკითხებს, თუ შეიცდა. შეუსწორებს, შეკრებილ **დეტალებს შეუმოწმებს.**

ეს იმიტომ, რომ ვლადიმერ სახელაშვილი ჩუმი, ენაუთქმელი ყმაწვილია. შენ თუ ძალა არ დაატანე, თვითონ არაფერით არ შეგაწუხებს. სხვები კი ყვავს ჩამოაგდებენ ხიდან.

ვლადიმერი ძალიან მაღალი და სუსტია. ამიტომ აბრაზებენ, ჩვენი ბრიგადის სანთელი ხარ. ერთ ორმოც სანტიმეტრს კიდევ მოიმატებ და ელექტროამწის მძღოლად დაგნიშნავთ, ასვლაზე კიბე არ დაგჭირდებაო.

ერთმანეთს რას არ მოუგონებენ ეს ეშმაკის მაშხალები.

ერთხელ ვალენტინ ჯაშის ბრიგადის შესამოწმებლად მოვიდნენ.

— მე ამ ბრიგადის წამყვანი ვარ, თავი და ბოლო, სული და გული!.. — იძახის ბიჭიკო მგალობლიშვილი.

— როდის მოდი აქ? — ეკითხებიან.

ბიჭიკო იხსენებს წელს.

— მაგან, პატივცემულო, თავისი დაბადების წელი არ იცის. თორემ... — ქირქილებს შოთა ჩაგუნავა.

— შენ თვითონ როდის მოდი აქ? — ახლა შოთას მიუბრუნდნენ.

მოულოდნელობისაგან შოთა დაიბნა და წეხანდელი დამცინავი ღიმილი სახეზე გაეყინა.

— ო, მაგას აკვანი აქ ედგა. — ქოქოლას აყრის ფერმოსული ბიჭიკო. — ალბათ, გაგიგონიათ, ძველად ახალდაბადებულს ჭიპს ჭრიდნენ და სკოლაში აგდებდნენ. ჩემი შვილი ნასწავლი გამოვაო. მაგის ჭიპი აქ შემოუგდიათ, ქარხანაში.

— ამ ხუმრობ-ხუმრობაში ბიჭიკომ ენა გაიწაფა, უყურე, ძამა, შენ! — ენაკვიმატობს ანატოლ ხუნდაძე.

— აბა, აბა... მართალი ხარ, გენაცვალე, მართალი! — მეგრული აქცენტით კვერს უკრავს გივი გეგეჭკორი.

— დედა, ღმერთო მომკალი! ღმერთს აქა ხართ? გაიცანით, პატივცემულო, ეს ... ჩვენი საუკეთესონი... საგურიელოსა და სადადიანოს შთამომავალნი! — პასუხს უბრუნებს ბიჭიკო მგალობლიშვილი.

რა მხიარული ბიჭებია! ანზორ ხინთიბიძეს რომ აცილებდნენ საბჭოთა არმიაში, იმდენს ხუმრობდნენ, რომ კაცი კინაღამ დარჩა მატარებელზე.

ძლიერ ამხანაგურად და მეგობრულად არიან ყველანი. ვალენტინ ჯაშსა და მისი ბრიგადის წევრებს, თითქოს ვერ წარმოუდგენიათ წუთითაც ერთმანეთს დაშორდნენ, როცა სტადიონზე ფეხბურთი ჩაღდება. კინოში, თეატრშიც ერთად დადიან, მერე ნახულის შესახებ ცხარედ მსჯელობენ, როგორც იტყვიან ხოლმე, გონების საცერში ატარებენ ახალ სპექტაკლს, კინოსურათს. ხელის გულზე გამოაქვთ კარგიც და ნაკლიც. ცხარეა მათი კამათი, იგრძნობა მომთხოვნი მაყურებლის გონიერი განსჯა.

არა, მართლაც კარგი, ძალიან კარგი კოლექტივია. ყველაფრის გაკეთება რომ ეხერხებათ, ყველაფერი რომ შეუძლიათ. გივი გეგეჭკორი საამქროს კომკავშირის ბიუროს მდივანია, გოგი ანდღულაძე და ვლადიმერ სახელაშვილი კი ქარხნის ფეხბურთელთა და კალათბურთელთა ნაკრები გუნდების წევრები. ანატოლ ხუნდაძე ქარხნის თვითმოქმედ ანსამბლში მღერის. თვითონ ვალენტინ ჯაში საქარხნო კომიტეტის და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი და საქალაქო საბჭოს დეპუტატია. ამავე დროს სტუდენტიცაა. საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრი შოთა ჩაგუნავაც სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებლად. მალე ყველა ისწავლის წარმოებისაგან მოუწყვეტლად. ბრიგადის ყოველი წევრი ხომ საშუალო სკოლადამთავრებულია, მოსამზადებელ კურსებზეც დადიოდნენ.

ვალენტინ ჯაშსა და მისი ბრიგადის წევრებს სურთ რამდენიმე წელიწადში მთელი ბრიგადა დაკომპლექტდეს სულ უმაღლეს დამთავრებული კაცებით.

ეს პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების ერთ-ერთი პუნქტია.

ჰოდა, რაკი ივალდებულეს, კიდევაც შეასრულებენ.

კიდევ რა პირობა დადეს?

ჰო, ათი დეკემბრისათვის ასოცდაათი პროცენტით გავანაღდებთ წლიურ გეგმას და ხუთ რაციონალიზატორულ წინადადებასაც შეეიმუშავებთო.

ვიდრე ვალენტინი ყრილობიდან დაბრუნდებოდა. ეს ვალდებულება უკვე შეასრულეს და 1962 წლის ანგარიშში დაიწყეს მუშაობა.

ის კი არა და, შარშან შვიდწლედის მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის გეგმა ექვს თვეში მზად გვქონდა, წელს როგორ გაგვიგრძელდაო, უსაყვედურეს თავისთავს.

უცნაური ხალხია! წლიური გეგმა ვადამდე სამი-ოთხი თვით ადრე შეასრულო და მაინც უკმაყოფილო იყო?! თუმცა ასეთი მოვლენა ახლა ჩვეულებრივი გახდა — ადამიანები უსწრებენ წლებს...

ვალენტინს ხშირად თხოვენ, გვიამბეთ, რა სიძნელეებს ხვდებით მუშაობაში, როგორ ძლევთ მათ და როგორ აღწევთ ასეთ დიდ წარმატებებსო.

ბრიგადირს ეღიმება: სიძნელე მხოლოდ მაშინაა, როცა მასალა შემოაკლდებათ, მაგრამ ვალენტინ ჯაში მაშინვე ყველას აწუხებს — დაწყებული საამქროს ოსტატიდან გათავებული ქარხნის დირექტორამდე. დაბრკოლებას რომ უკან მოიტოვებენ, დაიმკლავებენ ბიჭები და შრომობენ თავაუწევლად. ყველამ საფუძვლიანად იცის თავისი საქმე. მთელი დღის განმავლობაში ბრიგადირს თითქმის არც კი აწუხებენ, ხანდახან მარტო ნახაზების გარჩევაში თუ წაეხმარება ვინმეს, ისიც ახალმოღებული მოწაფე იქნება უეჭველად. თუ საჭარო დაკვეთა აქვთ, თავჩაღუნული შრომობენ და სამუშაოს დამთავრების დროს ბრიგადირი ამცნობს. წასვლის წინ კი ბრიგადირის სიტყვას ელოდებიან: ერთ ადგილზე ერთავს თავს და ადგენენ მეორე დღის სამუშაოს.

საამქროდან ყოველთვის ერთად გამოდიან ისინი და მიიჩქარიან სხვადასხვა მიმართულებით.

თვითონ ვალენტინი ჯდება ავტობუსში, რომელიც გორკის ქუჩით მიდის, და ენგელსის ქუჩის გადაკვეთაზე, თეთრად მოკიაფე შენობის წინ, ღიმილით ჩამოდის ძირს და ფრთხილად აღებს ოთახის კარს. იქ ღიმილითვე შეეგებიან მეუღლე, დედა და ბებია. პატარა ინდირა კი დედისა თუ ბებიას ხელებისაგან თავს ითავისუფლებს და მამისაკენ მიიწევს.

მამა გულში იკრავს პატარას...

შეუმჩნევლად ჩაეძინება მთელი დღის ნახმაურევ ქალაქს. დარაჯებად დადგებიან მოკაშკაშე ჩირაღდნები...

ვალენტინ ჯაში დახურავს რვეულსა თუ სქელტანიან წიგნს, ფეხაკრეფით შევა საძინებელ ოთახში...

და როცა გარიჟრაჟი კვლავ შემოიხედავს ფანჯარაში, საშუალო ტანის, პირფართო, ქერა ჭაბუკი სწრაფად დაიბანს ხელ-პირს, ისაუზმებს, მიეალერსება ლოყებფუნთუშა, ოქროსფერკულულებიან ქალიშვილს და ქარხნისაკენ გაეშურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიალური მოაზროვნე და შემოქმედი

მ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 250 წლისთავის გამო

მიმდინარე წლის ნოემბერში საბჭოთა ხალხმა მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნა გენიალური რუსი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 250 წლისთავი.

მ. ვ. ლომონოსოვი თავისი დროის ენციკლოპედიურად განათლებული მეცნიერი იყო. არ დარჩენილა მეცნიერების თითქმის არც ერთი დარგი, სადაც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას, თავისი შეხედულებანი არ ჩამოეყალიბებინოს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ა. ს. პუშკინს, როცა ლომონოსოვს რუსეთის პირველი უნივერსიტეტი უწოდა.

განსაკუთრებით დიდია მ. ვ. ლომონოსოვის დამსახურება რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარებაში. როგორც ფილოსოფოსი-მატერიალისტი, იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა მეცნიერების, უპირველეს ყოვლისა ბუნებისმეტყველების კავშირს ფილოსოფიურ მატერიალიზმთან. ბუნებისმეტყველების ისტორიაში მან პირველმა შექმნა მთლიანი მატერიალისტური მოძღვრება ბუნებაზე. მისმა მოძღვრებამ სამყაროს მარადიული მოძრაობა-განვითარების, მატერიისა და მოძრაობის განუყოფელობის შესახებ სერიოზულად შეარყია სამყაროზე მეტაფიზიკური შეხედულება. ლომონოსოვს ღრმად სწამდა, რომ ექსპერიმენტულ მონაცემებს ესაჭიროება განზოგადება, რაც შეუძლებელია ფილოსოფიის უცოდინარად. ამიტომ ბუნებისმეტყველნი უარს კი არ უნდა ამბობდნენ ფილოსოფიაზე, ამბობდა იგი, არამედ ჭეშმარიტ და მოწინავე ფილოსოფიას უნდა იყენებდნენ ცდის მონაცემთა განზოგადებისათვის.

აღნიშნავდა რა ფილოსოფიის უდიდეს მნიშვნელობას მეცნიერებათა განვითარებისათვის, ლომონოსოვს მხედველობაში ჰქონდა თავისი ახალი „ჯანსაღი ფილოსოფია", რომელსაც უპირისპირებდა როგორც სქოლასტიკას, ისე ლაიბნიც-ვოლფის იდეალისტურ ფილოსოფიას. მკაცრად აკრიტიკებდა რა ლაიბნიც-ვოლფის იდეალისტურ ფილოსოფიას, მის თეოლოგიზტურ - მისტიკურ ხასიათს, იგი თანმიმდევრულად იცავდა მატერიალისტურ იდეებს ფილოსოფიაში. ფილოსოფოსმა კი არ უნდა გამოიგონოს იდეები, მიუთითებდა ლომონოსოვი, არამედ ისინი სინამდვილიდან უნდა აიღოს. მხოლოდ ასეთი ფილოსოფია არის ნამდვილად მეცნიერული და ღირსეული ფილოსოფია. ასევე მკაცრად აკრიტიკებდა ლომონოსოვი სქოლასტიკურ ფილოსოფიას, რომელსაც ბუნდოვანსა და მისტიკურს უწოდებდა და მოითხოვდა მის კრიტიკულ დაძლევას. ლომონოსოვი თვლიდა, რომ სქოლასტიკა იყო მთავარი დაბრკოლება ფილოსოფიისა და მეცნიერების შეერთების გზაზე და მოითხოვდა ფილოსოფიის განთავისუფლებას თეოლოგიისაგან, სქოლასტიკის მავნე გავლენისაგან.

მ. ვ. ლომონოსოვის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე ენისა და აზროვნების დამოკიდებულების, ენათმეცნიერების და ლოგიკის საკითხებს. დიდი რუსი ფილოსოფოსის აზრით, აზროვნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მატერიალური სამყაროს შემეცნებაში და ამიტომ განსაკუთრებული გულმოდგინებით იკვლევდა აზროვნების თვისებებს. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აზრს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შესაბამისი ენობრივი გარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა აზრის გამოთქმა ან სხვებისათვის მისი გაზიარება. ეყრდნობოდა რა ამ დებულებას, ლომონოსოვი ცდილობდა სისტემაში მოეყვანა და განევითარებინა ენა. მისი მოძღვრების მიხედვით, ყოველ ენას თავისი შინაგანი წყობა, სპეციფიკა ახასიათებს, რაც უპირველეს ყოვლისა გრამატიკულ წყობაში გამოიხა-

ტება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა ენის თავისებურების გადმოტანა და მისი მექანიკური გავრცელება მეორე ენაზე ეწინააღმდეგება ენის ბუნებას და არ ექვემდებარება მის გრამატიკულ წყობას, რაც თავის მხრივ ბუნდოვანს ხდის აზრს. სხვა ენიდან შეტანილი სიტყვებიც უნდა დაექვემდებარონ იმ ენის კანონზომიერებას, რომელშიც ისინი შეაქვთ, თუ არა, ეს სიტყვები მნიშვნელობას დაკარგავენ. იგი სიამაყით აღნიშნავდა რუსული ენის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას და შენიშნავდა, რომ ციცერონის ენამზეობა, ვირგილიუსისა და ოვიდიუსის შემოქმედების სიდიადე თავის ბრწყინვალებას არ კარგავს რუსულ ენაზე. რუსულ ენაზევე შეიძლება გადმოვიტანოთ ყველა ფილოსოფიური ცნება. რადგან მას ყველა საამისო საშუალება გააჩნია. მაშასადამე, დაასკვნიდა ლომონოსოვი, უნდა ვეცადოთ შემდგომ განვავითაროთ ჩვენი მშობლიური ენა და არ უნდა მივბაძოთ იმ მოაზროვნეებს, რომლებმაც მთელი ძალღონე სხვა ენების შესწავლასა და განვითარებას შეალიეს.

მ. ვ. ლომონოსოვმა არა მარტო თეორიულად დაასაბუთა ეს დებულება, არამედ პრაქტიკულადაც ცდილობდა მის გადაჭრას. მან შექმნა მჭევრმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო, რომელიც, უაღრესად საყურადღებო დებულებებს შეიცავს. მათი გაცნობა ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მაღლა იდგა ლომონოსოვი მის თანამედროვე ფილოსოფოსებზე ენისა და აზროვნების ურთიერთობის გაგების საკითხში. რიტორიკას იგი განიხილავდა როგორც მეცნიერებას, რომელიც ობიექტურ კანონებს ეყრდნობა. მისი აზრით, რიტორიკა სრულიადაც არ არის ფუჭი ხელოვნება — ლამაზად შეათანწყო სიტყვები წინადადების ან შინაარსის იგნორირების ხარჯზე. პირიქით, მჭევრმეტყველება მაშინ გაამართლებს თავისთავს, როცა იგი მშვენიერ ენობრივ ფორმაში გადმოსცემს ჭეშმარიტ აზრებს და არა მაშინ, როცა იგი ლამაზად შეაკავშირებს სიტყვებს. მაგრამ უშინაარსო გამოთქმებს შეიცავს. რიტორიკა, როგორც მეცნიერება, სწავლობს იმ აუცილებელ წესებს, რომელნიც გვიჩვენებენ გრძელ გზას მჭევრმეტყველებისაკენ. ეს წესები უნდა იყვნენ მოკლენი, მოწესრიგებულნი და მაგალითებით შეჯერებულნი.

ენისა და აზროვნების ერთიანობის ასეთ თვალსაზრისს ლომონოსოვი იცავს და ავითარებს თავის „მჭევრმეტყველების მოკლე სახელმძღვანელოშიც“ და „რიტორიკის მოკლე სახელმძღვანელოშიც“. თვით ის ფაქტი, რომ ამ ორ რიტორიკულ ტრაქტატში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ენის განვითარებას, აისახა ლოგიკის პრობლემები, იმას ნიშნავს, რომ ლომონოსოვი ენის საკითხებს იკვლევდა აზროვნების განვითარების პრობლემებთან კავშირში. მართლაც, შეუძლებელია ვეძებოთ ენის განვითარების კანონზომიერებანი აზროვნების განვითარების კანონზომიერებათაგან [illegible]

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ [illegible] აზროვნებას იკვლევდა მატერიალისტური გნოსეოლოგიის პრინციპების მიხედვით და სწორედ ამიტომ მის შეხედულებებს ლოგიკაზე საფუძვლად სწორედ ეს პრინციპები უდევს. ლომონოსოვის მიხედვით, აზროვნება ობიექტურ სამყაროს ასახავს და ამიტომ აზროვნების ყველა ფორმას — ცნებას, მსჯელობას, დასკვნას შინაარსად აქვს ასახული ობიექტური სინამდვილე და ამ უკანასკნელით განისაზღვრება. თუ რიტორიკა მოითხოვს აზრთა დასაბუთებულობას, ცხადია, რომ რიტორიკის ცოდნას დასაბუთების ცოდნა ესაჭიროება. დასაბუთებას კი ლოგიკა სწავლობს. მაშასადამე, ლოგიკასა და რიტორიკას ჰქონიათ შეხების კიდევ ერთი წერტილი. საინტერესოა აგრეთვე, რომ დასაბუთების მნიშვნელობის კვლევისას ლომონოსოვი განიხილავდა როგორც დედუქციას, ისე ინდუქციას, მაგრამ მათ ერთმანეთისაგან კი არ წყვეტდა, ან კი არ უპირისპირებდა ერთმანეთს, არამედ ორივე მიიჩნდა დასაბუთების საგანგებით კანონზომიერ სახედ და არა ერთმანეთის გამომრიცხველ მეთოდად. „დაკვირვებიდან შევქმნათ თეორია, თეორიიდან შევასწოროთ დაკვირვება“, წერდა ლომონოსოვი და ეს მეთოდი მიაჩნდა „სიმართლის მოძებნის ყველაზე საუკეთესო ხერხად“.

ლომონოსოვს უყვარდა ხელოვნება და თავისი ფენომენური ნიჭი ამ სფეროშიც გამოსცადა. იგი გატაცებული იყო ხელოვნების ისეთი ნიმუშების შექმნით, რომელნიც მახლობელი, გასაგები და გულში ჩამწვდომი იქნებოდა ხალხისათვის, მშრომელი ადამიანებისათვის. ლომონოსოვს ღრმად სწამდა, რომ ხელოვნების მხოლოდ ის ნაწარმოები გაუძღებს ისტორიის მკაცრ გამოცდას, რომელიც ხალხის გრძნობებსა და მისწრაფებებს გამოხატავს და ამით ხალხის გულში მარადიულ თავშესაფარს პოვებს. ლომონოსოვს სძულდა პრინციპი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და ცდილობდა მეცნიერება და ხელოვნება ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა. დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი წერდა, რომ „ლომონოსოვი რუსული პოეზიის პირველი ფუძემდებელი და რუსეთის პირველი პოეტი იყო“, რომ არა სხვა ვინმემ, არამედ სწორედ ლომონოსოვმა მიაგნო რუსული ლექსის სწორ ზომას თავის პირველსავე ოდაში. ბელინსკის თქმით, ლომონოსოვი, როგორც პოეტი, „დაჯილდოებული იყო საგრძნობი ნიჭით“ და „დერჟავინამდე ლომონოსოვს მოქიშპე არავინ ჰყავდა“. ამ მხრივ მას ვერ შეედრებოდნენ ვერც სუმაროკოვი, ვერც ხერასკოვი და ლომონოსოვის ვერც სხვა თანამედროვე პოეტი. „მათთან შედარებით, — აღნიშნავდა

დიდი რუსი კრიტიკოსი, — ლომონოსოვის ენა წმინდა და კეთილშობილურია, სტილი ზუსტი და ძალუმია, ლექსი აღსავსეა ბრწყინვალებითა და ალმაფრენით. ხოლო თუ ყველას ლომონოსოვის მსგავსად წერა არ შეეძლო, მაშასადამე, საჭირო ყოფილა ტალანტი იმისათვის, რომ ისე სწერო, როგორადაც იგი წერდა" (ბ. ბელინსკი, „თხზულებანი", ტ. I, 1957 წ., გვ. 16-17). აღსანიშნავია, რომ ლომონოსოვმა პირველმა სცადა პოეზია გამოეყენებინა მეცნიერული ცოდნის გავრცელებისა და დანერგვისათვის ხალხის საქმიანობაში.

მ. ვ. ლომონოსოვი თავისი დროის დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო. იგი არეს მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ჩვენი ქვეყნის ეს უდიდესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება სავსებით დამსახურებულად ატარებს მის სახელს.

განუზომელი და დიდია მ. ვ. ლომონოსოვის ღვაწლი და ამაგი რუსული და მსოფლიო კულტურის განვითარების კეთილშობილურ საქმეში. სწორედ ამიტომ მას, დიდ მოაზროვნესა და შემოქმედს, არასოდეს დაივიწყებს განათლებული კაცობრიობა.

კოტე ბოლქვაძე.

დიდი ქართველი პროზაიკოსი

მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი მიხეილ ჯავახიშვილი ქართული პროზის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია. მან განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ისტორიულ-სოციალური რომანის ბრწყინვალე რეალისტური ტრადიციები, რომელთა სათავეები შორეულ საუკუნეებში იკარგება.

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1880 წლის 8 ნოემბერს სოფ. წერაქვში. საბა ქიზიყელი იყო, მაგრამ გადასახლდა სოფ. სიონში, სადაც სამოთახიანი ქვიტკირის სახლი აიგო. მომავალმა მწერალმა დაწყებითი განათლება ძიღო ლორეში, რუსულ სასოფლო სკოლაში. მამის სურვილი იყო შვილს სამეურნეო განათლება მიეღო და ამიტომ ცამეტი წლის მიხეილი წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიაბარა. რუსულ სკოლაში თითქმის გადავიწყებული ქართული ენა აქ ისევ გაიხსენა. შემდეგ მიხეილი სწავლობდა იალტის (ყირიმი) სამეურნეო სასწავლებელში. ამ დროს დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ პოეზიას დიდხანს არ გაჰყოლია. პროზა ამჯობინა.

1899 წელს საბა ჯავახიშვილის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა: თავს დაესხა სოფლის ახალგაზრდების ჯგუფი მწერლის უფროსი დის (16 წლის სოფიოს) მოსატაცებლად და გაძალიანების გამო ერთდროულად მოუკლავთ და, დედა და მოჯამაგირე. ერთი წლის შემდეგ, 1900 წელს, განცდილი უბედურების შედეგად საბაც გარდაიცვალა. მ. ჯავახიშვილი იძულებული გახდა სკოლისათვის თავი დაენებებინა და დაქცეული ოჯახის ფეხზე წამოყენება ეცადა. ამ მიზნით სამსახური დაიწყო ალავერდის სპილენძის ქარხანაში, რომელიც ფრანგ კომერსანტებს ეკუთვნოდათ. მათგან ისწავლა მომავალმა დიდმა მწერალმა ფრანგული ენა, რომელიც ჩინებულად გამოიყენა თავის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

1903 წელს მიხეილ ჯავახიშვილი უკვე თბილისშია და თითქმის მთლიანად მიეცა ლიტერატურულ მუშაობას. მისი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა" დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში", რომლის მუდმივი თანამშრომელიც გახდა იგი შემდეგში. აქედან მიხეილ ჯავახიშვილი გადავიდა „ივერიაში", სადაც ათავსებდა მოთხრობებს, სამხედრო მიმოხილვებს, ადგენდა ქრონიკებს და სხვ. სულ ამ პერიოდში მან ადამიშვილის ფსევდონიმით გამოაქვეყნა რვა მოთხრობა, რომლებმაც იმთავითვე მიიპყრეს მკითხველთა და კრიტიკოსთა ყურადღება.

1906 წელს მიხეილ ჯავახიშვილი რედაქტორობდა გაზეთ „გლეხს". მეფის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული წერილების გამო ეს გაზეთი ძალე დახურეს, ხოლო რედაქტორი პასუხისგებაში მისცეს. მწერალმა სასჯელს თავი დააღწია საზღვარგარეთ გაქცევით. უცხოეთში ყოფნისას იგი ლექციებს ისმენდა პარიზში. 1909 წელს მიხეილ ჯავახიშვილი სხვისი პასპორტით დაბრუნდა სამშობლოში და თანამშრომლობა დაიწყო ჟურნალ „ერში". მებრძოლი წერილების გამო ეს ჟურნალიც აკრძალეს და მიხეილ ჯავახიშვილი დაუპატიმრეს, მეტეხის ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ხუთი წლით გადასახლეს როსტოვში, სადაც სამსახური დაიწყო დამზღვევ საზოგადოებაში.

1912 წელს მ. ჯავახიშვილი დაინიშნა დამზღვევი საზოგადოების რწმუნებულად ამიერკავკასიაში, მსახურობდა წითელი ჯვრის საზოგადოებაში, სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, შემდეგ იყო სპარსეთში, სადაც 1918 წლამდე დარჩა. ამ დროს მან შემოიარა სპარსეთის

ბევრი პროვინცია და ოსმალეთის რამდენიმე ვილაიეთი.

1918 წელს მ. ჯავახიშვილი თბილისში დაბრუნდა და მსახურობდა სავაჭრო-სამრეწველო პალატაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა ჯერ მიწათმოქმედების კომისარიატსა, ხოლო მერე ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სისტემაში (ფინგანის გამგედ).

1923 წელს მიხეილ ჯავახიშვილი საბოლოოდ დაუბრუნდა მწერლობას და სიკვდილამდე კალამი ხელიდან აღარ გაუშვია. 1923-1937 წლებში მან ზედიზედ გამოაქვეყნა ოცზე მეტი მოთხრობა და ექვსი რომანი. ეს იყო მწერლის ცხოვრებაში უაღრესად ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის პერიოდი. მისი სახელი შორს გასცდა საქართველოს. მ. ჯავახიშვილის მოთხრობები ითარგმნა როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა, ისე საზღვარგარეთულ ენებზეც. დროდადრო მწერალი თავად ეწეოდა მთარგმნელობითს მუშაობას. თარგმნიდა რუსული და უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მათ შორის ჩეხოვის, სენკევიჩისა და მოპასანის მთელ რიგ რჩეულ ნაწარმოებებს.

მწერლის ბელეტრისტული ნიჭი განსაკუთრებით გაბრწყინდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე, სადაც სიკვდილის უკანასკნელ დღეებამდე ზედიზედ აქვეყნებდა თავის შედევრებს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ბევრი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია. საზოგადოებრივი ცხოვრება, ეკონომიკა, პოლიტიკა, ისტორია, რევოლუცია, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, ესთეტიკა, ენა — აი საკითხების წყება, ასახული მის წერილებში, რომელნიც 1903 წლიდან მოკიდებული იბეჭდებოდა ჩვენს პერიოდიკაში.

მ. ჯავახიშვილი წერდა სხვადასხვა ფსევდონიმით: ა-ლი, ალი, მალი, მადლი, მ_ა-ლი, მ. ად-ლი და, ბოლოს, ადამიშვილი (ადამი მწერლის პაპას ჰქვიოდა).

ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობასთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საქართველოს მწერალთა გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, სალიტერატურო ენის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, რუსთველისა და ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტების წევრი. 1931 წელს დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

მიხეილ ჯავახიშვილის ასეთი ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა შემთხვევითი როდი იყო, რადგან მხატვრული სიტყვა, ლიტერატურა და ხელოვნება დიდ საქვეყნო საქმედ მიაჩნდა, დიდ „სოციალურ საქმიანობად“, ხოლო მწერალი, მისივე სიტყვით, „პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურეა ერისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი მთელი თავისი შემოქმედებითი ტრადიციებით მჭიდროდ დაკავშირებული იყო XIX საუკუნის რეალისტური ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებს: ილია ჭავჭავაძეს, გიორგი წერეთელს, დავით კლდიაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს და სხვ. „მხატვრული სიტყვა, მისი ჩასახვის პირველივე დღიდან უმთავრესად რეალისტური იყო — ამ ცნების უღრმესი და უფართოესი მნიშვნელობით. ასეთია იგი დღესაც და ასეთივე დარჩება მომავალშიაც“, წერდა იგი სტატიაში „ლიტერატურული განცხადება“.

როგორც ჭეშმარიტი რეალისტი, იგი დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა თავის პროფესიულ საქმიანობას და სავალდებულო მტკიცე წესად ჰქონდა დადგენილი: ვიდრე კალამს ხელში აიღებდა, მეცნიერის სიბეჯითით მუშაობდა ნედლ მასალაზე, აგროვებდა საჭირო ცნობებს, უშუალოდ ეცნობოდა კონკრეტულ სინამდვილეს, რათა რაც შეიძლება სრულყოფილი ტილოები დაეხატა. ამის ცოცხალი ილუსტრაციაა „ლამბალო და ყაშა“, „თეთრი საყელო“, „ჯაყოს ხიზნები“, „კეკეჩი კვაკანტირაძე“, „არსენა მარაბდელი“ და სხვანი, სადაც უამრავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციალურ-ყოფითი რეალიებია გადმოცემული.

შემოქმედების პირველ პერიოდში მ. ჯავახიშვილი უმთავრესად იყო ე. წ. „ცხოვრების ფსკერის“, უბრალო ადამიანთა მხატვარი. ჩვენს წინაშე მკაცრი სინამდვილით დაბეჩავებული, გასრესილი ადამიანების ხასიათების მთელი გალერეა წარმოადგინა მწერალმა ჩანჩურას, კურკას, ევას, უპატრონო ნუცას, მეჩექმე გაბოსა და სხვათა სახით.

შემოქმედების მომდევნო, მეორე პერიოდში მწერალი გადადის ფართო ტილოებზე და გვაძლევს სრულფასეულ, ტიპიურ სურათსახეებს, მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“, რომლებიც ჭეშმარიტად საეტაპო ნიმუშებია ქართული სოციალური რომანის ისტორიაში.

ცნობილია, როგორი დიდი გამოხმაურება ხვდა წილად თავის დროზე „ჯაყოს ხიზნებს“. იგი უმალვე აიტაცა მკითხველმა საზოგადოებამ და ფართო დისკუსიის საგანი გახდა. მიუხედავად ამისა, ავტორის იდეური ჩანაფიქრი, ჩვენი აზრით, დღემდე მაინც არაა სათანადოდ შეცნობილი ამ საინტერესო გააზრების მხატვრულ ქსოვილში.

მწერლის შემოქმედების ნამდვილი მწვერვალია „არსენა მარაბდელი“. ეს უბრწყინვალესი ეპოპეა ჩვენი ქვეყნის გლეხთა მოძრაობისა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ავტორი მასზე წლობით მუშაობდა და დიდძალი ფაქტიური მასალა შეაგროვა (წერილობითი და ფოლკლორული), საკუთარი ფეხით შემოიარა

ის ადგილები, სადაც კი ოძელაშვილი და მისი თანამებრძოლნი ყოფილან, გამოკითხა ურიცხვი ადამიანი, რომლებიც რაიმე მხრით კი უკავშირდებოდნენ მარაბდელს. აი, ასეთი დაძაბული შრომის შედეგად დახატა მწერალმა ჩვენი ხალხის საყვარელი შვილი, რომელიც მადლიერმა ხალხმა ჯერ კიდევ „არსენას ლექსით" უკვდავყო.

„არსენა მარაბდელის" გვერდით შეიძლება თამამად დავაყენოთ მწერლის უკანასკნელი რომანი „ქალის ტვირთი", რომელიც შესანიშნავად, დიდი მხატვრული ძალით ასახავს 1905 წლის რევოლუციის ეპოქას, მაშინდელ სოციალურ ძალებს, პარტიებს და თითქმის ყველა კლასის წარმომადგენლებს.

მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის აგრეთვე ცნობილი რომანები „კვაჭი კვაჭანტირაძე", „თეთრი საყელო" და „გივი შადური".

რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე" ტიპიური საათვგადასაელო-ავანტიურისტული ნაწარმოებია. იგი აგებულია ქართული სინამდვილის მასალაზე. კვაჭი ქართველია, მაგრამ იმავდროულად უაღრესად ზოგადი ტიპიცაა, რომლის ანალოგიური გარკვეულ ეტაპზე სხვა ერის ცხოვრებაშიც მოიპოვება.

ღრმა იდეურობასთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში გვაცვიფრებს მაღალი მხატვრული დონე. როდესაც მის მხატვრულ ნაწარმოებს ვკითხულობთ, არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს სახე-ხასიათებისა და ფაქტების ნამდვილობამ, რეალობამ. შეიძლება კიდევაც დავეეჭვდეთ: ფაქტები და მოვლენები ნამდვილად ხომ არ მომხდარა? რა თქმა უნდა, მხატვრულ ნაწარმოებში მთავარია არა ის, ასახული ფაქტი თუ მოვლენა ნამდვილად მოხდა ემპირიულ სინამდვილეში თუ არა, არამედ კანონზომიერია თუ არა იგი, ხომ არ ეწინააღმდეგება ისტორიას, ბუნებისმეტყველებას, ლოგიკას, საერთოდ სინამდვილეს... ჯავახიშვილის მოთხრობა-რომანებში სწორედ ისეთი სცენა-სიტუაციაა წარმოდგენილი, რომელიც, შესაძლოა, არ მომხდარა სინამდვილეში, მაგრამ შეიძლება კი ნამდვილად მომხდარიყო ან მოხდეს.

გარდა ცხოვრებისეული სიმართლისა, მკითხველს ხიბლავს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა-რომანების მკაფიოდ გამოკვეთილი სურათ-სახეები, პერსონაჟები, ბუნების სურათები. ასევე მომხიბლავია და მიმტაცი მისი მხატვრული ნაწარმოებების უაღრესად ნატიფი აგებულება, კომპოზიცია, სურათების თანამიმდევრობა, ბუნებრიობა, ლაღი ექსპოზიცია, გემოვნებით შეკრული ნასკვი თუ მოხდენილი ფინალი. საოცრად მიმზიდველია აგრეთვე საღებავებისა და ფერების სიცხოველე და სიუხვე, ფიგურებითა და ტროპებით მდიდარი ენა და დაწურული, ლაპიდარული სტილი, მოკვეთილი სიტყვა-თქმები.

აი ესოდენ დიდი მხატვარი, დიდი მოქალაქე იყო მიხეილ ჯავახიშვილი და მით უფრო დასანანია მისი ნაადრევი დაღუპვა. ვინ იცის, კიდევ რამდენი შედევრით გაამდიდრებდა იგი ჩვენს მშობლიურ ლიტერატურას, ამ უნიჭიერეს ბელეტრისტს სიცოცხლე რომ დასცლოდა, მაგრამ იმითაც, რის შექმნაც მოასწრო, მიხეილ ჯავახიშვილმა ხელოვნებმცოდნე ძეგლი აიგო ქართველი ხალხის გულში და მშობელი ერი მუდამ სიყვარულითა და კრძალვით მოიხსენიებს მის ნათელ ხსოვნას.

კარპეზ ლონაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ზაქარია ჭიჭინაძე აჭარაში

ზ. ჭიჭინაძის გარდაცვალების ოცდაათი წლისთავის გამო

ზაქარია ეგნატეს-ძე ჭიჭინაძე ცნობილი ქართველი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი მრავალი წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ქართული წიგნის გავრცელების, ქართული კულტურის განვითარების დიდ ეროვნულ საქმეს და მთელი ხალხის სიყვარული მოიხვეჭა.

განსაკუთრებით ფასდაუდებელია ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი და ამაგი ჩვენი მშობლიური კუთხის — აჭარის მშრომელთა წინაშე. იგი ერთი იმ მრავალ ქართველ მოღვაწეთაგანი იყო, რომლებსაც თავიანთ უპირველეს პატრიოტულ საქმედ მიაჩნდათ დედა-საქართველოსთან ახლად შეერთებული აჭარის ეკონომიური მოღონიერება და კულტურული დაწინაურება. დიდი ილიას მეთაურობით ქართველი საზოგადოებრიობა არაფერს არ იშურებდა აჭარისათვის და ყოველნაირად ეხმარებოდა მას, რითაც კი შეეძლო.

საქართველოსთან აჭარის კვლავ შეერთებისთანავე ზაქარია ჭიჭინაძემ მიზნად დაისახა ჩვენი სამშობლოს ამ უძველეს კუთხეში ფართოდ გაევრცელებინა ქართული წერა-კითხვა, ქართული წიგნი და ამით ხელი შეეწყო აჭარელთა

ეროვნული გათვითცნობიერებისათვის, მიმქრალი ეროვნული გრძნობის გაღვივებისათვის, აჭარა არასოდეს დაივიწყებს, რომ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და სიძნელისა, ზაქარია ჭიჭინაძემ პირველმა შემოიტანა ჩვენს კუთხეში ქართული წიგნი და შეაყვარა იგი მოსახლეობას.

თავისი მიზანი რომ სწრაფად განეხორციელებინა და ხოჯა-მოლების გული მოეგო, ზაქარია ჭიჭინაძე მეჩეთშიც კი დადიოდა და ლოცულობდა. ერთ-ერთ წერილში ამის თაობაზე ზაქარია წერდა: როცა შევატყვე, რომ ქართველმა მოლებმა ეჭვის თვალით შეხედეს ჩემს განზრახვას, გამევრცელებინა აჭარელთა შორის ქართული წიგნებიო, „მე მათ უახლოვდებოდი ყველა სოფელში, საუბარს ვაბამდი მათთან. ვისწავლე მათებური ლოცვებიც. ესენი ჩავიწერე კიდეც. თვით მეც დავდიოდი მეჩეთებში და მათებურად ვლოცულობდი. ამ საქციელმა მე დიდი ნდობა გამიკეთა მათ წინაშე. თავისუფლად შესაუბრებოდნენ ყველა მათ საქმეზე. აქა-იქ მეჩეთში თავისუფლად მაძლევდნენ შესვლის ნებას. ყველა ამაებით ვისარგებლე მე და ქართული წიგნების დარიგება და კითხვა თავისუფლად დავიწყე“.

ასეთმა მონდომებამ მალე უხვი ნაყოფი გამოიღო. ხალხი დაეწაფა ქართულ წიგნებსა და წერა-კითხვას. უკვე 1891 წელს ზაქარია ჭიჭინაძე სტატიაში „ქართველ მაჰმადიანებში პირველად ქართული წიგნების მიტანისა და მათგან მიღებული ამბები“, აღწერდა რა ქობულეთის მდგომარეობას, წერდა: „შარშან... ამ საქმეს ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა, ხოჯამ წინააღმდეგი ლაპარაკიც დაიწყო, მაგრამ მალე დარწმუნდნენ საქმის უვნებლობას და წიგნების შეძენა დაიწყეს“; თუმცა „შარშან ამათში იშვიათად შეხვდებოდით ქართული კითხვის მცოდნეს, წელს კი ეს ასე არ არის. შარშანდელი 2.000 წიგნი ისე მოფენილია ქობულეთის ხეობაზედ, რომ დღეს ქობულეთში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ქართულის მცოდნეს ქართველ მაჰმადიანებს, ნაშეტნავად ბავშვებს. ასე წარმოიდგინეთ ქალებსაც კი უსწავლიათ, მაინც ამათში ქალებმა უფრო იციან ქართული წერა-კითხვა, ვიდრე კაცებმა.

ამ პატარა ამონაწერიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ უხაროდა ზაქარიას, აჭარელთა შორის თანდათან მტკიცედ რომ იკიდებდა ფეხს ქართული წიგნი. წარმატებით აღფრთოვანებული იგი დაუზარებლად დადიოდა სოფლიდან სოფელში და ყველგან მიქონდა კეთილი გული, მართალი ქართული სიტყვა და ქართული წიგნი.

1893 წლის იელისში ზ. ჭიჭინაძემ მაჭახლის ხეობა მოიარა და გულისტკივილით იუწყებოდა: „მთელს მაჭახელში... მე ერთი კაცი ვერ ვნახე ქართული კითხვა სცოდნოდა“. ამიტომ მსურველთათვის ქართული ან-ბანის სწავლებაც დაუწყებინებია. ერთი წლის შემდეგ ზაქარიას უკვე შემოველილი ჰქონდა მთელი აჭარა, ზაური მწიგნობარის ავტორიტეტი და გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. მოსახლეობა მას ყველგან დიდი სიყვარულით ხვდებოდა. ქართული გაზეთები ამ ფაქტს ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ. ასე, მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ სიტყვით, სოფელ ეფრატის მამასახლისს ტყიბორიძეს ზაქარიასათვის უთქვამს: „ძლიერ გამიხარდა მე და დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენ აქაც ამოხვედით. იმედია, რომ დღეის შემდეგ ხშირად გნახავთ და ქართულ წერა-კითხვას გვასწავლით“ („ივერია“, № 195, 1893 წ.).

აი კიდევ ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი. ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს: „აჭარაში მე გამეცნო ჰასან ეფენდი ციციშვილი. მას ჩემი გაცნობა ესიამოვნა მით უფრო, რომ გაეგო, ქართული წიგნები მქონდა... ბათუმიდან ქედამდის წამომყვა და გზაში ბევრი რამ საინტერესო ამბები მიამბო ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. წიგნების გავრცელებაში დიდი დახმარება აღმომიჩინა მან. სულ იმას ნატრობდა: ჩვენს დაცემულ მხარესაც ეშველოს რამე, სწავლა-განათლება შემოვიდეს. ჩვენ მოძმე ქართველების იმედი გვაქვს, თორემ სხვა ვინ გვიშველის. ჰასან ეფენდის ძლიერ ეწყინებოდა ხოლმე, რომ ეთქვათ: შენ თათარი ხარ! სამაგიეროდ კი იგი მიუგებდა: მე თათარი რაში ვიქნები, სრულით მაჰმადიანი ვარ და ტომით (ე. ი. ეროვნებით — ვ. მ.) ქართველიო“.

ზაქარია ჭიჭინაძე კარგად იცნობდა ამ კუთხის მოწინავე ადამიანებს ა. მიქელაძეს, გ. კიკაციშვილს, დედე-აღა ნიკარაძეს, რომლებთანაც მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ჰ. ციციშვილი ზაქარიას სთხოვდა წიგნებს და ამავე დროს სიხარულით აცნობებდა: აჭარაში „ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა“ და „უფრო მეტი ისწავლის თუ ხელს შეუწყობთო“. ჰ. ციციშვილი ზ. ჭიჭინაძეს მართებულად არწმუნებდა, რომ რაკი აქამდე მივაღწიეთ და დედა ენა არ დავკარგეთ, ახლა ადვილად შეეერთდებით სულითა და გულითაო („ზაქარია ჭიჭინაძე“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემა, 1922 წ.).

აჭარის მოსახლეობის მადლიერ გრძნობებს ზ. ჭიჭინაძისადმი ხაზგასმით აღნიშნავდა თედო სახოკიაც, რომელმაც აჭარაში იმოგზაურა. თავის ნარკვევში ამის შესახებ იგი წერდა: როცა 1896 წლის ზაფხულში აჭარას „მეც ვეწვიე სტუმრად, არა ერთგან და ორგან შემხვდა ბ-ნი ზ. ჭიჭინაძის დატოვებული საქმეები, რომელშიაც ქართული ასოებით არაბული ლოცვები და ქართული ლექსები იყო ჩართული. ამ ლოცვებისა და ლექსების ხალისით ქართული ანბანი უსწავლიათ და მადლიერი გრძნობით იგო-

ნებენ ამ წიგნაკების დამრიგებელს... როგორც ესენი ეძახიან „ზაქარია ეფენდის...“ ე. ი. სწავლულ ზაქარიას...“ („მოგზაურობანი“, 1950 წ., გვ. 188).

ზ. ჭიჭინაძის ეროვნულ შრომას აჭარის მოსახლეობასთან ერთად დიდად აფასებდა მთელი მოწინავე ქართველობა. ჯერ კიდევ 1896 წელს „საქართველოს კალენდარი“ წერდა: „ეს ოთხი წელიწადია ზ. ჭიჭინაძემ მოგზაურობა დაიწყო აჭარაში, რათა მანდაური მაჰმადიანი ქართველის ცხოვრება და მდგომარეობა გაგვაცნოს დანარჩენ ქართველობას... დიდი შნო, დიდი უნარი, დიდი ოსტატობა გამოიჩინა ამ მოგზაურობაში და მათთან ისე დაშინაურდა, რომ ქართული წერა-კითხვა შეასწავლა, შეაგნებინა, რომ ისინიც ქართველები არიან“ („საქართველოს კალენდარი“, 1896 წ., გვ. 122-129).

ასე ეყრებოდა საფუძველი ე. წ. საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს დაახლოებასა და საქართველოს ერთიანობის აღდგენას. ამ ეროვნული და დიდი პატრიოტული საქმის ერთ-ერთი უპირველესი მქადაგებელი ზაქარია ჭიჭინაძე იყო. მაგრამ არც ბნელ ძალებს, უპირველეს ყოვლისა კი თურქოფილ ხოჯა-მოლებს ეძინათ. მათი წინააღმდეგობის გამო 1896 წლის შემდეგ ზ. ჭიჭინაძე იძულებული გახდა დროებით თავი მიენებებინა სამაჰმადიანო საქართველოში მოგზაურობისათვის. მაგრამ ალალი გული მაინც აქეთკენ მოუწევდა... და 1905 წ. კვლავ საგანგებოდ სწვევია აჭარას. მოგზაურს „მოულოდნელად სურათი“ შეცვლილი დახვედრია, ცხოვრება მისი გზით წასულა და ცოტათი მაინც ხალხი ფანატიკოსობიდან გამოსულან, თვალი გაუხელიათ, ქართული წიგნების კითხვაც დაუწყიათ“. ამ წარმატებების გამო იგი კმაყოფილებით შენიშნავდა: „მადლობა ღმერთს, რომ ამასაც მოვესწარით, გულდაწყვეტილთ მოგვცა იმედი ჩვენი მოძმეების დიდ ხნის დაძინების შემდეგ განღვიძებისა“ (ცსსა, ფ. 481. ს. 100, ფურც. 75).

1908 წლის ოქტომბერში ჩვენი კუთხის მოამაგე კვლავ აჭარაშია და თავის საყვარელ საქმეს განაგრძობს.

1913 წელს სტატიაში „აჭარა განახლდა“ ზ. ჭიჭინაძე გულდამშვიდებით წერდა: „რაც ხანი გადის, მით აჭარა ცოტ-ცოტა წარმატებებს ეძლევა“.

გარდა იმისა, რომ აჭარაში [illegible] მოგზაურობდა და ავრცელებდა [illegible] ზ. ჭიჭინაძემ სხვა მხრივაც დიდი ამაგი დასდო ჩვენს კუთხეს. მან შეკრიბა და ჩაიწერა მრავალფეროვანი აჭარული ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები, ანდაზები, საისტორიო და სხვა სახის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ეცნობოდა ხალხის ყოფაცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას. ყველა ეს მრავალფეროვანი მასალა დიდმა მწიგნობარმა მკითხველ საზოგადოებას „ივერიისა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გააცნო. ამავე დროს იგი უხვად გამოიყენა სხვადასხვა ნაშრომსა და მონოგრაფიებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზ. ჭიჭინაძე კიდევ უფრო მხნედ და ახალი ენერგიით ჩაება ხალხის საკეთილდღეო საქმიანობაში.

საქართველოს სსრ მთავრობამ გაითვალისწინა ზ. ჭიჭინაძის დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე და ღვაწლმოსილ მწიგნობარს 1922 წელს ზეიმით გადაუხადეს მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

საქართველოს მწერალთა კავშირმა თავის საიუბილეო ადრესში ზ. ჭიჭინაძის იუბილეს „ქართული წიგნის დღესასწაული“ უწოდა, ხოლო თვით ზაქარიას — „რაინდი ქართული წიგნისა“.

სახელოვანი მწიგნობარის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: საქართველოს სოციალისტური ინტელიგენცია, ეანურჩეველად ეროვნებისა და მიმართულებისა, დიდი მადლიერი უნდა იყოს ზაქარია ჭიჭინაძის, ვინაიდან ის ერთადერთი ბუკინისტი იყო, რომელთანაც თითქმის მუქთად იშოვებოდა ყოველნაირი სოციალისტური ლეგალური და არალეგალური ლიტერატურა (გაზ. „კომუნისტი“, № 114. 1922 წ.).

მთელი საქართველოსა და აჭარის უანგარო და თავდადებული მოამაგე ზაქარია ეგნატეს-ძე ჭიჭინაძე გარდაიცვალა 1931 წლის 27 დეკემბერს სამოცდაჩვიდმეტი წლისა. დაკრძალულია მთაწმინდის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში.

ვლ. მგელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე ჯორბენაძე

საზღვარგარეთული მწერლობა ომისა და მშვიდობის შესახებ

„თანამედროვეობის ძირითადი საკითხი ომისა და მშვიდობის საკითხია... კომუნიზმის ისტორიული მისიაა მოსპოს ომები, დაამკვიდროს დედამიწაზე მარადიული მშვიდობა".

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან)

ომისა და მშვიდობის საკითხი უძველესი დროიდან იპყრობდა ადამიანთა ყურადღებას და ღრმა ჰუმანიზმით გამსჭვალული მხატვრული ლიტერატურაც მუდამ დიდ ადგილს უთმობდა მას. თვალი გადავავლოთ ყველა, დიდი თუ პატარა, ხალხის ზეპირსიტყვიერებას, გავიხსენოთ ხალხთა საუკუნეობრივი ნატვრა მშვიდობიანი ცხოვრებისა. უძველესი კლასიკური ლიტერატურიდან საკმარისია დავასახელოთ ბერძენი კომედიოგრაფის არისტოფანეს კომედიები „აქარნელები", „ზავი" და „ლისიტრატე", რომელთაც მშვიდობისათვის ბრძოლაში დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ძალა.

სისხლისმღვრელი ომებისა და ხალხთა მტრობის წინააღმდეგ მკაცრად ილაშქრებდა რომაელი ფილოსოფოსი სენეკაც. თავის ტრაქტატში „მრისხანების შესახებ" იგი წერდა:

„დაე სხეულის ყველა წევრი იყოს ურთიერთ თანხმობაში, რამდენადაც ცალკეულ ნაწილთა შენარჩუნება მთლიანობის შენარჩუნების საწინდარია. ადამიანებმა უნდა დაინდონ ერთმანეთი, რამდენადაც ისინი დაბადებული არიან ურთიერთობისათვის, რამდენადაც საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს სხვაგვარად, თუ არა ურთიერთსიყვარულითა და ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა დაცვით".

ძველბერძნული და რომაული კულტურის ნაგრეგებზე აღმოცენებული ახალი დროის ლიტერატურაში აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ომისა და მშვიდობის თემამ. აღორძინების ეპოქის გამოჩენილი მწერლები, დიდი ჰუმანისტები, რომლებიც დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდნენ თეოლოგიასა და სქოლასტიკასთან, ასკეტიზმსა და მისტიციზმთან, ბნელეთის მოციქულობის ყველა გამოვლინებასთან, დაუნდობლად ამათრახებდნენ დამპყრობლურ, მძარცველურ, ძმათამჭეტ ომებს. ერაზმ როტერდამელის „ქება სისულელისა", ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი", სერვანტესის „დონ-კიხოტი", რომელშიც გენიალურმა მწერალმა მწვავედ დასცინა რაინდულ იდეალებს და საჯაროდ გაკიცხა დამპყრობლური, კოლონიური ომები, შექსპირის ტრაგედიები, რომლებიც მიმართულია ძალმომრეობის, ფეოდალური არეულობისა და სისხლისმღვრელი ძმათაშორისი ომების წინააღმდეგ, ყველთრად გამოხატავდნენ იმ მძაფრ სიძულვილს უსამართლო ომებისადმი, რაც ასე დამახასიათებელი იყო იმ დროისათვის.

კიდევ უფრო მაღლა აღმართეს ჰუმანიზმის დროშა განმანათლებლებმა, რომელთაც მრისხანედ აღიმაღლეს ხმა სისხლისმღვრელი ყაჩაღური ომების წინააღმდეგ. ომებისა და მათი შედეგის საშინელი სურათები დაგვიხატეს თავიანთ ნაწარმოებებში ვოლტერმა და მონტესკიემ, სვიფტმა და სმოლეტმა, შილერმა და გოეთემ.

„რა საშინელი რამ არის ომი, — წერდა გერმანელი განმანათლებელი ლესინგი თავის მეგობარს, მ. მენდელსონს შვიდწლიანი ომის დროს, — გაიკეთეთ რამე, რომ მალე დადგეს მშვიდობა, ან დამისახელეთ რომელიმე ადგილი, სადაც არ გავიგონებდი უბედურთა ყვირილს“.

„ომი ხანდახან შეიძლება იყოს ადამიანის ვალდებულება, მაგრამ იგი არასოდეს არ უნდა იქცეს მის პროფესიად. ყველა უნდა გახდეს ჯარისკაცი, როცა საჭიროა თავისუფლების დაცვა, მაგრამ არავის არა აქვს უფლება წაართვას თავისუფლება სხვას“, — წერდა ჟან-ჟაკ რუსო.

როცა ვოლტერს შეეკითხნენ, ვინ უფრო დიდია, იულიუს კეისარი, ალექსანდრე მაკედონელი თუ ჩინგის-ხანი, დიდმა ფრანგმა განმანათლებელმა და ჰუმანისტმა ამაყად უპასუხა:

„ისაკ ნიუტონი, რადგანაც ისინი მხოლოდ ანგრევდნენ, ხოლო დიდი ნიუტონი ქმნიდა, აშენებდა, კეისარი და ალექსანდრე მაკედონელი ბარბაროსობის პირმშონი იყვნენ, ხოლო ნიუტონი — ცივილიზაციისა“.

„ყოველი ადამიანი, ვინც კი შეძლებს თავის პერის ყანაში ერთი თავთავის ნაცვლად ორი თავთავი მოიყვანოს, კაცობრიობასა და თავის სამშობლოს უფრო დიდ სამსახურს გაუწევს, ვიდრე ყველა პოლიტიკოსი ერთად აღებული“, — ამბობდა ევროპის სისხლიანი ომებით აღშფოთებული გმირი სვიფტის რომანისა „გულივერის მოგზაურობა“.

ომისა და მშვიდობის პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ თემად იქცა XIX საუკუნის ლიტერატურაშიც. მაგრამ ეს პრობლემა საზღვარგარეთულ ლიტერატურაში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გადიტანა ორი ისეთი დიდი უბედურება, როგორიც იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომი.

თუმცა ბევრი გამოჩენილი საზღვარგარეთელი მწერალი გრძნობდა პირველი მსოფლიო ომის მოახლოებას და კიდევაც აფრთხილებდა ხალხებს მოსალოდნელი უბედურებისაგან, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე მწერლების დიდი ნაწილი მაინც დაბნეული შეხვდა პირველ მსოფლიო ომს, კიდევ მეტი, ზოგიერთი მათგანი თვითონ მოექცა შოვინისტური იდეოლოგიის გავლენაში, თუმცა ომის შემდგომმა მსვლელობამ გამოაფხიზლა ისინი და აუმხედრდნენ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტას.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი, მიუხედავად წუთიერი შოვინისტური გატაცებისა, მუდამ იმპერიალისტური, დამპყრობლური ომების დაუნდობელი მამხილებელი იყო. ომების თავიდან აცილებასა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას იგი უკავშირებდა სოციალიზმის გამარჯვებას. ჯერ კიდევ 1905 წლის 12 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში დიდი ფრანგი მწერალი ამბობდა:

„მიუხედავად ყველა კარსმომდგარი საფრთხისა, ჩვენ მტკიცედ გვწამს მომავალში საყოველთაო მშვიდობის დამყარება. ეს არც ოცნებაა და არც მხოლოდ კეთილი სურვილი: ჩვენი მტკიცების სისწორეს ადასტურებენ საზოგადოებრივ მეცნიერების დაკვირვების შედეგები, ისტორიული ანალიზის დასკვნები“.

ომისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დიდმა ინგლისელმა დრამატურგმა ბერნარდ შოუმ გამოხატა 1914 წელს გამოქვეყნებულ პამფლეტში „ომი ჯანსაღი თვალსაზრისით“. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ომის გაჩაღებაში ბრალს დებდა არა მარტო გერმანელ, არამედ ინგლისელ იმპერიალისტებსაც და ორივე მხარის მებრძოლ ჯარისკაცებს მოუწოდებდა ამოეხოცათ თავიანთი ოფიცრები და დაბრუნებულიყვნენ შინ.

სტატიაში „დასახოცად განწირულ ხალხებს“ (1916 წ.) გამოჩენილი ფრანგი მწერალი რომენ როლანი ამბობდა, რომ ომის მთავარი გამჩაღებლები კაპიტალისტები არიან, რომელთათვისაც ომს უდიდესი მოგება მოაქვს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა საზღვარგარეთელი მწერალი ომს გმობდა პაციფიზმის, აბსტრაქტული ჰუმანიზმის პოზიციებიდან.

პირველი მსოფლიო ომი მწარე გაკვეთილი აღმოჩნდა ფრონტზე მოხალისედ წასული ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსისათვის. საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ბარბიუსი პირველი მწერალი იყო, რომელმაც თავისი პირადი გამოცდილების, ნახულის და განცდილის საფუძველზე შექმნა მკვეთრად გამოხატული ანტიმილიტარისტული რომანი „ცეცხლი“ (1916 წ.). „ხალხები არაფერს არ წარმოადგენენ, ხოლო ისინი ყველაფერი უნდა იყვნენ“, — ამბობს ამ რომანის ერთ-ერთი გმირი, რიგითი ჯარისკაცი. რომანს თავის დროზე დიდი გამარეგოლუციონერებელი ძალა ჰქონდა.

საზღვარგარეთულმა პროგრესულმა ლიტერატურამ ახალი გზით იწყო განვითარება მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რევოლუციისა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ყველა ხალხის ბედზე.

რევოლუციური თვალსაზრისითაა მხილებული იმპერიალისტური ომი ვაიან-კუტურიეს „წითელ მატარებლებში“ (1922), იოჰანეს რობერტ ბეჰერის ლექსებში, ეპტონ სინკლერის „ჯიმი ჰიგინსში“ (1919) და სხვ.

დიდი როლი შეასრულა მშვიდობის განმტკიცების საქმეში 1919 წელს ანრი ბარბიუსის მიერ ჩამოყალიბებულმა მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციამ „კლარტე“, რომლის საქმიანობას დიდად აფასებდა ლენინი. 1920 წლის 1 მაისს „კლარტემ“ გამოქვეყნა ანატოლ ფრანსის მოწოდება პროლეტარიატისადმი. დიდი ფრანგი მწერალი ყველა ქვეყნის მშრომელებს მოუწოდებდა „გაერთიანებისაკენ მშვიდობისა და შრომის დასაცავად“.

როცა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაიწყო

ინტერვენცია, 1920 წლის 14 აგვისტოს ანატოლ ფრანსი წერდა:

„პროლეტარიატს ამჟამად თავის ხელში უჭირავს საფრანგეთის ხსნა, ევროპის ხსნა, მშვიდობის ხსნა. საბჭოების მოწოდება საფრანგეთის მშრომელებისადმი გვიჩვენებს, თუ რამდენად ახლოა საშიშროება. ღრმად მღელვარე, თუმცა ხანდაზმულობით დასუსტებული, მაგრამ საყოველთაო კეთილდღეობის საქმის ერთგულებით აღფრთოვანებული ძლავრი ხმით მოგიწოდებთ: „ფრანგებო, იხსენით მთელი მსოფლიოს მშვიდობა“.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც, ჩვენი საუკუნის ოციან წლებშიც არ შენელებულა ინტერესი ომის თემისადმი. 1929 წელს გამოვიდა გერმანელი, ამერიკელი და ინგლისელი მწერლების რემარკის, ჰემინგუეისა და ოლდინგტონის რომანები, მიმართულნი ომისა და მის საშინელებათა წინააღმდეგ. იმპერიალისტური ომის უშუალოდ მონაწილე ამ მწერლებმა თავიანთი რომანებით (რემარკი—„დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, ჰემინგუეი—„მშვიდობით იარაღო!“, ოლდინგტონი—„გმირის სიკვდილი“) შექმნეს ეგრეთწოდებული „დაკარგული თაობის ლიტერატურა“, რომელიც ომის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოძრაობად იქცა.

რემარკის, ჰემინგუეისა და ოლდინგტონის რომანები იყო ბრალდება, საშინელი ბრალდება, მიმართული ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს ითბობდა ადამიანთა ხოცვა-ყლეტით. მალე რემარკის რომანის მიხედვით გადაიღეს ფილმი, რომელიც გერმანიაში მაშინვე აკრძალეს. პარიზის ერთ-ერთ კინოთეატრში ამ ფილმის ჩვენებისას, იმ მომენტში, როცა ფრანგმა ჯარისკაცმა მომართა შაშხანა გერმანელი ჯარისკაცის მოსაკლავად, მაყურებელთა დარბაზში ვიღაც ფრანგი წამოიჭრა და აღელვებულმა შესძახა: „არ ესროლო!“. „ეს გულის ძახილია... და ჩვენ ყველანი უკლებლივ სოლიდარული ვართ ამ ძახილისა“, — ამბობდა ერთ-ერთ მიტინგზე ამ ამბის დამსწრე გერმანელი მწერალი ჰაინრიჰ მანი.

თავისი რომანის „მშვიდობით იარაღო!“ 1948 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ჰემინგუეი წერდა:

„მე მომაჩნია, რომ ყველა, ვინც ხელს ითბობს ომზე და ხელს უწყობს მის გაჩაღებას, საომარი მოქმედების პირველსავე ღღეს უნდა დახვრიტონ თავიანთი ქვეყნის იმ პატიოსან მოქალაქეთა ნდობით აღჭურვილმა პირებმა, რომელთაც აგზავნიან საბრძოლველად.

ამ წიგნის ავტორი სიამოვნებით აიღებდა თავის თავზე მათი დახვრეტის მისიას, თუ საომრად წასასვლელი მოქალაქენი სათანადო ნდობას გამოუცხადებდნენ მას“.

ოცდაათიან წლებში, როცა ფაშიზმი ახალ დიდ უბედურებას უმზადებდა კაცობრიობას, პირველი რესული საზღვარგარეთელი მწერლები უკვე არა მარტო კალმითა და სიტყვით, არამედ პირადაც ჩაებნენ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1932 წლის მარტში მთელ მსოფლიოში გაისმა მაქსიმ გორკის ძლავრი ხმა: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო!“.

საზღვარგარეთის მთელი პროგრესული მწერლობა გამოეხმაურა გორკის ამ მოწოდებას და ჩადგა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში.

„...მსოფლიოში დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი კაპიტალისტურ ნაციონალისტურ სისტემასა და იმ სისტემას შორის, რომლის პირველ დიდ ისტორიულ ექსპერიმენტს წარმოადგენს სსრ კავშირი. ჯანსაღი აზროვნების, მორალისა და გონების ადამიანებმა უნდა გაიგონ და გააგებინონ სხვებსაც, რომ პირველი ამ სისტემათაგან ნიშნავს ნგრევასა და სიკვდილს, მეორე კი მშვიდობასა და სიცოცხლეს“, — წერდა ანრი ბარბიუსი 1932 წლის 1 მაისს.

გრძნობდა რა ახალი ომის მოახლოებას, იმავე წელს რომენ როლანმა განაცხადა:

„არჩევანი გვრჩება მხოლოდ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის... ან უნდა მოკვდე, ან უნდა იარსებო“.

„ჩვენს პირველადს ამოცანას წარმოადგენს ყოველი საშუალებითა და თავის დროზე ვუჩვენოთ ომის ყველა ცალკეულ გამჩაღებელს, რომ ისინი იწყებენ საშიშ თამაშს, რამდენადაც ამჯერად მტკიცედ და ურყევად გადავწყვიტეთ დაუნდობლად და შეუბრალებლად მოვთხოვოთ პასუხი ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი პირადი გამორჩენის მიზნით ან თავისი კლასის სარგებლობის გამო საფრთხეს შეუქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას“, — ასე აფრთხილებდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ომის გამჩაღებლებს ცნობილი ავსტრიელი მწერალი სტეფან ცვაიგი.

იმ ხანებში შავი ჭირივით მოედო ფაშიზმი ომით დანგრეულ, დაჭანცულსა და დასნეულებულ ევროპას. ბოროტ სულად აღიმართა იგი და შთანთქმას უპირებდა მთელ მსოფლიოს.

1933 წლის მაისში გერმანიის ქალაქებში კოცონზე დასწვეს პროგრესულ მწერალთა წიგნები. ყველა მწერალს საამაყოდ მიაჩნდა, რომ მათი ნაწარმოებები ფაშისტ ჯალათთა ხელით იწვებოდა. როცა გერმანელმა მწერალმა ოსკარ მარია გრაფმა გაიგო, რომ მისი წიგნები ფაშისტებს ჯერ კიდევ არ აეკრძალათ, გამოაქვეყნა ძველვარე სტატია „დაშწვით მეც!“

„დაუყოვნებლივ ჩავებათ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — მოუწოდებდა ყველას თეოდორ დრაიზერი.

რომენ როლანისა და ანრი ბარბიუსის ინიციატიით 1935 წელს პარიზში მოეწყო პროგრესულ მწერალთა პირველი დიდი კონგრესი, რომელშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილ საზღვარგარეთელ მწერლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მწერლებმაც ალექსეი ტოლსტოიმ, ნიკოლოზ ტიხონოვმა, ილია ერენბურგმა და გალაკტიონ ტაბიძემ. კონგრესმა ერთსულოვნად დაგმო ომი და ფაშიზმი. კონგრესზე გამოვიდა ნიღაბაფარებული დელეგატი, გერმანიიდან არალეგალურად ჩამოსული, რომელიც ლაპარაკობდა იმ გერმანიის შესახებ, რომელსაც იარაღი არ დაუყრია და განაგრძობდა ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგ. ეს იყო ცნობილი გერმანელი მწერალი იან პეტერსენი.

და როცა ესპანეთში იფეთქა ფაშისტურმა აჯანყებამ, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს იყო დასაწყისი იმ დიდი ომისა, რომელსაც ამზადებდა ფაშიზმი მსოფლიოს ხალხების წინააღმდეგ.

მებრძოლი ესპანეთის დასაცავად ხმა აღიმაღლეს ჰაინრიჰ მანმა და მარტინ ანდერსენ ნექსემ, ალექსეი ტოლსტოიმ და ჯავაჰარლალ ნერუმ, პრიტმა და პოლ რობსონმა, დრაიზერმა და ანა ზეგერსმა.

„ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თანასწორობის იდეა, ვისაც ძულს წყობილება, რომელიც დამყარებულია სოციალურ უსამართლობაზე, ადამიანის ტანჯვასა და დევნაზე, უნდა ახარებდეს ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანელ კომუნისტთა ეაქაცური ბრძოლა". — წერდა თეოდორ დრაიზერი ესპანეთში ომის დაწყების შემდეგ.

ამიტომ იყო, რომ პროგრესული მწერლები არა მარტო კალმით, არამედ იარაღით ხელშიც იბრძოდნენ რესპუბლიკური ესპანეთის გადასარჩენად. მათ შორის იყვნენ უნგრელი მწერალი მათე ზალკა, ინგლისელი რალფ ფოქსი და სხვები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ომისა და მშვიდობის საკითხი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში. საგრძნობლად გაიზარდა და გაძლიერდა მშვიდობისათვის მებრძოლ მწერალთა ბანაკი, რომელშიც თავიდანვე მტკიცედ იდგნენ მარტინ ანდერსენ ნექსე და ბერნარდ შოუ, შონ ო'კეისი და ჯეიმს ოლდრიჯი, ჰაინრიჰ მანი და თომას მანი, ლეონ ფოიხტვანგერი და ანა ზეგერსი, ლუი არაგონი და ჟან-რიშარ ბლოკი, პოლ ელუარი და ივ ფარჯი, ნაზიმ ჰიქმეთი და პაბლო ნერუდა, ჟორჟი ამადუ და ნიკოლას გილიენი, გო მო-ჟო და კოსტას ვარნალისი და ბევრი სხვა.

ლუი არაგონი, მშვიდობისათვის, ეს დაუცხრომელი მებრძოლი, ჯერ კიდევ 1949 წლის 5 მაისს „ლეტრ ფრანსეზში" წერდა, რომ საჭიროა „აღმაღლოთ ისეთი მძლავრი და რიხიანი ადამიანური ხმა, რომ მკვლელებს ხელიდან იარაღი დაუვარდეთ და რომ ასეული მილიონობითი ამ ხმის გაგონმა ადამიანმა ყველა კონტინენტსა და ხღეაზე მთელი თავისი მშვიდობისმოყვარე ძალით ჩვენთან ერთად წარმოთქვას სულის სიღრმიდან ამოსული ფიცი: შევწყვიტოთ მკვლელობა და დავსაჯოთ მკვლელები!"

გერმანელ ფაშისტთა მიერ გაპარტახებულ ორადურში მოწყობილ მიტინგზე ფრანგ პოეტ პოლ ელუარი მგზნებარედ ამბობდა:

„ჩვენ არ ვთხოულობთ მშვიდობას. მოვითხოვთ მას. აქ, ორადურში, ჰიტლერული ომის ბოროტმოქმედებათა ადგილზე შევფიცოთ, გავხდეთ მშვიდობისათვის მებრძოლნი".

1950 წელს პოლ ელუარმა ინახულა ჩვენი ქვეყანა. იგი იყო აგრეთვე თბილისსა და გორში. საბჭოთა კავშირიდან წასვლისას ფრანგმა პოეტმა თქვა:

„თქვენი ქვეყანა ფრანგ ხალხს უნერგავს იმის რწმენას, რომ მსოფლიოს ხალხები დაიცავენ მშვიდობას და აღაგმავენ ახალი ომის გამჩაღებლებს".

1951 წელს მშვიდობის დაცვის მწერალთა კონფერენციაზე ინგლისელმა მწერალმა კოპარდმა განაცხადა:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ცივილიზაციას ბევრი საშიშროება მოელის, მაგრამ არც ერთი არ შეედრება ომის საფრთხეს. ჩვენ შევეცდებით გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შეგვიძლია, როგორც ჩვენს შემოქმედებაში, ისე ჩვენს მოღვაწეობაში ხალხთა ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ერთი სიტყვით, ჩვენ ყოველ ძალღონეს ვიხმართ მშვიდობის იდეის გასავრცელებლად".

საბჭოთა კავშირის წინადადებამ სრული განიარაღების შესახებ და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის მტკიცედ დაცვამ ფრთები შეასხა მშვიდობისათვის მებრძოლ საზღვარგარეთელ მწერლებს. სრული განიარაღების განხორციელების შემთხვევაში, ცნობილი გერმანელი მწერლის არნოლდ ცვაიგის აზრით, „ჩვენს მკითხველთა თაობებს აღარ მოუწევდათ ბრძოლის ველებზე სისხლისაგან დაცლა, არამედ მთელ თავის ენერგიას გამოიყენებდნენ არა ომის დამანგრეველი ძალისათვის, არამედ ყოველდღიური სიხარულისათვის".

ომის დროს საფრანგეთში წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ფრანგი მწერალი ემანუელ დ'ასტიე ნათლად ხედავს, თუ რაოდენ გამაკეთილშობილებელი ზეგავლენა ექნება ადამიანზე განიარაღების პრობლემის გადაჭრას:

„როცა განიარაღება განხორციელდება, ჩვენ შეგძლებთ ვიყოთ უფრო რეალისტური და უფრო სენტიმენტალური... რეალისტური, რათა ვისარგებლოთ ცხოვრებითა და ბედნიერებით, სენტიმენტალური, რათა გვქონდეს სიყვარულის გრძნობა, რამდენადაც სიყვარულის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია".

„დღეს მოწოდება საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ შორეული ოცნება როდია, რომელიც განასახიერებს ყველაფერ იმ საუკეთესოს, რაც არის ადამიანში, მის გულში, მის გონებაში. ეს რეალური, კონკრეტული შესაძლებლობაა, რომელიც არავინ არ უნდა უგულებელყოს. არც ერთი ადამიანი და არც

ერთი ხალხი არ უნდა დარჩეს ამ ბრძოლის გარეშე, რომლის მიზანმა არ იცის ბადალი მსოფლიოს ისტორიაში, მიზანმა, რომელიც არაჩვეულებრივად ნათელია: თავიდან ავიცილოთ აუწყარული და წარმოუდგენელი ნგრევა, გავუკაფოთ გზა ახალ ერას მსოფლიოში, რომელიც სამუდამოდ გათავისუფლდება ატომური ომის საფრთხისაგან, ყოველგვარი სახის იარაღის საშიშროებისაგან". — წერს ფრანგი მწერალი ანდრე სტილი.

საზღვარგარეთელ მწერლებს, განსაკუთრებით კი ამერიკელ მწერლებს, კარგად ესმით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში ორი დიდი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას. 1941 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმამდე, თეოდორ დრაიზერი თავის სტატიაში „ომის წინააღმდეგ" წერდა:

„ჩვენ უნდა ვაღიაროთ საბჭოთა კავშირის როლი მსოფლიოში და მისი ძალა. ახლა სსრ კავშირი უდიდესი ძალაა, რომელიც გამოდის მშვიდობის დასაცავად მთელ მსოფლიოში. აი რატომ მინდა, რომ შეერთებული შტატები დაუახლოვდნენ საბჭოთა კავშირს... მე მიმაჩნია, რომ მსოფლიოში წონასწორობის შენარჩუნებისათვის ამ ქვეყნებს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დაცვასა და განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება".

ორ დიდ ქვეყანას შორის მეგობრობა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. საკმარისია მათ შორის დამყარდეს მტკიცე მეგობრული ურთიერთობა, რომ მსოფლიოში ვერავინ გაბედოს მშვიდობის დარღვევა.

„ამერიკელები, როგორც მიმაჩნია, ამჟამად ფიქრობენ, რომ საერთაშორისო დაძაბულობა და ყოველგვარი „ცივი ომი" შეიძლება მოისპოს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის საშუალებით. ცივილიზაციის დაცვის მიზნით ამ თანამშრომლობის მიღწევა ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა უპირველესი მოვალეობაა", — წერს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობასა და მეგობრობაზე თანამედროვე ცნობილი ამერიკელი მწერალი ერსკინ კოლდუელი.

კაცობრიობა მსოფლიო ისტორიის ყველაზე მწვავე პრობლემათა გადაწყვეტის მიჯნაზეა, როცა მშვიდობის საკითხი ძირითად საკითხად იქცა. უკანასკნელმა ომმა ბევრი რამ ასწავლა ხალხებს. დღეს ხალხთა მოძრაობა მშვიდობისათვის უძლეველ ძალად გაიზარდა, რომელზეც იმსხვრევა ომის გამჩაღებელთა ყველა გეგმა. მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდი როლი ენიჭება ახალგაზრდობას, რომელიც არ ყოფილა [illegible] ომში მონაწილე, მაგრამ ომის საშინელებებს [illegible]ბული ადევნებს თვალყურს ახალი [illegible]ებელთა ყოველგვარ ხრიკს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„როგორი დიდებული გახდება მომავალი, თუ ყველა ქვეყნის გონიერი და მამაცი ახალგაზრდობა ენერგიულად და ერთგულად იშრომებს მშვიდობისა და კეთილდღეობის ახალი ერას სახელით, რომელიც აუცილებლად დაუდგება კაცობრიობას". — წერს ცნობილი ავსტრიელი მწერალი ქალი და საზოგადო მოღვაწე კატარინა სუსანა პრიჩარდი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან თექვსმეტი წლის შემდეგაც ხალხებს ახსოვთ ბუჰენვალდის, ოსვენციმისა და მაიდანეკის, მაუტჰაუზენისა და რავენსბრიუკის კრემატორიუმთა შავი სულშემხუთავი კვამლი, ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური ხანძარი; ხალხებს ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ ორადური და ლიდიცე, ვოლგოგრადისა და კოვენტრის ნანგრევები, ვარშავის გეტო და შიმშილისაგან მისუსტებული ასი ათასობით ლტოლვილნი, მიწას მიბარებული მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე.

დღეს დამოკლეს მახვილივით თავს დასდგომია კაცობრიობას საშინელი საშიშროება — თერმოატომგული ომის საფრთხე.

ამიტომაცაა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები შეკრებილნ მშვიდობის მებაირაღტრის — საბჭოთა კავშირის ირგვლივ. საბჭოთა კავშირისა, რომლის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცების ერთადერთი ქმედითი საშუალება — საყოველთაო განიარაღება ეა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

„თანმიმდევრულად განვახორციელოთ ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების ხაზი. ყველა ორგანიზაცია და პარტია, რომლებიც ესწრაფვიან ომის თავიდან აცილებას, ნეიტრალისტური და პაციფისტური მოძრაობანი, ბურჟუაზიული წრეები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას და ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას, კეთილებენ საბჭოთა კავშირის გაგებასა და მხარდაჭერას", — მიმართავს თავის პროგრამაში მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ამ საქმეში, ომის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა შეკავშირებაში საზღვარგარეთ დიდი წვლილი მიუძღვის საზღვარგარეთულ პროგრესულ მწერლობას. ეჭვი არაა, იგი კვლავაც თავდადებით იბრძოლებს ომის თავიდან აცილებისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ნოღაიდელი

ფოლკლორული შენიშვნები

1. აჭარული ხალხური ზღაპრები

მდიდარი და მრავალფეროვანია აჭარული ხალხური ზეპირსიტყვიერება, რომელიც ქართული ფოლკლორის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და თითქმის არ განსხვავდება მისგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კუთხის ზოგიერთ თავისებურებას, რაც საქართველოს სხვა მხარეებსაც ახასიათებს.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში პროზა ჭარბობს. პოეზია ცოტა გვაქვს. პროზიდან საკმაოდ დიდი ადგილი ზღაპარს ეთმობა. უმთავრესად ჯაღოსნურს. ჯაღოსნურ ზღაპრებში გამოყენებულია მფრინავი ხალიჩა, უჩინმაჩინის ქუდი, სასწაულთმოქმედი მაგიდა, თვითმებრძოლი ჯოხი, თასი, რომელიც თევზს აქვს გადაყლაპული, და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ე. წ. საყოფიერო ხასიათის ზღაპრები და ცხოველთა ეპოსი. ძალზე გავრცელებულია „ქოსას“ ტიპის ზღაპრებიც, განსაკუთრებით კი საყოველთაოდ ცნობილი ზღაპარი „ნაცარქექია“. ზარმაცი, უქნარა შრომის წყალობით სწორდება, შრომის ფერხულში ებმება, კიდევ მეტი, შემონახულ ენერგიას გამოაკლენს და სასწაულებს სჩადის. ერთი სიტყვით, ჩვენებური „ნაცარქექია“ ქართულ ფოლკლორში ცნობილ „ნაცარქექიას“ ვარიანტს წარმოადგენს.

ასევე პოპულარობით სარგებლობს რიგი საყოფაცხოვრებო-ფანტასტიკური ზღაპრებისა, სადაც ცოლ-ქმარი შვილს დიდხანს ელოდება, მოხუცი ვაშლს მისცემს, ვაშლის ჭამის შემდეგ ქალი ეყოლებათ. მას მონათლავენ და ასეთ რამეს დაანათლავენ: როცა გაიცინებს, პირიდან ვარდი სცვიოდეს, როცა ატირდება, ცრემლები მარგალიტებად იქცესო. ყელსაბმელსაც კისერზე შეაბამენ, მისი ყელიდან მოხსნა სიკვდილს იწვევს.

აჭარის თითქმის ყველა კუთხეში ვხვდებით საყოფიერო ზღაპრებს, რომლებშიც მხილებულია მღვდლისა და ხოჯის თაღლითური „ოინები“. აი ერთი მათგანი:

„ერთმა ხოჯამ დაუძახა სოფლის ქალებს და უთხრა, რომ ამაღამ ციდან მუბარექი (წმინდანი) ჩამოდის და კარები ღია დატოვეთო. მუბარექი მადლიან ქალებთან მივალ. ხოჯამ თან დასძინა: — მუბარექი ტანისამოსში და სახეში სულ მე მგავსო. ხოჯა საღამოს მივიდა ერთ ამორჩეულ ქალთან, ვითომ მუბარექი და მისი ახირებული ეინი შეისრულა“.

საკმაოდ გავრცელებულია აგრეთვე ზღაპრები, რომლებსაც საფუძვლად ის ამბავი უდევს, რომ შერისხული შვილი სხვა მეფეს მოჯამაგირედ უდგება. უმცროსი ქალიშვილი შეამჩნევს, რომ მოჯამაგირე უბრალო ადამიანი არ არის და გადაწყვეტს ქმრად შეირთოს. მეფე აცხადებს: ვისაც ჩემი ასულნი ამოირჩევენ, იმას წაყვებიანო. უმცროსმა საქმროდ მოჯამაგირე ამოირჩია. მეფე განრისხდა, როგორ მკადრაო და ბინა საჭთმეში მიუჩინა. ბოლოს, მეფე დაავადმყოფდა. უფროსი სიძეები წამალზე მიდიან, მაგრამ წამალს უმცროსი სიძე იშოვის. მისცემს უფროსებს. სამაგიეროდ, პირველ შემთხვევაში მარჯვენა ყურებს დააჭრის, მეორე შემთხვევაში თვითეულს ფეხზე ნეკს მოაჭრის, ხოლო მესამეჯერ უფროს სიძეებს საჯდომზე ცხენის ნალით დადაღავს.

საბოლოოდ ყველაფერი გაირკვევა. მეფე უფროს სიძეებს დასჯის და უმცროს სიძეს გადმეფებს.

ჯერ ჩაუწერელ ზღაპრად გვეჩვენება ზღაპარი, რომლის შინაარსი ორიოდე სიტყვით ასე გადმოიცემა: სამი ამხანაგიდან ერთი თევზს მუცელში თასს უპოვის. თასიდან გადაღვრილი წყალი ოქროდ იქცევა. ამრიგად, თასის მპოვნელი მდიდრდება და დიდ წარმატებებსაც მიაღწევს. მეფის ასულს ცოლად შეირთავს.

აჭარული ზღაპრების შეკრების დროს ხშირად გაგვიგონია და კიდევაც ჩაგვიწერია სახელწოდებები: „რომპაპი", „ჯერჯალი", „დედჯალი". შინაარსით ეს ზღაპრები ხალხურ „ამირანიანს" მიყვება. ისე როგორც „ამირანიანში", აქაც გმირის შეჯაჭვა [illegible] საქმე. მაგრამ ქართულ მითოლოგიაში „ბოროტი სულების წინააღმდეგ მებრძოლი გმირია, ხოლო აჭარული „რომპაპი" (როკაპი), „ჯერჯალი" და „დედჯალი" ბოროტი სულების დამცველად გამოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვირვებამ და შესწავლამ იმ დასკვნამდე მივვიყვანეს, რომ „ჯერჯალი" და „დედჯალი" სხვა არაფერია, თუ არა არაბულ და თურქულ ენაზე გადატანილი „დარეჯანი".

2. სახალხო მთქმელი ხუსეინ ხაბაზი

ქობულეთის რაიონის აჭყვისთავში ძირითადად ისტორიული ლექსი ჰარობს. როგორც ჩანს, წარსულში ამ სოფელს ბევრი სახალხო პოეტი ჰყოლია. ალბათ, ამან განაპირობა ისტორიული ლექსის სიჭარბე. აჭყვისთავში ცნობილი იყვნენ სახალხო პოეტები: ხუსეინ ხაბაზი, ყემბერ ხაბაზი, ქამილ ჯინჭარაძე, ხასან კომახიძე, ხასან ხაბაზი, უსუფ რომანაძე და სხვები. ყველაზე მეტად ხალხში გავრცელებულა და დიდი პოპულარობით სარგებლობს ხუსეინ ხაბაზის ისტორიული ლექსები.

ხუსეინ ხაბაზი ისტორიული პიროვნებაა, ცხოვრობდა XIX საუკუნეში და მას ხშირად იხსენიებს ზ. ჭიჭინაძე. ხალხს იგი მეტად დადებით პიროვნებად ჰყავს წარმოდგენილი და მის შესახებ მრავალი ისტორიული ამბავი შემოუნახავს.

ხუსეინ ხაბაზი იმ დროს ცხოვრობდა, როცა ალიფაშა თავდგირიძის რაზმები მძლავრობდნენ და ხალხს ავიწროებდნენ.

ერთხელ ალიფაშა თავდგირიძე თავისი ალ ლით აჭყვისთავში ასულა, სადაც თექვსმეტი წლის ახალგაზრდა ხუსეინ ხაბაზი შეხვედრია. ალიფაშას მოსწონებია ჭაბუკი და განკარგულება გაუცია, ჩემს ამალაში ჩარიცხეთო. ხუსეინ ხაბაზს ამაზე სასტიკი უარი უთქვამს. ამის გამო ალიფაშა დაჰქადნებია. ხუსეინ ხაბაზი იმალებოდა.

ერთხელ ნამგზავრი ალიფაშა, თავისი ჩაფრებით და აბდროხმან აფხაზით, რომელიც ჩაფრებს მეთაურობდა, თურმე გვარაზე, დიდ მუხასთან ისვენებდა. ჩაფრებს მოუხსენებია, ხუსეინ ხაბაზი ცხენით მოდისო. ალიფაშა და აბდროხმან აფხაზი თავისი ჩაფრებით მოულოდნელად გზაზე შეხვედრიან. ალიფაშას ხელი გაუწვდია, ხუსეინ, ჩამოდი ძირსო. აბდროხმან აფხაზს ხელი აღვირში უტაცნია. ხუსეინ ხაბაზი ცხენიდან ცოტათი გადმოხნექილა, ცალი ფეხი უზანგიდან ამოუღია, ვითომ გადმოსვლას ვაპირებო, მაგრამ უცბად აფხაზისათვის ქარქაშიდან ხანჯალი ამოუძერია, ორივე ხელი მოუჭრია, გაწოლილა ცხენზე და გაუქუსლავს. თუმცა ხაბაზს ზალპი დააყარეს, ცხენიც დაუჭრეს, მაგრამ თავს მაინც უშველია.

ამის შემდეგ ხუსეინ ხაბაზს ქობულეთში აღარ დაედგომებოდა და არაბეთში, ქალაქ დიარბეკირში გადასახლებულა. დიარბეკირიდან სტამბოლში თურმე ფოსტა დაჰქონდა.

ერთხელ, სამგზავროდ პროდუქტების ყიდვის დროს, მასთან ვიღაც დეერიში (მოგზაური) მისულა და უკითხავს, სად მიდიხარო. ხუსეინ ხაბაზს უთქვამს. სტამბოლში ფოსტა მიმაქვსო. მეც სტამბოლში მივდივარ და მოდი ერთად ვიმგზავროთო. ერთად გამომგზავრებულან. გზაში დაჭლამებიათ და ტყეში ცეცხლი დაუნთიათ. უეცხშიათ და დასაძინებლად დაწოლილან. ეროი ცეცხლის ერთ მხარეს დაწოლილა, ხოლო მეორე — მეორე მხარეს. ხუსეინ ხაბაზი ნაბადში გახვეულა და პირაღძა გაშოტილა.

ცოტა ხნის შემდეგ შეუმჩნევია, რომ დეერიში წამოწვეულა და მისთვის გაუხედავს. შემდეგ გვერდზე გადაბრუნებულა. თითქოს დაეძინეო. ხუსეინ ხაბაზი ამ ამბით დაეჭვებულა; ცოტა ხნის შემდეგ ჩუმად ნაბდიდან გამომძვრალა, ნაბადი ისე მოუწყვია, თითქოს შიგ კაცს ძინავსო. დაუტოვებია ის, აუღია თოფი, გამოსულა სიბნელეში და გაჩერებულა.

ცოტა ხნის შემდეგ დეერიში ამდგარა, თავისი ჯოხი დაუბრუნებია, ჯოხი შუაზე გახსნილა, რომელსაც ერთ ბოლოზე ხიშტი ჰქონია მორგებული. ნელა მისულა ნაბადთან, ნაბადზე ფეხი გადაულაჯებია და, რაც ძალი და ღონე ჰქონია, ორივე ხელით ხიშტი „მკერდში" ჩაუცია. ხუსეინ ხაბაზს დეერიში იქვე მოუკლავს, გადაუთრევია გზის პირიდან, დაუტოვებია და თვითონ გამგზავრებულა.

თურქეთის ბატონობის დროს ქობულეთიდან ტყვედ გაუტაცნიათ ხუსეინ ხარაზის თერთმეტი წლის ქალიშვილი და სტამბოლის ბაზარზე გაუყიდიათ. ხუსეინ ხაბაზს ეს გაუგია, ბავშვი უკან გამოუტაცნია, ქობულეთში ჩამოუყვანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშობლებისათვის ჩაუბარებია. როგორც გადმოგვცემენ, ეს ბავშვი რომ გასათხოვარი გამხდარა, ხუსეინ ხაბაზს ცოლად შეურთავს.

აჭყვისთავში, ტყეში, ერთ ადგილს, დიდი წიფლის ძირს, ეწოდება „ძოსტოკ ჭანის სასაფლაო". ჩვენ დავინტერესდით ამ ამბით და ვთხოვეთ უსუფ ზაბითის-ძე ხაბაზს ამის შესახებ ჩვენთვის ეამბნა. მისი ნაამბობიდან გაიგეგეთ: ეს ძოსტოკ ჭანი თვითონ ხუსეინ ხაბაზს აქვე მოუკლავს, აქვე დაუმარხავს და ზედ წიფელაზე თვითონ მას გაუკეთებია წარწერა: „აქ მარხია საზიზღარი ძოსტოკ ჭანი".

აი როგორ მომხდარა ეს ამბავი.

ერთხელ, აჭყვისთავში, ხუსეინ ხაბაზთან ვიღაცას ყაჩაღი ძოსტოკ ჭანი მოუყვანია. ისინი დაამხანაგებულან. ალიფაშა თავდგირიძეს ხუსეინისათვის ფაცხა (ჯარგვალი) დაუწვავს. ხუსეინი და მისი ამხანაგი — ძოსტოკ ჭანი ტყეში ხეების გასათალად წასულან. ცოტა უმუშავნიათ და დაუსვენიათ.

ძოსტოკ ჭანს უთქვამს ხუსეინისათვის: „რატომ არაფერს მეკითხები, ყაჩაღად რატომ ვარ გავარდნილიო".

„რატომ უნდა გკითხო, თუ რისთვის გავარდი ყაჩაღად, იქნებ ჭურდობა ქენი, ან უნამუსობა ჩაიდინე რამეო".

„თუ არ მკითხავ, მაშინ მე გეტყვიო" და დაუწყია ამბის თხრობა.

— მე შემიყვარდა ჩემი დეიდაშვილი. ორი თვის შემდეგ იგი ფეხმძიმედ გახდა და უკვე მუცელი დაეტყო. იმ სოფელში აღარ დაგვედგომებოდა და სხვა სოფელში წასვლა გადავწყვიტეთ. სანამ მეორე სოფელში მივიდოდით, მანამ უღრანი ტყე უნდა გაგვევლო. ტყეს რომ მივუახლოვდით, დეიდაშვილი წინ გავუშვი, მე უკან მივყვებოდი. ხრამთან რომ მივაღწიეთ, ზურგში დამბაჩა დავახალე და ხრამში გადავჩეხე. დავტოვე იგი იქა და მე გზა გავაგრძელე. ღამე სხვა სოფელში გავითენე და უკან, მეორე დღეს, იმავე გზით დავბრუნდი.

შემთხვევის ადგილს რომ მივუახლოვდ[illegible] გულში ვიფიქრე: — დეიდაშვილი რომ [illegible]ლი, მოდი ვნახავ, კლდეზეა ჩამოკიდ[illegible] წყალში ჩავარდა და მოკვდა-მეთქი.

შემოვლით ჩავედი ხრამში. დავინახე, რომ დეიდაშვილი წყალში ქვაზე დამჯდარა, ჭრილობაზე ხავსი დაუდვია და ტირის. რომ დამინახა, მომაძახა: „ძოსტოკ, მიპატრონე, არ მომკლაო".

მისკენისთანავე დავახალე დამბაჩა და იქვე მოვკალი. აი რატომ გავვარდი ყაჩაღად, — დაამთავრა მოთხრობა ძოსტოკ ჭანმა.

— კიდევ ხომ არა გაქვს რამე სათქმელი? — უთქვამს ხუსეინ ხაბაზს.

— არა, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, — უპასუხნია ძოსტოკ ჭანს.

ხუსეინ ხაბაზს დამბაჩა უძვრია და ძოსტოკ ჭანი იქვე მოუკლავს. მერე დიდი წიფლის ძირში საფლავი გაუთხრია, დაუმარხავს და ზედ წარწერა ამოუკვეთია: „აქ მარხია საზიზღარი ძოსტოკ ჭანი". მას შემდეგ ხალხი იმ ადგილს „ძოსტოკ ჭანის სასაფლაოს" უწოდებს.

როგორც ადგილობრივად გადმოგვცემენ, ძოსტოკ ჭანის მოკვლის შემდეგ ხუსეინ ხაბაზი ტყიდან სოფელში ჩასულა, ბარი მინდა, ჭანი მოკვალი და უნდა დავმარხოო. ცოლშვილი და მთლიანად ნათესაობა ამხედრებია: როგორ გაბედე სტუმრის მოკვლა, ბარს არ გაგატანთო. მაგრამ როცა ნამდვილი შინაარსი გაუგიათ, ხუსეინისათვის მადლობა უთქვამთ და ძოსტოკ ჭანი ნათესავებს დაუმარხავთ.

ზ. ჭიჭინაძის თქმით, რასაც ხალხიც ადასტურებს, ხუსეინ ხაბაზი აჭყვისთავში ერთადერთი ყოფილა, რომელსაც ქართული წერა-კითხვა სცოდნია. ამავე დროს ხუსეინ ხაბაზი ცნობილი მომღერალი, იშვიათი მოცეკვავე და სახალხო პოეტი ყოფილა. მისი ლექსები ხალხში მრავლად არის გაბნეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ კიკნაძე

ზოგი რამ ბათუმის თეატრზე

ამას წინათ ეგვიპტეში ვიყავი. ბათუმი ახსენეს. გამიკვირდა და გამეხარდა. გაიხსენეს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა არაბულ სამყაროზე.

ჩვენი მრავალფეროვანი სიმღერის ჰანგები ნილოსის ველზეც გაისმა...

ვინ იცის, რამდენი ხანია მას აქეთ, ქართული სიმღერა რომ არ სმენია ლეგენდებისა და ზღაპრების ამ ქვეყანას.

მამელუკთა ნაკვალევზე იქნებ დიდხანს ისმოდა კიდევაც ქართული მელოდიები, მაგრამ ეს მაინც შორეული საუკუნეების მიღმაა და ახლა მისი გახსენება მხოლოდ სინანულს გვგვრის. ანსამბლის წარმატება კი სულ სხვაა. ჩვენი ცოცხალი სინამდვილეა. დღევანდელობაა.

ხელოვნებას უსაზღვროდ დიდი ასპარეზი აქვს. ფართო ჰორიზონტებია მის წინ და ეს ათეულად ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობასაც. როცა კაიროს ერთ-ერთ ქუჩაზე ანსამბლის აფიშაც (შემორჩენილი) ვნახე, რატომღაც ბათუმის თეატრი მომაგონდა. იქნებ იმიტომ, რომ აფიშა ხშირად ასოციაციის გზით თეატრს გახსენებს. ან იქნებ იმიტომაც, რომ უცებ გავიფიქრე, თუ როგორ შეიძლება პატარა (შედარებით) ქალაქის სახელი შორს გაიტანოს კარგმა თეატრმაც.

აკი იყო კიდევაც ამგვარი ფაქტი სწორედ ბათუმის თეატრის ისტორიაში. ეს იყო სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე". მან დიდი სახელი მოიხვეჭა და არა ერთი საქებარი სტატიაც დაიბეჭდა მასზე.

თეატრს, რომელსაც „ოიდიპოს მეფე" წარმოუდგენია, რომელსაც ეაქას გენია („მოკვეთილი") აუმეტყველებია (ორივე სპექტაკლი ა. ჩხარტიშვილმა დადგა), დიახაც აქვს უფლება გაეჯიბროს ყველაზე საუკეთესო თეატრალურ კოლექტივებს. ამასთანავე მაყურებელსაც აქვს უფლება მოითხოვოს უფრო მეტი, ვიდრე ეს დღესაა. მოითხოვოს და მკაცრადაც გააკრიტიკოს, თუ წარმოდგენა ვერ ავსებს მის სულიერ ცხოვრებას ახალი დეტალით, ნუანსით... თუ ვერ ამდიდრებს იგი მის შინაგან სამყაროს, თუ ვერ აკმაყოფილებს მის ესთეტიკურ იდეალებს. თეატრი ზეიმია, მაღალი ზნეობრივი იდეალების სამკვიდროა.

იგი პრძოლის ველზე გასულ მეომარივით მუდამ აღგზნებული, მოქმედი და წინმსწრაფი უნდა იყოს. თეატრი ქმნის, თეატრი იბრძვის. თეატრი ანგრევს ერთ შეხედულებას და ამკვიდრებს მეორეს. ეს რთული და ზოგჯერ უცნაური საიდუმლოებით მოცული სანახაობა ღრმა სცენურ კონფლიქტებში იხსნება. მაყურებელს უხარია მისი ცქერა, რადგან იგი მარტო თვალის სეირი როდია!..

ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების თეატრს ახალი სირთულე და ამოცანა აქვს. იგი იცავს ტრადიციას და ქმნის (მის საფუძველზე) ახალს, რომელიც ზოგჯერ იმგვარია, რომ ძნელია კაცმა გაარჩიოს სად იწყება ტრადიცია და სად — ახალი.

ეს ხშირად ემართება ჩვენს ქართულ თეატრებსაც. მათ შორის ბათუმის თეატრი უკანასკნელი არ არის!.. არც უნდა იყოს, რადგან ამ პროცესს, უარყოფითთან ერთად, ის დადებითი მხარეც აქვს, რომ იგი ძველისა და ახლის ბრძოლის შინაგან ბუნებას გვიჩვენებს — არცვევს იმ სინთეზის არსს, რომელშიც ასე მკაფიოდ მეღავნდება თეატრის განვითარების ტენდენცია. ცალკე საგანგებო შრომა და კვლევა უნდა იმას, თუ როგორ შეიქმნა პირველი სცენური ტრადიცია ბათუმის თეატრში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ განვითარდა იგი და რა ახალი შეითვისა შემდგომ.

ნოემბერში თეატრალური საზოგადოების კომისიამ ხუთი წარმოდგენა ნახა ზედიზედ. ეს ცოტა როდია. თითქმის მთელი სეზონის შედეგია. ერთი წლის ნაღვაწი და ნაშრომია. რამდენი ფიქრი, უძილო ღამე, შემოქმედებითი სიხარული, გულისტკივილი და ჩაფიქრებაა მათში.

იგრძნობა, რომ დაძაბული შემოქმედებით ცხოვრობს მთელი კოლექტივი. ბევრი აქტიორული სახეა შექმნილი იმ ხუთ სპექტაკლში (ცაო-იუის „ტაიფუნი“, კ. სიმონოვის „მეოთხე“, ვ. კანდელაკის „ამაღლებული სოფელი“, ფრ. ხალვაშის „ვაზის ტირილი“, ნ. დუმბაძე-გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), კომისიამ რომ ნახა. ძნელია ერთ მცირეფორმიან სტატიაში ყველა მათგანის აღნიშვნა. ეს წერილი კი არა, სტატისტიკა იქნება...

„ტაიფუნი“ მარჯანიშვილის თეატრშიც დაიდგა. სპექტაკლში იყო რამდენიმე აქტიორული წარმატება. სწორედ აქტიორული და არა იდეურ-ესთეტიკური. ერთია წმინდა სცენური ღირებულება სახისა, რომელიც ოსტატური შესრულებით აღინიშნება, და მეორეა როლის საზოგადოებრივი, მორალური მხარე. ამ თვალსაზრისით „ტაიფუნი“ პრინციპული ხასიათის დავას იწვევს. რა აუცილებლობა იყო, რომ იგი საქართველოს თეატრებმა წარმოადგინეს? ვფიქრობთ, რომ ამგვარი აუცილებლობა არ ყოფილა. მართალია, პიესაში არის ერთგვარი ცდა მხილებულ იქნას ბურჟუაზიული სამყაროს მანკიერება, სოციალური უთანასწორობის შედეგები, მაგრამ საკითხის ამ ნაწილს ჩრდილავს მეორე, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ჩვენი მაყურებლის ინტერესს.

მოქმედ პირთა ბნელი და ცხოველური ინსტინქტების საფუძველზე წარმოქმნილ კონფლიქტს, ოჯახური ურთიერთობის იმ ნორმებს, რომლებიც გაშიშვლებულ სქესობრივ ლტოლვას ემყარებიან, არაფერი აქვთ საერთო არც ჩინელ ხალხთან და არც ქართველი მაყურებლის ბუნებასთან. იგი უცხოა მაღალი ზნეობრივ-ეთიკური პრინციპებისათვის და რამდენი დადებითი მომენტიც არ უნდა ჰქონდეს პიესას, მისი სცენური პროპაგანდა მაინც გაუმართლებელია!

ფრ. ხალვაშის ნათელი პოეტური აზროვნების მწერალია. ეს იდეური სინათლე და გარკვეულობა ახასიათებს მის პიესასაც, „ვაზის ტირილი“ რომ ჰქვია.

ბათუმის თეატრი სწორედ მოიქცა, „ვაზის ტირილი“ რომ შეიტანა თავის რეპერტუარში. პიესა ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, თუ რა დიდი მსხვერპლის საფასურად დაუჯდა საბჭოთა ხალხს დიდ სამამულო ომში გამარჯვება, როგორი ღრმა ჭრილობები მიაყენა ომმა ადამიანებს. დამთავრდა ომი და ადამიანებს მოშუშდა იარა, როდი გაქრა სულიერი ტკივილი...

იდეა და მხატვრული შესაძლებლობა კონცენტრირებულია მეორე მოქმედებაში. არ შეიძლება მღელვარების გარეშე უყუროთ მურად სარაძის (ი. ცანავა), სევრეთისა (მ. საკანდელიძე) და რეზოს (გ. გოგობერიძე) ტრაგედიას. ათასი ფიქრი აღგეძვრებათ, როცა მათ დაბნეულ, უკიდურესად დაძაბულ, სულამდე შეძრულ სახეებს უყურებთ. თქვენს წინ გადაიშლება მთელი ოჯახის ტრაგიკული სურათი. მართალია, მტრის ტანკებს არ გადაუვლია სარაძის ეზოში, ყუმბარას არ დაუნგრევია მისი სახლკარი, მაგრამ ყუმბარის აფეთქების ძალამ მის ოჯახშიაც შეაღწია, მის სულშიც გადაიარეს მტრის ტანკებმა. იგი შეატორტმანეს — ვერ კი წააქციეს. მუხასავით ფესვმაგარი აღმოჩნდა. ნ. საკანდელიძის სევრეთ ქმარი დაღუპა (შოთა — მსახიობი მ. შერვაშიძე) ფრონტზე. თუმცა კარგად არც კი იცის, დაღუპულია თუ არა, მაგრამ ომი დამთავრდა. მრავალი წელი გავიდა და ის არ ჩანს. რაკი არ ჩანს. მისთვის დაკარგულია. და აი, ქალის, ახალგაზრდა. სიცოცხლით სავსე ქალის წინაშე წამოიჭრება კითხვა: სიკვდილამდე გაუთხოვრად, უსიხარულოდ დარჩეს, თუ ეძიოს სიცოცხლის ახალი გზები, ახალი ჰორიზონტები მისი ქმრის ოჯახში.

სარაძის სამეფოში დამკვიდრებულია საუკუნოვანი ტრადიციები. ოჯახს ერთხელაც არ უფიქრია სევრეთის პიროვნულ ტრაგედიაზე. ისინი მხოლოდ დაკარგულის კვალს მისტიროდნენ...

ცხოვრება მკაცრია და მას ადამიანის სურვილებისაგან დამოუკიდებელი ლოგიკა აქვს. სარაძის ოჯახში სევრეთის სახით გაღვიძა იმ ძალამ, რომელმაც უნდა გადალახოს ტრადიცია. ამ გაღვიძებული სულიერი ენერგიის, ახალგაზრდა ქალში მოშარბებული სასიცოცხლო ძალის წამიერი აფეთქების მოწამე გახდა მურადი. მან, მამა-პაპურ ბუხართან გარინდებულმა, მოისმინა, თუ როგორ გაამხილა თავისი ტკივილები საკანდელიძის ვმირმა. მოისმინა და უცებ სრულიად*ახლებურად შეხედა სევრეთის მიერ მის ოჯახში განვლილ გზას. მურად სარაძემ პირველმა გაუგო სევრეთს და მხარი დაუჭირა მის მოქალაქეობრივ პოზიციას.

ი. ცანავას მართლაც ოსტატურად. მხატვრული სიმართლითა და სიწრფელით წარმოსახული მურადი თუმცა ძველი თაობის პირმშოა, მაგრამ ახალი დროის მოთხოვნილების სიმაღლეზე დგას. დრამატურგის სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს მურადის სახის ამგვარი გადაწყვეტა. აშკარად ჩანს რეჟისორი ლ. შატბერაშვილის როლი სახისა და საერთოდ სპექ-

ტაკლის ასე რეალისტურად წარმოსახვაში. ემოციური ტონალობა სპექტაკლისა სავსებით შეეფერება მოქმედ გმირთა ხასიათების შინაგან ბუნებას. რეჟისორი ძლიერია, როცა საქმე აქვს ლიტერატურულად ხარისხიან, იდეურად გამართულ ნაწარმოებთან.

ნ. საკანდელიძე ამჟამად ბათუმის თეატრის აქტიური ძალაა. ეს ჩანს სხვა სპექტაკლებიდანაც, მაგრამ ყველაზე მკაფიოდ მაინც „ვაზის ტირილში". მსახიობი თავისი გმირის სცენურ ცხოვრებაში პოულობს იმ ძირითად წერტილებს, რომლებსაც შემდეგ არსებითი მნიშვნელობა აქვს სახის სწორად გადაწყვეტაში. მთავარისა და მეორეხარისხოვანის, პირველისა და მეორე პლანის მოძებნის უნარში კარგად მჟღავნდება მისი საერთო აქტიორული ძალა და პროფესიული კულტურა.

„ვაზის ტირილი" საყურადღებოა თავისი პრობლემატიკით. მისი საფუძველი ქართველი ხალხის ზნეობრივ-ეთიკურ პრინციპებშია და იგი ნიჭიერად არის მიკვლეული და გამოხატული. პიესას სხვა ღირსებაც რომ არ ჰქონდეს, მარტო ისიც ეყოფა, რომ მან ძველისა (პირობითად მურადი) და ახლის (რეზო) გამოხატვის ტრადიციული, ტრაფარეტად ქცეული საშუალებანი ახლებურად ღაინახა. და მართლაც, ცხოვრებაში ისე როდია, როგორც ამას ხშირად გვიხატავენ ჩვენი მწერლები: თუ კაცი მოხუცია, მან უსათუოდ ძველი და ჩამორჩენილი შეხედულებანი უნდა წარმოადგინოს, ხოლო თუ ახალგაზრდაა, — პროგრესული და მოწინავე. არა, ხშირად ასე არ არის ცხოვრებაში. არიან ადამიანები ასაკით მოხუცნი, მაგრამ თავიანთი აზროვნებითა და მრწამსით ახალი ამოცანების სიმაღლეზე მდგომნი. სიახლის გრძნობა ასაკობრივი კატეგორია როდია!

სპექტაკლი გამოირჩევა პოეტური განწყობილებით. ვაზის სიმბოლიკა, რომელიც პიესას თავიდან ბოლომდე გასდევს, მეტ სიღრმესა და პოეტურ განზოგადებას აძლევს წარმოდგენას. ლირიზმისა და ცხოვრებისეული ყოფითი დეტალების ორგანულობით აღინიშნება ხ. მეგრელიძის ჩახმა. ეს ნიჭიერი მსახიობი ჩახმას როლში ბევრს მოიგებს, თუ მეტი სიფრთხილით მოეკიდება კუთხური კოლორიტის გამოტანას.

დავას იწვევს (იქნებ არაკის სადაო!) „ვაზის ტირილის" მესამე მოქმედება. ვერც ავტორმა და ვერც დამდგმელმა ჯგუფმა ვერ შეძლო ნაწარმოები გაეთავისუფლებინა მელოდრამატიზმისა — ხელოვნური ემოციურობისაგან, რომელიც ძთელ მესამე მოქმედებას მსჭვალავს. მხატვრული მოტივირება, ფსიქოლოგიური სიმართლე და სცენური დამაჯერებლობა აკლია შოთას სიკვდილს ფინალში. არც ლექსით გამოთხოვებაა ბუნებრივი და არც მისგან გამოწვეული ცრემლიანობა. ამ თვალსაზრისით მკაცრ გადახედვას მოითხოვს უკანასკნელი აქტი, რომელიც რამდენადმე შორდება ნაწარმოების დედააზრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ბათუმის თეატრის დღევანდელ ფიქრობთ, ვიხსენებთ მის კარგსა და სუსტ სპექტაკლებს, პირველი საფიქრალი მაინც თანამედროვეობის თემატიკაა: ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, ახალი პრობლემები, მოვლენების ახლებური მხარეები, თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიური თავისებურება, მისი ემოციური თუ იდეური სამყარო, ოჯახი და საზოგადოება და, ვინ იცის, კიდევ რამდენი კითხვა არ წამოიჭრება, როცა საქმე თანამედროვეობას ეხება. თეატრს არ შეუძლია ერთბაშად გასცეს პასუხი ყოველ კითხვას. ეს შეუწყვეტელი, ხანგრძლივი დაძაბული შემოქმედებითი შრომის საქმეა. კარგი თეატრიც ის არის, ვინც ყველაზე უკეთ უპასუხებს თანამედროვე ცხოვრების წამოჭრილ კითხვებს.

ლ. ტოლსტოი სწორად შენიშნავდა: თეატრი ყველაზე დიდი ტრიბუნაა თანამედროვეობისათვისო და ამ დიდ იდეურ ფუნქციას ვერ შეასრულებს თეატრი, თუ სწორად არა აქვს გადაწყვეტილი სარეპერტუარო საკითხები.

ბათუმის თეატრს არ დაუკლია წადილი, რომ თანამედროვეობის ამსახველი პიესებით შეევსო რეპერტუარი. ერთ-ერთი მათგანია ვ. კანდელაკის „ამაღლებული სოფელი". ეს გადამუშავებული ვარიანტია იმ პიესისა, წინა წლებში რომ იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ჟანრის მხრივ „ამაღლებული სოფელი" კომედიაა. პიესაში ბევრია იუმორი. და ეს იუმორი ხომ „მშვენიერი, ჯანსაღი თვისებაა" (ლენინი). დრამატურგი იუმორითა და გონებამახვილობით ამხილებს ადამიანთა მოქმედების, მათი ხასიათის მანკიერ მხარეებს. იწვევს სიცილს და ეს თვითმიზანი როდია... სცენაზე გამოდის ქალი, რომელსაც ოფელია (ნ. წერეთელი) ჰქვია. პირველი დანახვისთანავე გეგულიმება. სახელი — ოფელია ჩვენში სულ სხვა ასოციაციებს იწვევს, ვიდრე ამას სცენაზე ვხედავთ. მაგრამ კომიზმს მარტო ეს შეუსაბამობა როდი ქმნის. არსებითი სწორედ ნ. წერეთლის მიერ შექმნილი სახის ხასიათშია. მისი სიარულის მანერა, საუბრის დროს ხელების ექცენტრული მოძრაობა, ყოფითი დეტალების ხაზგასმული ჩვენება აქტიორულ საშუალებათა იმგვარ კომბინირებას ქმნის, რომ არ შეიძლება იგი სიცილს არ იწვევდეს.

უფრო რბილი ტონები აქვთ მოძებნილი ა. მგელაძეს (ნიკიფორე) და გ. იმნაიშვილს (ქიშვარდი). კოლორიტის გრძნობა, რომელიც ასე მშვენივრად აქვთ განვითარებული ამ მსახიობებს, თითქმის მთავარი აქტიორული ხერხია, რითაც ისინი ქმნიან სახეებს. გერცენს პირდაპირ აოცებდა სიცილის ძალა. იგი წერდა: „უეჭველად, სიცილი დანგრევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღიაო". და მართლაც გა-

გონდებათ ეს სტრიქონები, როცა „ამაღლებულ სოფელს“ (რეჟისორი შ. ინასარიძე, მხატვარი ა. ფილიპოვი, მუსიკა ა. ფარცხალაძისა) უყურებთ. უყურებთ და გულიანად იცინით ახალ ცხოვრებას ჩამორჩენილ ადამიანებზე, იმათზე, ვინც ძველი, ერთხელ მოპოვებული სახელით ცდილობს დაფაროს თავისი შინაგანი სისუსტე და უნიათობა. სწორედ ამგვარი ტიპია კოლმეურნეობის თავმჯდომარე (ხ. მიქელაძე).

ვ. კანდელაკის პიესას აკლია სიუჟეტური ხერხემალი. ეს გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს სპექტაკლზეც. განსაკუთრებით მოდუნებულია უკანასკნელი მოქმედება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აქ სათქმელი უკვე აღარაფერია. რაღაც უეცარ მეტამორფოზასავით მოჩანს აბენიკოს გარდაქმნის ფაქტიც.

ვ. კანდელაკის პიესასთან ერთად თეატრს რეპერტუარში აქვს სხვა კომედიაც. ლაპარაკია ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებზე („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“). მართალია, ზოგადად, ჟანრის თვალსაზრისით თუ შეეხედავთ, ორივე პიესა ერთგვაროვანია, მაგრამ ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ უფრო ცოცხალი სურათების თემატური გაერთიანებაა. ვიდრე იმგვარი პიესა, როგორც ეს ტრადიციულად გვაქვს წარმოდგენილი. პიესას საფუძველად უდევს უღრმესი იუმორი. სიცილი აქ უკვე მთავარი კომპონენტივითაა. რა კარგად ამბობდა გერცენი: „სიცილი ათანაბრებს“ (ადამიანებს— ვ. კ.). ეს კი არ სურთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ეშინიათ თავიანთი საკუთარი ხვედრითი წონის ანაბარად დარჩენისა“. ამ ღრმაზროვან სტრიქონებში ბევრი რამ არის საგულისხმო. იგი გვაგონდება მაშინაც, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ რომ ვუყურებთ.

წარმოდგენა სტილისტურად მთლიანია. რეჟისორს (შ. ინასარიძე) და მხატვარს (გ. ცერაძე) მარჯვედ მოუძებნიათ სურათების გამაერთიანებელი საშუალებანი. კომპოზიციურად შეუკრავთ მთელი სპექტაკლი და მხატვრულ-სტილისტურ მთლიანობაში წარმოუსახავთ სცენური ცხოვრება, რომელიც ძირითადად, ცალ-ცალკე სურათებისა და ეპიზოდების სახით იყო განლაგებული პიესაში.

ილიკო (მ. ჯალაღონია) და ილარიონი (მ. შერვაშიძე) — ეს არის ორი შესანიშნავი ლიტერატურული ტიპი. მათი მხატვრული ცხოვრება მდიდარია უცნაურობებით, ეს უცნაურობანი წარმოიშობიან მათი ურთიერთობიდან. ისინი ერთმანეთს დასცინიან, ეხუმრებიან, მაგრამ საოცრად უყვართ ერთმანეთი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა, რომ ეს ადამიანები შესტრფიან სიცოცხლეს, უყვართ ჯანსაღი იუმორით, სიცილითა და სიხარულით სავსე ცხოვრება. გონებამახვილობა სიტყვასა და ქცევაში — ეს არის მათი ცხოვრებისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულების ფორმა. მსახიობების მ. ჯალაღონიასა და მ. შერვაშიძის წარმატებაც სწორედ ის არის, რომ ორივე ჩინებულად ფლობს არა მარტო სცენურ იუმორს (მოქმედებაში გამხელილს), არამედ წმინდა ლიტერატურულ გონებამახვილობასაც. მათ მიერ რეალისტურად წარმოსახულ გმირებს სცენაზე მინიჭებული აქვთ ნამდვილი, კეთილი ადამიანების ცხოვრება. და მთელი სპექტაკლიც ჰუმანიზმით არის გამსჭვალული.

ბებიას როლი ნ. კეჭეუმაძემ განახორციელა. მან ახალი სცენური სიცოცხლე მიანიჭა დრამატურგების მიერ შექმნილ ტიპს. ნაწარმოების საერთო ჰუმანური და ოპტიმისტური პათოსი შეისისხლხორცა და სახიერად გამოხატა ი. ცანავამ ზურიკელას როლში.

ეს სამი სპექტაკლი („ვაზის ტირილი“, „ამაღლებული სოფელი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) უსათუოდ იქცევს ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობის ინტერესს. ქართული ორიგინალური პიესების მხარდაჭერა იმის საწინდარია, რომ თეატრი კვლავ უფრო მეტად დაინტერესდება თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებებით, უფრო მკაფიოდ და სისხლსავსედ გამოსახავს ახალი ადამიანის სცენურ პროფილს, უფრო ღრმა იდეური შინაარსითა და მდიდარი ემოციებით გამოაჩენს საბჭოთა ადამიანების სახეებს.

...ბათუმის თეატრი გუშინდელი დღე როდია. იგი ჩვენი დღევანდელობით ცხოვრობს და ახალი იმედებით ესწრაფის მერმისს. მიზნის მიღწევისათვის ბრძოლის ეს გზა რთულია და წინააღმდეგობებით სავსე, ისევე, როგორც დიდი ხელოვნებისაკენ მიმავალი ყოველი გზა. ის, რაც ამჟამად შექმნა თეატრმა, მცირე საფეხურია დიდისათვის. აღნიშნული სპექტაკლები გარკვეულ წელილს შეიტანენ კეთილშობილური მიზნისაკენ ლტოლვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაურის შთაბეჭდილებანი

ტურიზმი, როგორც აქტიური დასვენების ერთ-ერთი სახე, ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ფართოვდება. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. საბჭოთა ადამიანებს ახლა იმის ყველა პირობა აქვთ, რომ დაისვენონ კურორტებზე — სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, ან დრო გაატარონ წარმტაც ტურისტულ მოგზაურობაში.

ტურისტული ლაშქრობები თუ მოგზაურობანი განსაკუთრებით იზიდავს ახალგაზრდობას, რადგან ტურიზმი საშუალებას აძლევს მას არა მარტო დაისვენოს, არამედ იმავე დროს შეისწავლოს ჩვენი სამშობლო, გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნავ ადგილებსა და ისტორიულ ძეგლებს, დატკბეს ბუნების მშვენიერებით, განვითაროს ძალღონე, მოხერხება და გამძლეობა.

სავსებით კანონზომიერია ისიც, რომ ტურისტთა დიდი ნაწილი ეტანება კავკასიას, უპირველეს ყოვლისა კი საქართველოს. საქართველო ხომ ჩვენი დიადი სამშობლოს ულამაზესი და უძველესი მხარეა, სადაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ღირსშესანიშნავ ადგილებსა და ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც მოგვითხრობენ გმირი ქართველი ხალხის საამაყო უძველეს წარსულსა და კომუნიზმის მზით განათებულ ბედნიერ აწმყოზე. საქართველო მართლაც მშვენიერი ქვეყანაა და, როცა მას ვესტუმრები, ყოველთვის მაგონდება დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვები:

მე ვიცი:
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ
ლექსავდნენ ოცნებით,
ალბათ
საქართველო
ედემად გამოჰყვეს,
მასზე თუ
გალობდნენ
მგოსნები.

დიახ, ასეთია საქართველო და რომელი ტურისტული მარშრუტიც არ უნდა აირჩიო ამ უმშვენიერესი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ყველა ერთი მეორეზე ლამაზი და წარმტაცია. მაგრამ მგონია, რომ მარშრუტი ბორჯომი-ბათუმი მაინც გამოირჩევა მათ შორის როგორც ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლების სიმდიდრით, ისე ბუნების საოცარი სურათების მომხიბვლელობითა და თავისებურებებით.

კურორტი ბორჯომი საქვეყნოდაა ცნობილი. იგი მდებარეობს მდინარეების მტკვრის, ბორჯომელასა და გუჯარეთისწყლის დაბლობში და შემოფარგლულია თრიალეთისა და აჭარა-იმერეთის ქედების განშტოებებით. კურორტი ყოველწლიურად უამრავ დამსვენებელს იზიდავს თავისი სახელგანთქმული რბილი კლიმატით, უმდიდრესი ფოთლოვან-წიწვოვანი ტყეებითა და სასწაულმოქმედი მინერალური წყლებით. აი აქ, საქართველოს გულში იწყება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მარშრუტი, რომელიც გადის ვარძია-ბაკურიანზე და მთავრდება ბათუმ-მწვანე კონცხზე.

ეს მარშრუტი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ აშკარად მოწმობს, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენი მშობლიური პარტია და მთავრობა ტურიზმის განვითარებისათვის, როგორ ეწყობა და მშვენიერდება ტურისტული ბაზები. ბორჯომის ტურისტული ბაზა, მაგალითად, ახლა მოთავსებულია ე. წ. პლატოზე, სადაც 1957 წლამდე ცარიელი ადგილი იყო და ვერც ერთ ნაგებობას ვერ დაინახავდით. ამჟამად აქ, სოჭის ტყეში, ოთხი ათას ჰექტარზე სამოცი კარავია გაშლილი, რომლებიც ყოველწლიურად ემსახურებიან ოთხი ათას ოთხას საგზურიან და, სულ ცოტა, ამდენი-

ვე „თვითმოქმედ“ ანუ უსაგზურო ტურისტს.

ბორჯომში ჩასულ ტურისტთა ერთი ნაწილი მოგზაურობს ადგილობრივი მნიშვნელობის რკალური მარშრუტით (ბორჯომი, ვარძია, ბაკურიანი, კვლავ ბორჯომი), მეორე ნაწილი კი ეცნობა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს. ამ უკანასკნელ მარშრუტს (ბორჯომი, ბაკურიანი, ზეკარის უღელტეხილი, მაიაკოვსკი, ქუთაისი, მწვანე კონცხი, ბათუმი) საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

ბორჯომის ტურბაზაში ყოფნის მეხუთე დღეს ტურისტები ეცნობიან გასაოცარი სილამაზის ტბას, რომელსაც კახესი ჰქვია და მდებარეობს ზღვის დონიდან ათასექვსასა მეტრზე. ტბის გზა მიჰყვება ერთი მხრივ მდინარე მტკვრის დაბლობს, ხოლო მეორე მხრივ აჭარა-იმერეთის ქედს. გაივლიან რა უძველეს სოფელ ჩობისხევს მანქანით, ხოლო შემდეგ ათ კილომეტრს ქვეითად, ტურისტები მთელ გზაზე ტბებიან ბუნების საკვირველი მშვენიერებით. აქ უხვადაა ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეები, რომლებითაც დაფარულია მთები და გორაკები, მორაკრაკე ანკარა წყაროები, მთის მქუხარე ღელეებს რომ ერთვიან, და ცხელი მინერალური წყლები.

როცა ამ დაუვიწყარ ადგილებს ათვალიერებ, უნებურად გაგონდება დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის სიტყვები: „აი უკვე ორი კვირაა ბორჯომში ვარ. ვიტყვი, რომ ეს არის ერთი უმშვენიერესი ადგილი, რომელიც კი ოდესმე მინახავს... ჩემი აზრით, ეს არის ყველაზე ღვთიური და ულამაზესი ადგილი მსოფლიოში“. ჩემი მხრივ, მთლიანად ვუერთდები გენიალურ კომპოზიტორს და ვადასტურებ მის სიტყვებს. სულ ცოტა ხნის წინათ მეც ვიმოგზაურე ბუნების სილამაზით ისეთ სახელგანთქმულ ქვეყნებში, როგორიცაა შვეიცარია, ჩრდილოეთ საფრანგეთი და იტალია, სრულიადაც არ უარვყოფ ჟენევის ტბისა და ალპების სილამაზეს, მაგრამ მათ ბევრად მირჩევნია საქართველოს დიდებული ბუნება, აჭარის ზღაპრულად მშვენიერი ფაუნა და ფლორა.

არანაკლებ მიმზიდველია საქართველოს მეორე საყოველთაოდ ცნობილი კურორტი ბაკურიანი. ხშირი ნაძვნარი, შესანიშნავი მთის ჰავა და ულტრაიისფერი სხივების სიუხვე მას ხდის ჯანმრთელობის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას კერად. ბაკურიანს კარგად იცნობენ ჩვენი სპორტსმენებიც. აქ არის რამდენიმე სამთო-სათხილამურო ბაზა და ხშირად ეწყობა საკავშირო თუ რესპუბლიკური შეჯიბრებანი სპორტის ზამთრის სახეობებში.

ტურისტთა ნამდვილ გაოცებას იწვევს ქალაქი-გამოქვაბული ვარძია, რომელიც თამარ მეფეს აუშენებია XII საუკუნეში. იგი ქართული ძველი კულტურის უმაღლესი დონის „ცოცხალი“ დადასტურებაა.

მოგზაურობის დასასრულს ქუთაისელი ტურისტები ჩამოდიან ბათუმში, მწვანე კონცხზე, სადაც არის მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ბოტანიკური ბაღი. ქალაქი ბათუმი თავისი განუმეორებელი მწვანე სამოსით, მზის მცხუნვარებით, ზღვით, ქუჩებისა და სახლების სილამაზით ყველა მოგზაურს ნამდვილად რომ ხიბლავს. გარდა სკვერებისა, აქ არის ორი შესანიშნავი პარკი. ერთი მათგანი — ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი ახალგაზრდობის დასვენების უბადლო კერაა. აქ არის შესანიშნავი ტბა, რომელზეც დაცურავენ ნავები, გლისერები და სპეციალური გემიც კი. პარკის ხეივნებს ამშვენებს შესაფერი ქანდაკებანი. ბევრ ბავშვს იზიდავს პარკის სასპორტო მოედნები, კარუსელი და სხვა გასართობი. დიდებული სანახავია ზღვისპირა პარკი, რომლის ბადალი, გამოვტყდები, არსად არ მინახავს.

თუ წინათ, 1958 წლამდე ბათუმს არ ჰქონდა კარგი ტურბაზა და ამასთან იგი მდებარეობდა ზღვიდან დაშორებით, პუშკინის ქუჩაზე, ახლა მას აქვს შესაფერისი. სავსებით თანამედროვე ტურისტულ ნაგებობათა მთელი კომპლექსი. ახალ ტურბაზას, თანამად შეიძლება ითქვას, საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს. იგი გაშენებულია ზღვის პირზე, უკავია ერთ კილომეტრამდე ფართობი და ყოველდღე იღებს სულ ცოტა ორასორმოცდაათ ტურისტს. ტურისტები იყოფიან სამ კატეგორიად. ერთნი აქ რჩებიან სამ დღეს, მეორენი — ექვს, ხოლო მესამენი — ოც დღეს. ბაზას აქვს მშვენიერი ოთხ და ორადგილიანი საძინებელი ოთახები, რეგულარულად ეწყობა ლექციები და კონცერტები. თვითშემოქმედების საღამოები. ტურისტთა განკარგულებაშია პლაჟი, ბიბლიოთეკა და სხვა კულტურული გასართობნი, რაც ქმნის ტურისტთა დასვენების შესანიშნავ პირობებს.

ბათუმში ყოფნისას ტურისტები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, აჭარის სუბტროპიკულ ბუნებას, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტურისტთა განცვიფრებას იწვევს ბოტანიკური ბაღი და მწვანე კონცხის ზღაპრული ხედები. ისინი რამდენიმე დღეს რჩებიან აქ, რათა რაც შეიძლება ღრმად შეისწავლონ თითქმის მთელი მსოფლიოს ფლორა, რომელიც ბოტანიკურ ბაღშია წარმოდგენილი.

ბათუმი და მწვანე კონცხი ტურისტული მარშრუტის მართლაც რომ მშვენიერი დასასრულია.

ჟ. კომისაროვა,

რსფსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური სიხარულიძე

1. მირიან კეკელიძე – მუსტაფა ხაზინადარი

XVIII საუკუნე იწურებოდა. ოსმალთა ბატონობით შეწუხებული აჭარა შფოთავდა და დამპყრობლის მძლავრობისაგან თავდახსნას ესწრაფოდა. დედა-სამშობლოს ქართველობა დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა მიტაცებულ მხარეთა ქართველების ბრძოლას და ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ. განსაკუთრებულ გულისყურს იჩენდა აჭარისადმი მეზობელი გურია. საბრძოლველად ხმალშემართული აჭარაც გურიას სახავდა მტკიცე მოკავშირედ. ამიტომ, ბუნებრივია, XVIII საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გურიისა და აჭარის მესვეურები ისწრაფოდნენ დამოყვრებოდნენ ერთმანეთს. თუ სვიმონ III გურიელის (1789-1792 წ. წ.) ასული—კესარია—რძლად დაისვა ბრძოლად ამდგარი აჭარის წინამძღოლმა სელიმ ხიმშიაშვილმა, ცხადია, ეს უბრალო ნათესაური აქტი როდი იყო.

ვინ იცის, ამ დროს დედა-სამშობლოს რამდენ მამაც შვილს აღძვრია აჭარაში გადასვლისა და ღვიძლ ძმებთან ერთად დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი. მათ შორის ყოფილა ბეოლიეთელი (დღევანდელი ჩოხატაურის რ.) მირიან კეკელიძეც. თვრამეტიოცი წლის იქნებოდა იგი, როდესაც იარაღი აუსხამს და სელიმ ხიმშიაშვილს ხლებია თავის რეზიდენციაში სოფ. ნიგაზეულს (დღევანდელი შუახევის რაიონი). ამ უკანასკნელს უპირველეს ყოვლისა მ. კეკელიძის ტანადობა და სიტყვაპასუხი მოსწონებია. შემდეგ კი მისი გულადობითა და გონებრივი გამჭრიახობითაც მოხიბლულა, თავის ნათესავ ქალზე (მემედ-აღა ხიმშიაშვილის შამიდაზე) დაუქორწინებია მანჩხაურში (სოფლის უბანია ნიგაზეულში) და თავისი ხაზინის გამგებლად დაუნიშნავს. ახალგაზრდა მირიანი მშობელ მამასავით შეთვისებია ს. ხიმშიაშვილს, ისლამი მიუღია და მუსტაფად წოდებულა.

მუსტაფა ხაზინადარი აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც სელიმის აჭარა აწარმოებდა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. მართალია, ეს უთანასწორო ბრძოლა იმჯერად მარცხით დამთავრდა და მსხვერპლიც დიდი იყო (მანვე გადაიტანა ს. ხიმშიაშვილიც), მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ოსმალებმა აიკლეს ხიმშიაშვილის ოჯახი. სელიმის შვილებმა გაქცევით უშველეს თავს. ორმა მათგანმა — ახმედმა და აბდიმ (ეს უკანასკნელი გურიელს სიძე იყო) გურიას შეაფარეს თავი. ლტოლვილ ძმებს გურიაში ახლდა ხაზინადარიც. ეს უკანასკნელი გაგზავნეს ძმებმა კავკასიის მთავარმმართველთან ბარათით, რომელშიც თავიანთ მძიმე მდგომარეობაზე მიაქცევდნენ ადრესატის ყურადღებას და დახმარებას სთხოვდნენ რუსეთის დიდმოხელეს.

ხიმშიაშვილები ამ ბარათში (დათარიღებულია 1815 წლის 13 ივლისით) წერდნენ: „ამასთანავე ჩვენის საქმის ყოვლისავე სალაპარაკოდ და მოსახსენებლად თქვენს მაღალაღმატებულებასთან გვიახლებია მამაჩვენის პატიცემული ხაზინადარი მუსტაფა აღა. რომელსაც ჩვენ ვედრებასა და თხოვნას პირისპირ ეს მოგახსენებთ. ვითხოვთ თქვენგან, ამას მოხსენება და ლაპარაკი გააბედნინოთ და ჩვენ თხოვნასაც პატივი სცეთ!“

და მხოლოდ ახლა უკისრია საგარეო საქმეებში კარგად ჩახედულ და დარბაისელ ხაზინადარს ასეთი მისია? სელიმის სიცოცხლეშიც არაერთგზის ყოფილა იგი საგანგებო რწმუნებით იმერეთში თუ სხვა მეზობელ სამეფო-სამთავროთა კარზე.

მუსტაფა ხაზინადარის შთამომაელობა სახელოვანი წინაპრის თანამდებობის მიხედვით კუთხე-მეზობლობაში ხაზინადარიშვილებად იწოდნენ. ხაზინადარიშვილი — კეკელიძენი დღესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლომად ცხოვრობენ სოფელ ნიგაზეულში (37 კომლი) და მამა-პაპის გადმოცემით კარგად ახსოვთ თავისი ბაკოლიეთიდან წარმომავლობა.

კეკელიძე-ხახინადარის ცხოვრება საინტერესო ეპიზოდია იმ ღრმა სიყვარულისა და ზრუნვისა, რომელსაც დედა-სამშობლოს ბა ავლინებდა ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებული აჭარისადმი.

2. სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი

1815 წლის გაზაფხულზე ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებული აჭარის მთავარ ბასტიონს არზრუმის სერასკირი ბაბა ფაშა ფეხლევანი შემოადგა. მეცხოვნეთა მამაცობისა და ხიხანის მიუდგომლობის გამო სერასკირის ლაშქარი იქ კარგახანს უშედეგოდ იდგა. ხიხანის არწივების ძლევის ერთადერთი გზა ციხის შიგნიდან გატეხაზე მიდგა... და ვერცხლმა თავისი გაიტანა, ხიხანი დაეცა...

ბევრი გულადი მამულიშვილი დაიღუპა. სელიმ ხიმშიაშვილი და მისი ახლო თანამებრძოლები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. გადმოცემით, სელიმისათვის თავი მოუკვეთიათ ხიხანის მახლობელ სერიყანას (სოფ. ბაკოს ზემოთ, ხულოს რაიონში). მამაცი ხიმშიაშვილის თავი სტამბოლს წარუგზავნიათ ფადიშაჰთან, ხოლო ტანი სოფ. შიგანაში (ხულოს რაიონშია) დაუმარხავთ. რამდენიმე ხნის შემდეგ სელიმის ნეშტი თავისიანებს აქედან მშობლიურ სოფელ ნიგაზეულში გადაუსვენებიათ.

ს. ხიმშიაშვილის ნიგაზეულში დაკრძალულობაზე ცნობა დაუცავთ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს (აჭარაში იმოგზაურა 1873 წელს, როდესაც ჯერ კიდევ მრავალად იყვნენ ამ ამბის მომსწრენი), მწერალ თედო სახოკიას და სხვებს. ეს ცნობა ეპვს არ იწვევს. საძიებელია მხოლოდ სელიმის განსასვენებელი ადგილი.

სოფელ ნიგაზეულში ორ ადგილას მიგვითითებენ სელიმის საფლავს — ჭოლოღელესა და წყანიშურში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჭოლოღელეში მიწის ხვნის დროს გამოჩნდა ერთი ძველი საფლავი. იგი სელიმის ციხე-დარბაზის ახლოსაა და ამიტომ ზოგიერთი მისად თვლის, მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან ადგილი, სადაც ეს სამარხია, სელიმის არ არის, იგი ხიმშიაშვილთა სხვა შტოს (ახმედ-აღას თახუმს) ეკუთვნოდა. ძნელი წარმოსადგენია, სელიმი სხვის მიწაში დაემარხათ და არა წყანიშურში — აბდულ-აღა ხიმშიაშვილის (სელიმის მამის) შთამომავლობის სასაფლაოზე.

ეს სასაფლაო მდებარეობს წყანიშურის ღელის მარცხენა მხარეზე, წყანიშურისა და ზეგარდას საზღვარზე, ნადგულეების სერის აღმოსავლეთით. გადმოცემით, ეს სასაფლაო ამ ციცაბო ადგილას აბდულ-აღა ხიმშიაშვილს გაუკეთებია და პირველი აქ დაუმარხავს თავისი ერთ-ერთი საყვარელი შვილი, რომელიც ადრე მოკვდომია. შემდეგ აქ ბევრი სხვაც დაუმარხავთ აბდულ-აღას ოჯახიდან და, მათ შორის, სელიმიც.

სელიმი რომ აქ უნდა იყოს დამარხული, ეს თითქოს უეჭველია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მისი საფლავის გამოცნობა ძნელდება, რადგან იქ სელიმამდე და მის შემდეგაც არაერთი სხვა დამარხულა და არა მარტო ხიმშიაშვილები, არამედ უშარიძენიც. ამ უკანასკნელთა და ხიმშიაშვილთა საფლავების გამიჯვნა აღვილად ხერხდება. უშარიძეთა საფლავები უფრო ახალი დროისაა და სასაფლაოს ზემო მხარე უჭირავს, ხოლო ხიმშიაშვილთა საფლავები ქვემო ზოლშია განლაგებული. აქ, თითქმის ცენტრალურ ადგილას, არის ერთი სამარხი, რომელზეც მუხა და ნაძვია ამოსული (ჩვენის აზრით, ამ მცენარეთა წლოვანება ას წელს არ უნდა აღემატებოდეს). ადგილობრივი მხცოვანი პირების ცნობით, ეს არის სელიმის საფლავი. ამ ცნობას რამდენადმე ამაგრებს ჩვენი დაკვირვებაც. ეს საფლავი შედარებით უფრო ძველი საფლავების რიგშია მოქცეული. მის ჩრდილო-დასავლეთით კი უფრო გვიანდელი საფლავები შეინიშნება. სელიმის დროს ეს ახალი სამარხი ალბათ იყო. მის უწინარეს აქ სულ რამდენიმე პირი თუ იყო დამარხული. ეტყობა, დასაფლავება სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან დაუწყიათ. სელიმის საფლავიც სწორედ რამდენიმე სამარხის შემდეგაა.

სელიმ ხიმშიაშვილი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია იმ სამხრეთელი ქართველებისა, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს თურქთა ბატონობისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებას. ამიტომ იგი უდავოდ ღირსია იმისა, რომ მისი საფლავი მოვიკითხოთ, გავწმინდოთ, შეეღობოთ და რაიმე მემორიალური ნიშანი (მცირე ობელისკი მაინც) დაეუდგათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებო მონოგრაფია ზემოაჭარული დიალექტის შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა აჭარული დიალექტის, როგორც მნიშვნელოვანი გრამატიკული თავისებურებებისა და მდიდარი და ნაირფეროვანი ლექსიკის შემცველი კილოს, მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობა. ამითაც აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელიც შოთა ნიკარაძის მონოგრაფიამ „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი" (ბათუმი, 1961 წ.) გამოიწვია. იგი ქართული დიალექტოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია და ნაწილობრივ ავსებს იმ ხარვეზს, რაც დღემდე ასე თვალსაჩინო იყო. „ნაწილობრივს" იმიტომ ვამბობთ, რომ აჭარული დიალექტის, როგორც მთლიანი ერთეულის, ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევის გამოცემა მომავლის საქმეა.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს აჭარული დიალექტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის — ზემოაჭარულის ენათმეცნიერული დახასიათების სერიოზულ ცდას. თუ რა დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ამ ცდას, ეს ნათლად ჩანს წიგნის რედაქტორის დოცენტ შ. ძიძიგურის წინასიტყვაობაში, სადაც იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ აჭარული დიალექტი, კერძოდ მისი ზემოაჭარული სექტორი, ერთობ საყურადღებოა სამხრეთ საქართველოს მეტყველების პროფილის დასადგენად. ცნობილია, რომ ჩვენი სამშობლოს ამ მხარეში მომხდარი ისტორიული პროცესების წყალობით ქართული ენის სამხრულმა მეტყველებამ სერიოზული ცვლილებები განიცადა. ჭოროხის ხეობის, ისევე როგორც მტკვრის აუზის, ქართული დიალექტური ერთეულის უცხო ენობრივ სინამდვილესთან კატასტროფულმა შეხებამ გადაშენების გზაზე დააყენა მესხური დიალექტის ის ძველი სახე, რომელიც გარკვეულ საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის შენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა... ზემოაჭარული მეტყველება ერთადერთი მსხვილი კილოური ერთეულია, რომელიც გვესახება, როგორც „ცოცხალი მოწმე" ქართული ენის სამხრული დიალექტური ჯგუფის ისტორიული ვითარებისა, მესხური მეტყველების სტრუქტურის მაჩვენებელი (გვ. 7-8).

რა თქმა უნდა, შ. ნიკარაძის ნაშრომის მეცნიერული ღირებულება მარტო პრობლემის დიდი მნიშვნელობით არ ამოიწურება. მთავარი ისაა, რომ ავტორი სათანადო ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, საკმაო სიცხადით გვიჩვენებს ზემოაჭარულის მთავარ თავისებურებებს როგორც ფონეტიკაში, ისე გრამატიკასა და ლექსიკაში. კერძოდ, უხვი ფაქტობრივი მასალის მომარჯვებით აანალიზებს ავტორი ზემოაჭარულის ფონეტიკურ სპეციფიკას. დეტალურად განიხილავს ბგერითს შედგენილობას, ფონეტიკურ პროცესებს (ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია, აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია, კომპლექსთა შენაცვლება, ბგერათა დაკარგვა, ხმოვნის ელიზია, ბგერათჩართვა, რედუქცია, გემინაცია, სრულხმოვნობა, ანალოგია და სხვ.); ავტორის მსჯელობა გამაგრებულია მდიდარი საილუსტრაციო მაგალითებითა და წყაროებით. ამავე დროს შ. ნიკარაძე ყოველგვარი თავისებურების ახსნა-დადგენ-სას ზუსტად მიუთითებს ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურას, სქოლიოებში გვიჩვენებს გამოკვლევათა სრულ ნუსხას, რაც კიდევ უფრო ზრდის სარეცენზიო შრომის მეცნიერულ ღირებულებას.

ზემოაჭარული დიალექტის მორფოლოგიური ანალიზისას შ. ნიკარაძე ახასიათებს სახელთა ბრუნვების, ზმნის უღლებისა და უდეტრების წარმოებათა თავისებურებებს, სიტყვაწარმოე-

ბის დამახასიათებელ მოვლენებს. ავტორის მსჯელობა ნათელი, გასაგები და დამაჯერებელია. შ. ნიკარაძე ყველგან ითვალისწინებს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ფაქტებს. რა თქმა უნდა, ყველა განხილული ენობრივი მოვლენის ავტორისეული ინტერპრეტაცია შესაძლებელია მეტ არგუმენტაციასა და დიალექტთა მონაცემების გათვალისწინებას მოითხოვდეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ავტორს მეცნიერული კეთილსინდისიერებით და ღრმად შეუსწავლია დასმული პრობლემა. იმედია, ბევრი საკითხი მომავალი კვლევა-ძიებით დაზუსტდება და საბოლოოდ გაირკვევა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სარეცენზიო წიგნი მთლიანად ქართული ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე დგას.

კარგია, რომ ავტორს ცალკე გამოუყვია ე. წ. ტოპონიმიკური სახელები და დაუჯგუფებია ისინი მაწარმოებელთა მიხედვით. აჭარის ტოპონიმიკა, შეიძლება ითქვას, საკმაო სისრულით არის შესწავლილი, ამ საკითხზე სქელტანიანი მონოგრაფიაც კი არსებობს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იური სიხარულიძის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა" (წიგნი I, ბათუმი, 1958 წელი). მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული ნაშრომი შ. ნიკარაძის სარეცენზიო წიგნის იმ ნაწილში, სადაც ტოპონიმიკურ სახელთა წარმოებაზეა მსჯელობა (გვ. 110-113), არ არის მოხსენიებული. ეს საჭირო იყო, თუნდაც იმიტომ, რომ შ. ნიკარაძისაგან გაანალიზებული ბევრი ტოპონიმიკური ერთეული აღნუსხულია იური სიხარულიძის ნაშრომში. საილუსტრაციოდ ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით: შ. ნიკარაძე აანალიზებს პრეფიქსით ნაწარმოებ სოფლის სახელს — ნაკაფი, ეს სახელი კი იური სიხარულიძის ნაშრომში თორმეტჯერ არის მოხსენებული (იხ. გვ. 216).

სინტაქსური თავისებურებებიდან სარეცენზიო ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაზე, ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმებაზე, მართვაზე, კავშირების თავისებურებაზე. ცალკე მსჯელობს ავტორი ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: თავისებურებანი რთულ და მარტივ წინადადებებში, გარემოებანი, სინტაქსური კალკი, მახვილი და ორმაგი უარყოფა. ერთი სიტყვით, როგორც ფონეტიკური, ისე გრამატიკული მხარე ზემოაჭარული დიალექტისა საკმაო სისრულითაა გაანალიზებული.

განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მსჯელობა ზემო და ქვემოაჭარულის ურთიერთმიმართებაზე. ასევე ინტერესმოკლებული არაა ზემოაჭარულის მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან, რასაც ავტორი საკმაო დამაჯერებლობით არკვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ნაშრომის დასასრულს ავტორი კვლევს ზემოაჭარულის ლექსიკურ თავისებურებებს იმ ტექსტების საფუძველზე, რომლებიც თვითონვე ჩაუწერია. ყველა ტექსტი საკმაო სიზუსტითაა ჩაწერილი და ეს გასაგებიცაა, რადგანაც შ. ნიკარაძე აჭარელია და ეს კილო ბავშვობიდანვე აქვს შეთვისებული.

სარეცენზიო წიგნის ანალიზი ნათლად გვარწმუნებს იმაში, რომ ზემოაჭარული დიალექტის ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა არსებითად იგივეა, რაც საერთოსახალხო ქართული ეროვნული ენისა. მაგრამ მათ შორის მაინც ამ მხრივ თვალსაჩინო განსხვავებაა და, ამდენად, თავიანთი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მოეპოვებათ. ამ დებულებას ნათლად ადასტურებს შ. ნიკარაძე თავის მონოგრაფიაში.

ნაშრომს ახლავს ტექსტები (გვ. 147-228), სადაც საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი საზოგადოების ეკონომიური წყობისა და სოციალური ურთიერთობის ამსახველი სპეციფიკური ლექსიკა და სამეურნეო მოსაქმეობის თავისებურებასთან დაკავშირებული სიტყვა-ტერმინები. აგრეთვე კარგად შედგენილი ლექსიკონი, რომელშიც შესულია შვიდასოცი სიტყვა. სიტყვათა განმარტება ზუსტი და ამომწურავია.

დასასრულ, გვსურს აღვნიშნოთ შემდეგი: შ. ნიკარაძის „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი" ამავე ავტორის წიგნის („ზემოაჭარულის თავისებურებანი", ბათუმი, 1957) საფუძველზე გადამუშავებას წარმოადგენს. იგი არსებითად ამ წიგნის მეორე გამოცემაა. მაგრამ ავტორს იგი გაუვრცია, თავისი დებულებები გაუმაგრებია და არგუმენტაცია ენობრივი მოვლენების კვლევისას უფრო დამაჯერებელი გაუხდია. ამავე დროს გაუთვალისწინებია ის კრიტიკული შენიშვნები თუ სურვილები, რომლებიც პრესაში გამოითქვა ნაშრომის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით (იხ. ბაგ., ბ. გაჩეჩილაძის რეცენზია, მოთავსებული გაზეთში „სახალხო განათლება", 11-XII, 1957).

შ. ნიკარაძის „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი" დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ისტორიათეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებსაც. სასურველია, ავტორმა კვლავ განაგრძოს მუშაობა აღნიშნულ პრობლემაზე და მომავალში მოგვაწოდოს მთლიანი მონოგრაფია აჭარული დიალექტის შესახებ.

რაფიელ ზამელაშვილი,

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

განდეგილი — ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე

დომინიკა ერისთავი, რომელიც განდეგილის ფსევდონიმითაა ფნობილი, საინტერესო შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე იყო. მრავალი წლის მანძილზე იგი უანგაროდ და მთელი გატაცებით ემსახურებოდა ქართულ კულტურას, დაუცხრომლად ზრუნავდა მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. საგულისხმოა, რომ თუმცა განდეგილი ქართული ლიტერატურის ისეთი კორიფეების გვერდით მოღვაწეობდა, როგორიც იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები, მაგრამ მისი ხმა მაინც მკაფიოდ გაისმოდა ჩვენს მწერლობაში. ეს, ცხადია, მოწმობდა მის ხალას პოეტურ ნიჭს.

ამიტომ უთუოდ მისასალმებელია „საბჭოთა საქართველოს" ინიციატივა, რომელმაც ამას წინათ გამოსცა ნინო ჩიხლაძის მონოგრაფიული ნარკვევი „დომინიკა ერისთავი — განდეგილი". მასში ავტორმა პირველად სცადა გადმოეცა განდეგილის ვრცელი ბიოგრაფია და ეჩვენებინა მისი საზოგადოებრივი ღვაწლი, მისი წვლილი ქართული ლიტერატურის განვითარებაში. შეიძლება ეს წიგნი უნაკლო არ არის, მაგრამ სრულიად უეჭველია, რომ იგი ავტორს დაუწერია დიდი კეთილსინდისიერებითა და სიყვარულით.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება განდეგილის ბიოგრაფია, რომლის შესადგენადაც ნინო ჩიხლაძეს, ლიტერატურულ წყაროებთან ერთად, უხვად გამოუყენებია მის მიერვე შეკრებილი მწერლის ახლო ნათესავებისა და მეგობარ-ამხანაგთა მოგონებები. ავტორი კარგად გვიჩვენებს განდეგილის ოჯახურ გარემოს, რომლის ლიტერატურულმა ტრადიციებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ახალგაზრდა ქართველი გოგონას ცხოვრების გზა. მწერლობის სიყვარულმა მიიყვანა დომინიკა ერისთავი ჟურნალ „მნათობის" რედაქციაში, სადაც გაიცნო და დაუახლოვდა გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. რედაქციაში მუშაობამ განდეგილს გზა გაუხსნა მწერლობისაკენ. თვითონ პოეტის თქმით, ლიტერატურაში მას ილიასთან ერთად გზა გაუკაფეს აკაკიმ და ნინო ორბელიანმა, ფსევდონიმი „განდეგილიც" მას აურჩევია ილიას ცნობილი პოემის შთაბეჭდილებით.

თავის მონოგრაფიაში ნინო ჩიხლაძე სამართლიანად უთმობს დიდ ადგილს განდეგილის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კერძოდ, იგი საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს, თუ რა სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა პირველი მსოფლიო ომის დროს „ქართველ ქალთა საზოგადოება", რომელსაც პოეტი ქალი ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ღვაწლი, რომელიც განდეგილს მიუძღვის ამავე პერიოდში აჭარის მოსახლეობისადმი ქართველი საზოგადოებრიობის მატერიალური და მორალური მხარდაჭერის ორგანიზაციაში. აი რას ვკითხულობთ საზოგადოების 1915 წ. კრების ერთ-ერთ ოქმში, რომელიც აჭარის ამბებს ეხება:

რადგან ამ დღეს, — ნათქვამია ოქმში, — „სახალხო ფურცელში" მოთავსებული იყო ქ-ნ განდეგილის წერილი აჭარელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ, ამიტომ ერთბაშად მოითხოვეს რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ტანჯულ მოძმეთათვის. „სახალხო ფურცელში" მოთავსებული განდეგილის წერილი „აჭარელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ" აღნიშნავს: — გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში" მოთავსებული წერილი ჰაიდარ ბეგ აბაშიძისა, თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ და დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონებს უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ — აბაშიძის წერილს, უცრემლოდ მეთქი — ვამბობ, — ეს ცოტაა, მე ეჭვითინებდი ბავშვივით... ამავე აღელვებულის გულით მოგმართავთ თქვენ, თქვენი გული მიაპყარით იმ საშინელ კვნესას, იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენ მოძმე მაჰმადიანებს არგუნა ბედმა.

ქართველო ქალებო! ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი გულიდან მოგლეჯილ კუთხეს ქართველმა გამაჰმადიანებულმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ის ენა, რომელიც „ნინო" ღმერთს ადიდებდა. ქართველ მაჰმადიანმა ქალებმა უმღერეს მშობლიური ნანა თავიანთ შვილებს და მასთან ერთად შეისისხლხორცეს ის დიდი და იშვიათი ღირსება, რომელიც წმინდა ქართული რაინდული სულის ღირსებაა. ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული: „ჩვენ უნდა ვშვათ ჩვენი მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს"... და თუ გვწამს ეს დიდი მცნება, გულგრილად ვერ შევყურებთ მოძმეთა დიდ გასაჭირს. ხმა მივცეთ გულდაკოდილ მოძმეთა დიდ გასაჭირს, ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა, იგი ერთგვარი სიყვარულით ეკიცეა, როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან ქართველს. ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი"..

ამ პატარა ამონაწერიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ როგორ მხურვალედ გამოეხმაურა განდეგილი ჰაიდარ აბაშიძის მოწოდებას და რა ახლოს მიიტანა გულთან აჭარელთა უმწეო მდგომარეობა. იგი ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზა-

ტორი იყო იმ დახმარებისა, რომელიც ქართველმა ხალხმა გაუწია აჯარელ თანამოძმეებს 1915 წელს.

მონოგრაფიის ავტორს ცალკე თავად გამოუყვია საკითხი „დომინიკა ერისთავი და ქართველი კორიფეები". აქ იგი მკითხველს დაწვრილებით აცნობს ილიასა და განდეგილის დამოკიდებულებას, მათ მეგობრობასა და თანამშრომლობას ერის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. განდეგილი აღტაცებული იყო ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით და ერთ-ერთ ბარათში სწერდა: „ვინატრი გულით, თქვენი თავი საქართველოს სადიდებლად დიდხანს ყოლოდეს ჩირქმოუცხებელი ჩვენდა სასიხარულოდ... სამშობლოს ღირსეულო შვილო, თავი მოგვწონს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ვცხოვრობთ, იმ მეცხრამეტე საუკუნეში, რომელშიაც ილია ჭავჭავაძე სადიდებლად დაიბადა". და სავსებით ბუნებრივია, რომ განდეგილმა მეტად მწვავედ განიცადა ილიას ვერაგული მკვლელობა, ბრაზით შესძახა დიდი პოეტის მკვლელებს: „კაენ, სად არის ძმა შენი?!" ასეთივე გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა დომინიკა ერისთავს საქართველოს ბულბულთან აკაკი წერეთელთან. „ჩემო ძვირფასო აკაკი, — სწერდა იგი დიდ მგოსანს, — შვიდი წლის კიდეე არ ვიყავი, როცა ქართული წერა-კითხვა ვისწავლე შენი ლექსის „სალამურის" სიყვარულით და აქომამდე იმის ავტორს ვაღიარებ მოძღვრად". პოეტმა ქალმა ძვირფას აკაკის საგანგებო ლექსითაც მიმართა, რომელშიც ამბობდა:

შენი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
და რომ დაიწვა, დაადნი
ნათლად არა სჩანს ეს განა?
აჰა, შეხედე მგოსანო,
მთლად საქართველოს კრებულსა,
შენი მადლიან სიმებით
დამტკბარსა, მირონცხებულსა.

შემდეგ ავტორი გვაცნობს განდეგილის ურთიერთობას ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ ვაჟა, ი. გოგებაშვილი, ალ. ხახანაშვილი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონოგრაფიის დასასრულს ავტორი ეხება განდეგილის მხატვრულ შემოქმედებას, მის ლიტერატურულ მოღვაწეობას. პირველი ლექსის „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების გამო" გამოქვეყნების შემდეგ, როგორც ნ. ჩიხლაძე წერს, დომინიკა ერისთავმა მუშაობა დაიწყო „ივერიის" რედაქციაში და ნაყოფიერად თანამშრომლობდა როგორც „ივერიაში", ისე „ცნობის ფურცელში", „კვალში", „თემში", „ნობათში", „ფასკუნჯში", „სახალხო ფურცელში", „ალმანახში", „ჯეჯილში", „ნაკადულში" და სხვ. გავიდა ხუთი წელი პირველი ლექსის დაბეჭდვიდან და განდეგილმა გამოსცა თავისი ლექსების პირველი წიგნი, ხოლო 1910 წელს — პატარა მოთხრობებისა და ლექსების კრებული. იმდროინდელი კრიტიკა დადებითად შეხვდა დომინიკა ერისთავის ორივე წიგნს. აი რას წერდა ერთ-ერთი კრიტიკოსი: „განდეგილი „შესანიშნავად ფლობს და ხმარობს ქართულ სიტყვიერებას, ჩვენს სალიტერატურო ენის მდიდარ ფორმას, რაც შოთა რუსთაველის, ნ. ბარათაშვილის, ილიას და აკაკის წყალობით ავიდა უმაღლეს წერტილამდე".

განსაკუთრებით აღსანიშნავია განდეგილის დიდი წვლილი მთარგმნელობითს საქმიანობაში. კერძოდ, მან 1898 წელს საუცხოოდ თარგმნა ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან", რომელიც 1902 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. აი რას წერდა ამის თაობაზე ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე: „მას პოეტის სახელი რომ არ ჰქონოდა და მარტო „ვაი ჭკუისაგან" ეთარგმნა, ისიც უკვდავყოფდა მის სახელს".

ნინო ჩიხლაძის მონოგრაფია „დომინიკა ერისთავი — განდეგილი" ჩვენი ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს. მკითხველი საზოგადოებრიობა მას უთუოდ დიდი ინტერესით შეხვდება.

არკადი ხუნდაძე.

სიცოცხლისა და სიხარულის სტრიქონები

ფირუზ ცაზე მიმოფანტული ქათქათა ღრუბლის ქულები და შავი ფრთა, ფრთაში თითქოს თეთრი მარმარილოსაგან ნაკეთები ასოები ჩაუსვამთ „პირველი ფრენა". სამი ფერის ოსტატური შეხამება ლექსების ამ პატარა კრებულს უქმნის მიმზიდველ ფონს.

კრებულის ავტორია ქართველი პოეტი ქალი რუთა ბეროძე.

მართალია, თავის კრებულს „პირველი ფრენა" შეარქვა ავტორმა, მაგრამ რ. ბეროძის შემოქმედებას კარგა ხანია იცნობს მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობა. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე, თანდათან იწმინდებოდა და მჟღერად ხმას იღებდა პოეტის ქნარი. და აი ბოლოს პოეტმა თავისი უკეთესი ქმნილებანი ერთ წიგნში მოაქცია და მკითხველს მიაწოდა.

წაიკითხავ მათ და კმაყოფილი დარჩები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტს ლექსები ლირიკული ხმითაც გაუთბია და ვაჟკაცური ცეცხლითაც აუგიზგიზებია, ინტიმური განცდები მაღალ საზოგადოებრივ ასპექტში აუყვანია და პოეტური აზრისათვის სასიცოცხლო თვისებები მიუნიჭებია.

რ. ბეროძის საყვარელი თემებია მშვიდობა, მეგობრობა, ძმობა და სიყვარული. აქ აღწევს იგი პოეტურ სიმწიფეს. ოცდაერთი წლის გაზაფხულიდან ითვლის პოეტი ქალი ბედნიერ დღეებს, როცა ლენინელებმა —

> რითაც კი სახლი არის მდიდარი,
> იგი ვიკმაროთ სალხინოდ, — ეს თქვეს
> და უცხოობის დიდი მყინვარი
> მაშინვე გალხვა ღიმილის მზეზე.

განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიყვარულით ხატავს ავტორი ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას. კითხულობ რუსი, ლატვიელი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი ხალხებისადმი მიძღვნილ სიყვარულით აღსავსე სტრიქონებს და გჯერა, რომ სამუდამოდ გაქრა შუღლისა და მტრობის კვალი, ყველა ერთად ჩვენი ქვეყნის აღორძინების დიად მიზანს ემსახურება.

პატრიოტიზმის დიდი გრძნობითაა გამსჭვალული პოეტის სამამულო ომის დროინდელი ლექსები. თანამოკალმეებთან ერთად რუთა ბეროძე ომის პერიოდში ქმნიდა გმირ მებრძოლთა სადიდებელ საგალობლებს. პოეტის გულწრფელი და ხალასი საბრძოლო მოწოდება მკაფიოდ გაისმოდა და საბჭოთა ადამიანებს უნერგავდა გამარჯვების ურყევ რწმენას.

დიდ სამამულო ომში ჩვენს გამარჯვებას აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა პოეტმა და ამიერიდან მისი ლექსების წყარო გახდა ომის ჭრილობების მოშუშებისათვის საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა. საბჭოთა ხალხების სამარადისო ერთობა კვლავ ჩვენი ქვეყნის წინსვლის საძირკვლად მოჩანს რუთა ბეროძის ლექსებში. მან არაერთი შთამბეჭდავი ლექსი მიუძღვნა ხალხთა მეგობრობას.

სიამაყე და სიმტკიცე ემატება პოეტი ქალის ხმას, როცა იგი ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს გულს მოსკოვს უმღერის.

მოსკოვი ხალხთა დამეგობრების, სიყვარულის, ძმობის სიმბოლოა. „მოსკოვში დახვდა აზრი ნათელი და გადაშლილი წიგნი ლენინის“ იქ ჩასულ აფრიკელს, ინდოელს, კუბელს, კონგოელს, ესპანელს თუ სხვ.

პოეტი დიდი მგზნებარებით უმღერის რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას, რომელიც ოდითგანვე მომდინარეობს. ყამთა სელამ აიძულა ბევრი ქართველი მიეტოვებინა სამშობლო და რუსეთში გადასახლებულიყო. ამ თემისადმია მიძღვნილი ლექსი „ქართველი და მარხები“, სადაც პოეტი ამბობს:

> ისინი შურმა, მტრობამ განდევნა
> და შეიფარა რუსმა მოძმემ,
> წინაპართ შორის კაცმა რამდენმა
> აქ თანაგრძნობის სითბო მოძებნა.
> დღეს თუ მამული გადაიფარჩა,
> სოფლებს არ არბევს აღამაჰმადი,
> განა ამაში ის კვალიც არ ჩანს,
> წინაპრებმა რომ კვალეს მანამდი?

რუთა ბეროძის პოეზიის შთამაგონებელი ძალა მართალი, ნამდვილი, ჭეშმარიტი და უზადო სიყვარულია. ამ დიდი, ფაქიზი, ლამაზი გრძნობის ამეტყველებისათვის მას სტიქიური განცდით კი არ უსაზრდოებია, არამედ სუფთა მოქალაქეობრივი იდეალებით. ამ ხასიათის ლექსებს საფუძვლად უდევს კონკრეტული ცხოვრებისეული დეტალები. ავტორისათვის უცხოა ყალბი, ზერელე გრძნობები. პოეტს სწამს სიწრფელე და კეთილშობილება, გამტანიანობა, რომელიც ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს. დიდი უშუალობითაა გამთბარი პოეტი ქალის ლირიკა. იგი განცდილს და აღქმულს ოსტატურად გადმოგვცემს.

რ. ბეროძის პოეზიაში ბუნება საქართველოს ეგზოტიკური სილამაზით გატაცება ან მარტოოდენ დეკორაციული ფონი როდია. იგი მის ლექსებში შესანიშნავი მხატვრული შეგრძნებით არის ამეტყველებული. ზედმიწევნით კარგად იცნობს პოეტი ქართულ საკოლმეურნეო სოფლებს, ადამიანებს, ზნე-ჩვეულებებს და რამდენიმე დამახასიათებელი შედარებით ახერხებს მათ გაცოცხლებას მკითხველის თვალწინ. ლექსებში „ალაზანი“, „ცემი“, „ნაძვი“, „ქართლის გზაზე“, „ყვარელში“, „ლეჩხუმისაკენ“, გურიისადმი მიძღვნილ ციკლში გარკვევით იგრძნობა მშობელი მიწის მუდმივი გაზაფხულის ძალა, მისი სურნელება, ფერთა სიუხვე და შეზავება.

თემატიკური სიახლე, ჰარმონიულობა და მუსიკალობა, დინამიკურობა, რითმისა და რიტმის გამახვილებული გრძნობა რუთა ბეროძის პოეზიის თანახვედრია. პოეტი ქალი ლაკონიური, სხარტი, ფრთიანი ფრაზით ახერხებს თავისი განცდების ემოციურად გადმოცემას. წიგნში შეტანილი ლექსების საკმაო ნაწილი ნათელი, შთამბეჭდავი და სიცოცხლისუნარიანია.

ამ პატარა ცისფერყდიან წიგნს, უდავოა, მკითხველი წრფელი სიყვარულით მიიღებს.

კირა კვეიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩხაიძე

ძალად ნოვატორი

კოლმეურნეობა „წინსვლაში“ დღესაც კარგად ახსოვთ სახელგანთქმული მესიმინდე პაველ შეწირული.

პაველ სამამულო ომიდან აღარ დაბრუნებულა. პატარა გენადი, მისი ერთადერთი პირმშო, პაველს არც კი უნახავს. უმამოდ დარჩენილი ობლის გაზრდა დედასთან ერთად მოხუცმა ბებიამ და პაპამ იკისრეს. არაფერს აკლებდნენ, საღი და ჯანმრთელი გამოზარდეს, მაგრამ მეტისმეტად გაანებივრეს. უმამოაო, ეცოდებოდათ და ყველაფერს უსრულებდნენ.

მასწავლებლები კოლმეურნეობის დასახმარებლად ხანდახან ჩაის მოკრეფას დაავალებდნენ გენადის, ის კი ეზოში ჩასვლამდე ბებიას ეძახდა:

— ბებია ჩაი მომიკრიფე!

— კი, ბებია, შენი ჭირიმე. — დაპირდებოდა ბებია და საღამოს თავის ნაკრეფს უნაწილებდა.

გულმოწყალეობასა და შეილიშვილის შეცოდებაში მოხუცები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ.

გენადიმ საშუალო სასწავლებელი გაჭირვებით დაამთავრა. „სამიანებით“ გაჭედილი სიმწიფის ატესტატი მიიღო და უმაღლესში მოსაწყობად გაემგზავრა, მაგრამ გაწბილებული სოფელს დაუბრუნდა. თანასოფლელებმა ხელი არ კრეს სიზარმაცით განთქმულ გენადის, კოლმეურნეობის წიგნაკი მისცეს და პენსიონერი პაპის სასიმინდე ნაკვეთი გაუპიროვნეს.

გენადი დიდი ვერაფერი მუშა გამოდგა. პაპისა და მამის ყაირათი აკლდა, მხარ-თეძოზე წამოწოლილს შუადღემდე არხეინად ეძინა. ნაშუადღევს, წელის ათრევით წამოდგებოდა თუ არა, ომახიანად გასძახებდა ეზოში მოფუსფუსე ბებიას:

— ბებია! პირსაბანი წყალი! ბებია, მშია!

როგორც კი დანაყრდებოდა, გენადი სოფლის ცენტრისაკენ იზამდა პირს.

— ე, ნენა, ყანაში წადი, ცოდვაა მარტო მოხუცი, ენას მაინც გამოელაპარაკები! — ეხვეწებოდა ბებია. — დეივიწყე, ბიჭო, შენს მაგივრად რომ მუშაობს ბერიკაცი?

— დღეს არ მცალია, ხვალ წავალ.

— რა უცლელობა დაგემართა, შვილო! მედღეგეხვალიას სულ უწვიმს და უთოვს, ხომ გაგიგონია? ისეა შენი საქმე.

— ო, თქვა რუქამ არაკი.

— არაკი კი არა, აქეთ წადი, ბიჭო აქეთ, გეუბნები.

— მაქეთ კი არა, აქეთ მივდივარ, ვთქვი და გათავდა.

— უი, რა რქასეკიდე გაგზარდე, შვილო, ღმერთს რაღა ვუთხრა შენი ასე წახდენიზა.

გენადი ძალიან ეტრფოდა კულტურულ დასვენებას, ერთსა და იმავე კინოსურათს სამივე სეანსზე ნახავდა, დაღლილობას არ შეიმჩნევდა, ყანისათვის კი ნაკლებად იწუხებდა თავს. მისი სიტყვით რომ ვთქვათ, დრო არ ყოფნიდა.

მიუხედავად გვალვიანი ამინდებისა, მოსავალი მაინც კარგი მიიღო. ნახევარ ჰექტარ ნაკვეთზე ორმოცი ცენტნერი.

მაგრამ ვინ, არ იკითხავთ? პაპამ თუ შვილიშვილმა?

რა თქმა უნდა, პაპამ. მაგრამ ფაქტი ფაქტია, შრომადღეები გენადის დაუწერეს და, თუ კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს ამხანაგ სერაპონს დავუჯერებთ, ამით საერთო ბეღელში არაფერი შეცვლილა. პირიქით, მოსალოდნელზე მეტიც მიიღეს.

გენადი შეწირული სიხარულით ცას ეწია. მადლობის ნიშნად მოხუც პაპას ცეკვით ჩამოუარა, ჩაბუქნა და ჩაკოცნა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მოსე კიტრაძემ ელექტრონის ზარის ღილაკს მარჯვენა ხელის ცერი ზანტად დააჭირა და მოპირდაპირე კარს მიაჩერდა. ზარი ძველებურად დუმდა.

— ოი, მოგეშალა გამკეთებელი! აია საქმე?— უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და განიერ კაბინეტში მიიხედ-მოიხედა. ახლოს არავინ იყო, ხელი ნერვულად ჩაიქნია და თვით იკადრა წამოდგომა.

— სერაპიონ, სერაპიონ! — ხმამაღლა გასძახა ბუღალტერს, ნელი ნაბიჯით მობრუნდა, სავარძელში მძიმედ ჩაესვენა და თითები გაპრიალებულ მაგიდაზე წისქვილის სარეკელასავით აკაკუნა.

კაბინეტში ქაღალდებამოჩრილი სერაპიონი შემოიძურწა და კარებს ლანდივით აეკრა.

— მანქანები სადაა? — თავაუღებლივ ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ორი ქორწილშია თქვენი განკარგულებით, ბატონო მოსე, და ორიც საქმეზე.

— როცა დაბრუნდნენ, აგურზე მიაყენე! — ბრძანა და მაგიდის შუა უჯრიდან პაკეტი ამოიღო. — აა, ხომ ხედავ, მიშოვეს საქმე, ამისთვის მცალია თუ იცი? — აბუზღუნდა თავმჯდომარე.

— რისთვის, ბატონო მოსე? — ხმის კანკალით იკითხა სერაპიონ ბუღალტერმა და, რაკი შეატყო მოსე მაინცდამაინც არ წყრებოდა, მაგიდასთან მიიწია.

— თუ კაცი ხარ, შენ მიხედე ამ საქმეს, თორემ ვინ იცის, იქნებ დამავიწყდეს და ხომ იცი ჩვენი რაიკომის მდივნების ამბავი. მოსე კიტრაძემ კარგი თოხარიკი იცისო. საქვეყნოდ გამაჯირითებენ. აი ხომ ხედავ, ამხელა კაცს სული მძვრება ამდენი მუშაობით. ვწვალობ, ვცდილობ, მინდა ყველას ერბო-კვერცხი შევუწვა ხელისგულზე, მაგრამ მერე რა? ვინ მყავს შემცოდე? არავინ. მაინც უვარგისსა და პიუროკრატს მეძახიან. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! სხვა რომ არ იყოს, ამხელა სოფელში ყოველ შაბათ-კვირას ან სახლის ხურვაა, ან ქორწილი. მარტო თამადობამ გამათავა კაკალი კაცი. წელი მე არ მივარგა და გული.

— ჰო, რა გაეწყობა, ბატონო მოსე, იმათი საქმე დაძახებაა და დასაქმება, ჩვენი კი... რა ვქნათ, ხომ გაგიგონიათ, რაცა ვისა ბედმა მისცეს...

დაუყვავა თავმჯდომარეს სერაპიონმა.

— გასაკვირია, ნუთუ ვერ ხედავენ ჩემს მუშაობას? გეგმები ვერ შეასრულეო, ამას წინათ მომდგნენ ბიუროზე, სულ ჩამორჩენილი და მაჩანჩალა მიძახეს. შემრცხვა, ენის თქმა დავაპირე, — პირში მეტაკენ, კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო. ცხენი ვარ მე, სერაპიონ, თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე? ახლა კი ვისწავლე ჭკუა. აწი მე მკითხონ. მე ვარ ჩამორჩენილი და მაჩანჩალა, ხომ?

— ოო, არა, ბატონო, როგორ გეკადრებოდა ანუგეშა ბუღალტერმა.

— სერაპიონ! იცი შენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი რომ ეწყობა? — დაუწია ხმას აღელვებულმა მოსემ.

— კი ბატონო, გაზეთებში წავიკითხე.

— გაზეთებში კი არა, რაიკომიდან მოვდივარ. ჩვენი რაიონიდან ყველაზე კარგ მესიმინდეს ეძებენ და...

— მერე, ბატონო?!

— ჰო, რა გაგიკვირდა? ჩვენს კოლმეურნეობას არ უნდა შემოუაროს ამ ამბავმა. აბა შენ იცი და შენმა ბიჭობამ.

— გასულ წელს გეგმა რომ შეგვესრულებინა, ბატონო მოსე, მაშინ კიდევ ჰო...

— რას ქვია „რომ?“ რომელ რომზე მელაპარაკები ახლა?! სხვა თუ არა, სიმინდის გეგმა ხომ შევასრულეთ? დაგავიწყდა, რა ცნობა გავგზავნეთ რაიონში?

— შარშან?

— აბა დღეს!

— მგონი 109,5 პროცენტი.

— იყო, მაგრამ თქვენ ხომ იცით, სამოცდაათ პროცენტზე მეტი არ შეგვისრულებია... — სერაპიონმა კადნიერებისათვის ენის წვერზე იკბინა და თავმჯდომარეს დამფრთხალი თვალით შეხედა.

— უი, შე უბედურო, რავა დაგება მაგი ენა. ადამიანები სასწაულებს ახდენენ, შენ კი? ფუი... კაცი ხერხი უნდა იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო, ხომ გაგიგონია! მერე?.. ერთი სიტყვით, თუ ივარგებ, ჩვენი კოლმეურნეობის სახელი საქვეყნოდ დაიქუხებს. რავა, ამხელა კოლმეურნეობაში ერთ მესიმინდეს ვერ იშოვი? მაშინ რის ბუღალტერი ხარ?! თუ არაა, გაიჩინე! ეს ამბავი საჩქაროა. ახლავე უნდა წარვადგინო ვინმე საიმედო მონაცემებით. იცოდე, სხვებმა არ გვაჯობონ, თორემ!.. — თავმჯდომარემ ბუღალტერს მრავალმნიშვნელოვნად ახედ-დახედა. სერაპიონს გამბედაობა მოემატა და ენა ამოიდგა.

— თუ საჩქაროა, რაღა შორს ვეძებთ, მაშინ მე წავალ, ბატონო მოსე, და ის იქნება. ეჰ, ჩემდა ცოდვად ეს ბუღალტრობა რომ არ მესწავლა, ჩემისთანა მესიმინდე მთელ რაიონში მართლაც არ იქნებოდა, მაგრამ რაღაი ახლა, ბედმა დამჩაგრა. პაპაჩემს ერთხელ ეზოში, სახლის უკან ხუთტაროიანი სიმინდი ჰქონდა, მერედა რანაირი? გაგვასწრო საწყალმა, თორემ.. ნამდვილი სიმინდის პრაფესორი ის იყო.

—ხუთი ტარო! ოჰო! — გაიკვირვა მოსემ. — მაგი არ უნდა იყოს მგონი ცუდი მოსავალი. ეე, შენ ეს მითხარი, ერთ ჰექტარზე რამდენი მოჰყავდა?

— მაგი არ ვიცი, ბატონო მოსე, მაგრამ ის კარგად მახსოვს, რომ ერთ ქცევაზე ერთ ნალიას

თავამდე აავსებდა და გარედან კარებს შქერის წნელით ამოულობავდა. ისიც კარგად მახსოვს, როგორ მუშაობდა. ბუღალტერი კი ვარ, მარა სიმინდის დარგში დიდი გამოცდილება მაქვს როგორც საკუთარი — შემოქმედებითი, ისე განაგონ-დაკვირვებითი.

— კი, მარა სად ისწავლე ამდენი?

— რავა, საკარმიდამო ნაკვეთი არა მაქვს თუ?! ჯერჯერობით არ უმტყუნებია. რომ უნდა, ისეთი მოსავალი მომდის. ჰექტარზე გაანგარიშებით ას ცენტნერზე მეტი მომყავს. ამიტომ გთხოვ, მე გამგზავნე, თორემ რა, ვარ ამ კანტორაში თავგვივით გამომწყვდეული.

— ას ცენტნერზე მეტი? ყოჩაღ, სერაპიონ! რაღაც სიმინდის პრაფესორიაო, შენ ყოფილხარ სწორედ. მარა შენი გაგზავნა არ ეწყობა, რაც არ უნდა იყოს, ბუღალტერი ხარ მაინც. ისე, შენი მეთოდი კი... ერთი სიტყვით, ვინმე საიმედო გამონახე, ახალგაზრდა იყოს, საშუალო დამთავრებული.

სერაპიონი კაბინეტიდან უენოდ გაუჩინარდა. ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ბუღალტერი კვლავ შეიძურწა თავმჯდომარის კაბინეტში და ხელებში თავჩარგულ მოსე კიტრაძეს ფიქრები დაუფრთხო.

— ბატონო მოსე, კაცმა რომ თქვას, არც მთლად წყალწაღებულია ჩვენი საქმე. თუ ჩვენს უტყუარ აღრიცხვასა და შრომადღეების დარიცხვას გადავხედავთ, ნახევარ ჰექტარ ფართობზე სარეკორდო მოსავალი მხოლოდ გენადი შეწირულს მიუღია მეშვიდე ბრიგადიდან.

— ვინ გენადია?! — ისე იკითხა თავმჯდომარემ, თითქოს პირველად გაეგონოს ეს სახელი.

— აი ის, სამამულო ომში პავლე [illegible] რომ დაიღუპა, იმის ბიჭი.

— ეს ის, დილიდან საღამომდე საკოლმეურნეო კლუბში რომ ცეკვავს და გოგოებს მიცდენს? ოჰ, რა ზარმაცია.

— ზარმაცი კია, მარა რას ვერჩით, ნახევარ ჰექტარზე ორმოცი ცენტნერი ქე მიუღია და... მოდი, გადავუანგარიშოთ საჰექტარო გამოსავალზე, ცოტა ჩვენც ვუჭიპიტოთ და... ახალგაზრდა კაცია, ენა უჭრის, კარგი მამის შვილია...

— მერე, როგორ ფიქრობთ, შეიღირსებს?

— აბა არა?—კითხვითვე უპასუხა სერაპიონმა.

— რამდენი წაუმატოთ?

— ეს თქვენი ნებაა, რამდენსაც მიბრძანებთ, მე მზად ვარ.

თავმჯდომარე ჩაფიქრდა, მაგიდაზე თითები კვლავ ააკაკუნა, ბუღალტერს მიუბრუნდა და მოკლედ მოჭრა.

— კარგი, თანახმა ვარ. მხოლოდ სხვამ არ გვაჯობოს.

— ბატონო მოსე, მჯობნის მჯობი არ დაილევა ამ ქვეყანაზე. მაგრამ ჩემი იმედი გქონდეს. და, ყველამ გაიგოს, თუ რა ტალანტები მოღვაწეობენ ჩვენს კოლმეურნეობაში.

* * *

გენადი შეწირული — სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი, — აფრინეს რაიონში ცნობა.

გენადი შეწირული — ახალგაზრდა, მაგრამ მაინც სიმინდის პრაფესორი, — გაგზავნეს ცენტრში დეპეშები.

ერთ ძირ სიმინდზე — სამი ტარო — გენადი შეწირულის ახალი მეთოდი, — დაბეჭდეს გაზეთებმა პირველ გვერდზე.

დაიძრნენ ფოტოკორესპონდენტები. ვინ სიმინდით გავსებულ ბეღელში აკვრევინა თავი გენადი შეწირულს და „ბლიცი" მიანათა, ვინ კოლმეურნეობის თავმჯდომარის გალომებულ ულაყზე შესვა და შუაგულ სიმინდებში შეაჯირითა სასურათოდ.

გაება ბიჭი. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მაგრამ სული არ მოათქმევინეს, საქმე საჩქარო იყო და დრო არ ითმენდა.

— ამხანაგო თავმჯდომარეე! კი, მაგრამ...—მიიჭრა გენადი მოსესთან.

— არავითარი მაგრამ. არც ერთი ნაბიჯი უკან. მთელი იმედები ახლა შენზეა, სერაპიონს უმადლოდე. აბა, რავა გგონია შენ! სხვამ უნდა გვაჯობოს?.. რით ვართ სხვაზე ნაკლები? არაფლით. ნურას უკაცრავად, ვერ მივართვით ბადრიჯანი. შენ წილად გერგო დაიცვა ჩვენი კოლმეურნეობის სახელი და დიდება. პატრიოტი არა ხარ?

— კი მარა, მოსე ბატონო!

— არ მცალია, სერაპიონთან მიდი!

— ბატონო სერაპიონ! — ახლა სერაპიონთან შეირბინა.

— ჰო, შენ?!. აი, ყველაფერი!

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ. შენს შესახებ იმსჯელა ჩვენი კოლექტივის გამგეობამ, ე. ი. მე და მოსე კიტრაძემ და შეგარჩიეთ შენ. უპირველეს ყოვლისა შენი მაჩვენებლები თვალსაჩინოა, ჩვენს ადგილობრივ პირობებში შესაძლებელზე მეტიც.

— მაჩვენებლები კი მაქვს, მაგრამ... ის ხომ...

— მაგის შესახებ შემდეგ. აი სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ჩემი წესები, ყველაფერი აქ წერია, დაიზეპირე და გამოიყენე ისე, თითქოს საკუთარიაო. ეზოში მანქანა გელოდება. კეთილი მგზავრობა! მაღარიჩი შენზეა, იცოდე!

გენადიმ უნუგეშოდ მხრები აიჩეჩა.

* * *

ტონო მოსე! ხომ გეუბნებოდით, გენადი
ლი ოქრო ბიჭია-მეთქი? ვერ უყურებ რა
ეთისპირიდან გადავარდნილმა? როგორც
ო, საქუხიელებს ასორმოცდაათ ცენტნე-
ავთ გამოგზავნილიო, იმწამსვე ასოთხმო-
ტნერი დაურტყამს, მერედა არ იტყვი რა
ლად?

ი გავიგე. სერაპიონ, გენადის რომ კოზი-
ზიანი უთხლეშია საქუხიელებისათვის,
მოდგომაზე რომელ სოროში შევძვრეთ?
ცდილების გაზიარებისათვის რომ მოგვა-
ხომ საქვეყნოდ მოგვეჭრება თავი?
ნგან არ მიკვირს, მოსე ბატონო? კა-
ლთვის ოპტიმისტი უნდა იყო, წინ უნ-
ებოდე. ვთქვათ და გენადი შეწირულმა
ვერ მოიყვანა ასოთხმოცი ცენტნერი
ჰექტარზე! რა მოხდა მერე?—არაფერი.
ვართ ჩვენ, ძველი გამოცდილი მუშა-

ენ კი ვართ, მაგრამ რის გაკეთება შეგ-

— როგორ თუ რის, ბატონო მოსე?! გეგმით წელს ოთხმოცდაათი ჰექტარი უნდა მოვხნათ და დავთესოთ, ხომ? ვინ გაიგებს, ათი ჰექტარით მეტი რომ დავთესოთ და არ ვუჩვენოთ? არავინ. ჰოდა, თუ ათი ჰექტარი ყანა თადარიგში გვექნა, ჰერიჰე! მაშინ გენადი შეწირულის ასოთხმოცი ცენტნერი რა გახდა — არაფერი.

— ჭკუა ხარ, ჭკუა, ჩემო სერაპიონ. — აღტაცება ვერ დამალა თავმჯდომარემ.

შექებით გახალისებულმა ბუღალტერმა კმაყოფილებით ჩაიქირქილა და მელოტზე აბრეშუმის ცხვირსახოციანი ხელი ლაღად გადაისვა. მოსეს ენიშნა, მაშინვე მიუხვდა ბუღალტერს, რის თქმაც უნდოდა და მარცხენა თვალი ღიმილით ჩაუპაჭუნა:

— ეს საქმე თუ კეთილად დაგვირგვინდა და მე, მოსე კიტრაძე, მოწინავეთა შორის აღმოვჩნდი, იცოდე გაგალაღებ, ნამდვილად გაგალაღებ, ჩემო სერაპიონ!

* * *

ი შეწირული სოფელში დარცხვენილი
რა.
კიტრაძემ და სერაპიონ ბუღალტერმა
ანვე შენიშნეს მათკენ მომავალი და
რნეობის კონტორის განიერ კიბეზე ტა-
თ მიეგებნენ.
ი, შენ გენაცვალოს ჩვენი კოლმეურნეო-
თვალი ხარ, ბიჭო, თვალი!
იტრაძემ ვერც კი მოასწრო სიტყვის და-
ი, რომ კოლმეურნეობის კონტორის კი-
გაზრდა გოგო-ბიჭებით გაივსო და მო-
აძეს სიტყვა სტვენით შეაწყვეტინეს.
ამბავია! — დაიღრიალა შეცბუნებულ-
დომარემ და სერაპიონს გადახედა. ბუ-
ა სცადა თავმჯდომარეს გამოსარჩლე-
გრამ მკლავდაკარწახებულმა ჭაბუკმა
ირიდან გამოსტაცა:
ნ კარგად ვიცით, რა ბედენაცაა ჩვენი
მარე! სიტყვა გენადიმ გვითხრას!
იმ გვითხრას, გენადიმ", დაიგუგუნეს

მ კიბის რამდენიმე საფეხური დაიცვა-
ი თავში წყვილად დარჩენილ მოსესა და
ს ნაღვლიანი თვალით გახედა და ამხ-
ეუბრუნდა. კოლმეურნეობის კონტორის
ეზო ხალხით ისე გაივსო, რომ სახელ-
მიტინგი გეგონებოდათ.
ჰე, „პროფესორო"! გვიბრძანე ერთი,
მოიყვანე ჰექტარზე ასოთხმოცი
ი სიმინდი?
თავდახრილი იდგა, თითქოს რაღაცას

— არა, თავმჯდომარემ გვითხრას, ვის გაუნაწილა გენადის მოყვანილი ასოთხმოცი ცენტნერი სიმინდი! — არ ეშვებოდნენ მოსე კიტრაძეს.

ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა გენადიმ და ხმა ამოიღო:

— მეზობლებო! ჩვენს მიწებზე ოთხმოცი ცენტნერი სიმინდის მოყვანა რომ შეიძლება, ეს უკვე სადავო არაა. მართალია, იგი მე არ მომიყვანია, მაგრამ... ჯამლეთ პაპამ მოიყვანა. ჰოდა, საჩქაროდ საჭირო იყო მოწინავეთა თათბირზე ვინმე კაი მესიმინდე გაგვეგზავნა. პატივცემული მოსე მე მენდო და დამავალა ღირსეულად დამეცვა ჩვენი კოლმეურნეობის სახელი.

თათბირზე, ჩვენს გარდა, იყვნენ სიმინდის უხვი მოსავლის ნამდვილი ოსტატები, აგრონომები, მეცნიერ მუშაკები. იმათგან ბევრი რამ ახალი გავიგე და გეტყვით, რომ ჩვენს მიწებზე შეიძლება მოვიყვანოთ ასოთხმოცი ცენტნერი სიმინდი.

— ვაშა ჩვენს წარგზავნილს! — შესძახა სერაპიონმა და ტაში შემოჰკრა, ეგების ხალხი ამყვესო.

— ამხანაგებო! ჩვენ უახლოეს დროში დავეწიეთ და გავუსწარით მოწინავე კოლმეურნეობებს. — ახლა მოსე ჩაერია საქმეში.

— რასა ბრძანებთ?! როდის მოიწიეთ ჰექტარზე ასოთხმოცი ცენტნერი? თუ მოიწიეთ, სად წაიღეთ, რომელ ბაზარზე გააძვრინეთ!

— ეს ჰექტარზე გადაანგარიშებით, — წამოეშველა გენადი თავმჯდომარეს.

— თუ მასეა, შემოსავალში რატომ ორმოცი

ცენტნერი გაატარეთ, დანარჩენი ორმოცდაათი ცენტნერი სად გაქრა?

გენადი შეფიქრდა და სერაპიონს უნდოდ გადახედა.

— ბატონ მოსესა და სერაპიონს დაეწეროს გენადის საზიაროდ. — წამოიყვირა ვიღაცამ.

„დაეწეროს“, ბანი მისცეს სხვებმაც.

მოსე მიხვდა, საქმე წამხდარი იყო და მონანიებით სცადა თავის დაძვრენა.

— ამხანაგებო! მე მეგონა უფრო ფხიზელი ვიყავი, მაგრამ ვერ გამოვდექი. ხომ ხედავთ, რა მიყვეს აი? ხალხი მომატყუებიეს. შევცდი, ბუღალტერს ვენდე და შემარცხვინა კაცი. სერაპიონმა მიქნა ყველაფერი. არაზუსტი ცნობები მომცა, მთავრობაშიც ტყუილი მათქმია. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ დღეიდან ეს გაიძვერა ისე ვერ იხილავს ჩვენი კოლმეურნეობის კანტორის კარებს, როგორც...

— შენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტს! — დაამთავრეს კოლმეურნეებმა.

სერაპიონი მოსეს ღალატს არ მოელოდა. ფენთიკით აენთო და იფეთქა:

— როგორ, მე რა შუაში ვარ, რას ჰქვია მე შევაცდინე? მნახეთ დაბალი ღობე, ხომ? ახლავე გადმოუკარკალებ ამ ხალხს შენს სიკეთეს. მე უპატრონო ხომ არ გგონივარ?

— რაო? აბა მე ვარ უპატრონო, შე ყალთაბანდო?! ხალხნო! გენადი რა შუაშია, აგია სიმინდის პრაფესორი. ყველაფერი ამან მოუპორა.

— არა, ბიძიებო! მაგიზა რას კლავთ ერთმანეთს, ორივე კაი მაგარი თაღლითი ხართ, — ჩაერია ჯამლეთი თავმჯდომარე-ბუღალტრის ჩხუბში.

— ვითომდა რატომ? — ვერ მოითმინა გაცეცხლებულმა მოსე კიტრაძემ და ჯამლეთს ეკინ-ტია.

— თქვენ რომ უფროსებად დაგისვით და ამხელა სახალხო საქმე განდეთ, შევცდით და რაღაი ახლა. ჩვენს შეცდომას ჩვენვე გამოვასწორებთ. თქვენ კი გგონიათ ორდენებს ასე უბრალოდ არიგებენ, მაგრამ „არც ისეა საქმე, ჩემო თაყაო“, ხომ გაგიგონია?

— კუზიანს სამარე გაასწორებსო. მაგათ მოხსნის მეტი არაფერი უშველის. — დაურთო ვიღაცამ.

— მოიხსნან!

— მოიხსნან! — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

— კი, მაგრამ ამ ძალად ნოვატორს, ჩვენს „სიმინდის პრაფესორს“ რა ეკუთვნის?

არც გენადი დატოვეს უყურადღებოდ.

— მაგას? რა ეკუთვნის და გვერდში ამოვიყენოთ და, თუ კაცია, პირობა გაამართლოს, ჰექტარზე ასოთხმოცი ცენტნერი სიმინდი მოიყვანოს, — მოკლედ მოსჭრა გენადი შეწირულის ბრიგადირმა და პირი სახლისაკენ იბრუნა.

— გამწირეთ, ხომ? მე თქვენთვის მინდოღა კარგი. მოწინავედ გამოგიყვანეთ და აია მადლობის მაგიერი? — გაიკვირვა მოსე კიტრაძემ და თავთავიანთ სახლებში მიმავალ კოლმეურნეებს თვალი გააყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ